



სამჭრეთა სემლოვნიკა



GOBET'KROE
 УСКУССТВО
 SOVIET
 ART
 SOWJETKUNST
 ART
 SOVIETIQUE

5

1970

სეგვითა სელოვნება



თვებჩი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
ზღვითმეჭებუნ
ქმრეოზგუნუნი

5

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური,
ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური ჟურნალი

1970



ო. ჯიშკარიანი, თ. მირზაშვილი.

საქართველო.



ო. ჯიშარიანი.

საქართველო.

მთავარი რედაქტორი — ოთარ მგაბე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა გან-
ძეშელაძე, კარლო გომეში, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა
ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო
წულუკიძე.

ბელადის სახელით შთაგონებულნი

ორი კვირის მანძილზე ჩვენი დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში დიდი წარმატებით გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულის მონაწილენი. ეს მხატვრული ღონისძიება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, იგი დიდი ლენინის დაბადებიდან 100 წლის-თავს ეძღვნებოდა და საბჭოთა ხალხების ურთიერთდახლოების მაღალ მისიას ემსახურებოდა.

ეს იყო მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის საგაზაფხულო ზეიმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა ქვეყნის ცნობილი შემოქმედებითი კოლექტივები, გამოჩენილი ინსტრუმენტალისტები, მომღერლები, დირიჟორები...

საბჭოთა ქვეყანაში კარგა ხანია დამკვიდრდა ამგვარი მუსიკალური ფესტივალებისა თუ კვირეულების ჩატარების ტრადიცია, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი კპოვა და თვალსაჩინოდ დამტკიცდა, რომ ეს არის სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დამოყვრებისა და დამეგობრების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ფორმა.

ამჯერად, სხვადასხვა რესპუბლიკებიდან საქართველოს ექვსასზე მეტი მუსიკოსი ეწვია. თავად ეს ციფრი თვალსაჩინოდ მეტყველებს ამ დიდი ზეიმის მასშტაბზე. დღესასწაულში მონაწილეობდნენ მუსიკალური ხელოვნების სრულიად განსხვავებული ჟანრის წარმომადგენლები —

ანსამბლები, ორკესტრები, მუსიკოს-შემსრულებლები. მრავალი მათგანის სახელი კარგად არის ცნობილი მსოფლიოს მრავალ კუთხეში. ისინი თანამედროვე ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან. მართლაც, ეს კონცერტები გამოირჩევიან ჟანრობრივი და თემატიკური მრავალფეროვნებით, ჭეშმარიტი არტისტიციზითა და მაღალი პროფესიონალიზმით, ვირტუოზული ოსტატობითა და შთაგონებით.

სწორედ ამიტომ თბილისის საკონცერტო დარბაზებში შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. მუსიკის ზემოქმედების ძალამ, მაღალმატერულმა საფემსრულებლო ხელოვნებამ მრავალრიცხოვანი მსმენელი მიიზიდა. მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი დამყარდა აუდიტორიასა და შემარეულელებს შორის. მაღალი ხელოვნებით მინიჭებულ ესთეტიკურ სიამოვნებას, დიდ მხატვრულ შთაბეჭდილებებს თბილისელი მსმენელები გულმსურვალ ფეხსმართლას უხობდნენ. ეს იყო სხვადასხვა ეროვნების ხელოვანთა მეგობრობისა და ზემოქმედებითი ურთიერთდასაყიდებულების საინტერესო შეხვედრა. ეს იყო საბჭოთა საშემსრულებლო ხელოვნების მიღწევების დემონსტრირება, მუსიკის, მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა დღესასწაული — შთაგონებული დიდი ბეჭადის უკვდავი სახელით, მისდამი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების ზეიმი დაიწყო 11 მარტს. იმ დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში თბილისელთა წინაშე წარსდგა ლატიის სსრ კამერული ორკესტრი. ამ ანსამბლის შემოქმედებითი ბიოგრაფია სულ რამდენიმე წელს ითვლის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორკესტრმა პოპულარობა მოიპოვა არა მარტო მშობლიურ ლატვიასში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მას იცნობდნენ მოსკოვში, ტალინში, კიევიში, ხარკოვიში და საბჭოთა ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. ლატიის კამერული ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი ენო ცნობილი მეოპონინი — ტ. ლიფშიცი. არსებითად მან შეუქმნა ხელი ამ კოლექტივის პროფესიული ოსტატობის განვითარებას. ლატიელები მრავალწევრიანი პროგრამით წარსდგნენ. შესრულდა ვივადლის კონცერტი რე-მინორი, ონეგრის მცირე სიმფონია, კალსინის საორკესტრო ნაწარმოებები და სხვა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ორკესტრის სოლისტს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ი. ტრეუსს.

თბილისელების სიმპათია დამიასხვრა მოლდავეთის სსრ ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა კონსტანტინე პავლოვის ხელმძღვანელობით. ამ კოლექტივის წევრები დიდის კაცაყებით ასრულებდნენ საბჭოთა სინამდვილის ამსახველ სასტრადო სიმღერებს. ამ ანსამბლის შემსრულებლები ნიჭიერი მუსიკოსები არიან — ისინი ტოლფასობდნენ ფლობენ სიმღერის, ცეკვისა და სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვირვებას. მოლდაველთა კონცერტში მონაწილეობდა რესპუბლიკის სსრ დამსახურებული არტისტი ვიფი ბელცანუ. მან მგზნებარედ შეასრულა რევოლუციური სიმ-

ღერების მთელი ციკლი. ძალზე სახონად წაიკითხა ეიზენშტეინის მოთხრობები სსანიობმა მიხელო ბაკალეკმა. მოლდავეთის ტემპერამენტულმა სასიმღერო და საცეკვაო მელოდებმა მოიზიბეს თბილისელები.

სპორტის სახალხო კონცერტები გამართა ჩვენი ქვეყნის სახელწოდანმა კოლექტივმა, სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა ლენინური პრემიის ლაურეატის ივანე მოისევის ხელმძღვანელობით. ამ შესანიშნავ კოლექტივს მთელი მსოფლიო იცნობს. ეს არის ხალხური ცეკვების ნამდვილი ენციკლოპედია, რომელშიც თავმოყრილია მსოფლიოს მდიდარი ქორეოგრაფიული ფოლკლორის მარგალიტები. აღფრთოვანებას იწვევს ამ ანსამბლის წევრთა ვირტუოზულობა და ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი. სწორედ ამ თვისებების წყალობით ეს კოლექტივი ბრწყინვალედ გადმოსცემს სხვადასხვა ეროვნული ცეკვის კოლორიტს, გრძნობს მის სულსა და გულს. «ცეკვა — უტყვე პოეზია, ხილული სიმღერა, რომელიც შეიცავს ხალხის ხულის ნაწილს, ხალხის ემოციური მატანა, რომელიც თვითმყოფად და მაგაოდ გადმოცემს ამ ხალხის მიერ განცდილი გრძნობებისა და ამების ისტორიას. სახალხო ცეკვის ვირტუოზობა და შესანიშნავად მარგალიტს ინახავს», — უტყვეს ი. მოისევეს. მართლაც, იგი ამ მარგალიტების შემერება, უფრო მეტიც — ხალხური ქორეოგრაფიის საფუძველზე იგი ქმნის სრულიად ახალ თეატრულ კომპოზიციებს. ხალხური და სახალხო ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების ზინთეზში იხადება ახალი ფორმები, ჟანრები, სახეები. ასეთია მაგადავად, ქორეოგრაფიული ციკლები: „პარტიზანები“, „წარსულის სურათები“, „საბჭოთა სურათები“, „ურაინული სუიტა“ და სხვ.

ანსამბლის შემოქმედებაში ცოცხლდება მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის მდიდარი ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა. მათ შორის მოსიყვებლები დიდის კაცაყებით და მხატვრული გამომსახველობით ასრულებენ ჩვენს შესანიშნავ ხალხურ ცეკვას „ხორუმი“. ისინი დაუფლდნენ ქართული პლასტიკის თავისებურ მეტყველებას, ჩასწვდნენ მის მგზნებარე ხულსა და ვაკეაკურ შემართებას. გასაყვანი სიზუსტით და სახეონებით ასრულებენ „ხორუმის“ ურთულეს საცეკვაო ილითებს, გრაფიკული მაგაფიოებით აცოცხლებენ მის პლასტიკურ თვითმყოფადობას. ასეთივე სიზუსტითა და შთაგონებით ცეკვავდნენ ისინი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ცეკვებსაც.

თბილისელთა სტუმრებს შორის იყო აგრეთვე სტინეთის სასტრადო ანსამბლი „ლინეა“ (ტალა). ამ კოლექტივის პანკების ტალღებში ჩაქსოვილი იყო წრფივად სიყვარული და სითბო ადამიანებისადმი, თითოეული ჩვენგანისადმი. კოლექტივის 10 ხლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მან მრავალჯერ დაიკავა მშობლიური კულტურის ღირებება, როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ესტონელთა კონცერტში მონაწილეობდა ქალთა ვოკალური კვარტეტი, რომელიც



საქვეშაო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმ



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და
ლენინური პრემიების ლაურეატი ემილ გილუსი.



ფონიური ორკესტრი. დირიჟორი—რსფსრ სახალხო არტისტი გენადი როფდესტვენსკი.

სსრ კავშირის ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი. ცეკვა „ზორუმბი“.





სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლეონიდ კოვანი.

ყირგიზეთის სსრ ფილარმონიის სოლისტი
ტ. მურატალოვი.



ღირიკული გამომსახველობით აქლერებდა მშობლიურ — ესტონურ სიმღერებს. გავეცანით ინსტრუმენტულ ანსამბლსაც — ანტს ლაასის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა მაღალ დონეზე შეასრულა ჯაზური მუსიკის რამდენიმე ნიმუში. მაყურებელთა სიმბათია ხვდათ წილად ანსამბლის სოლისტებს, ნიჭიერ მომღერლებსა და მსახიობს — რუდოლფ მიხაილოვს, ანა საალიერს, ველო ორუმეტსა და სხვებს.

ხალხური შემოქმედების ნაყოფიერ პრობაგანდას ეწვევა ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომლის კონცერტმაც თვალსაჩინოდ გამოავლინა ბელორუსული მუსიკალური კულტურის თვითმყოფადობა. ამ ორკესტრის ფუნქციონირება და ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი ჟინოვიჩი. მისი დამსახურებაა, რომ ორკესტრი ჭეშმარიტი მხატვრობითა და პროფესიული კულტურით გამოირჩევა. ამ შესანიშნავ ანსამბლთან ერთად ხშირად გამოსულან გამოჩენილი საბჭოთა შემსრულებლები — პეტროვი, რეიზენი, ბორისენკო, პიკაიზენი და სხვ. ორკესტრის რეპერტუარი მრავალფეროვანია. იგი ფოლკლორულ ნაწარმოებებთან ერთად აქლერებს პროფესიული მუსიკალური ლიტერატურის ნიმუშებსაც. კონცერტზე განსაკუთრებული აღმავლობით შესრულდა უკერტი-

რა როსინის ოპერის „ქურდი-კაკაჭი“. ჟინოვიჩის საორკესტრო პიესა „მოთხრობა ბელორუსიაზე“. გამომსახველად შესრულდა ცეკვა „ქართული“ ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. კონცერტის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა მომღერალმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ზინოვი ბაბიომ. მან განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა შესანიშნავი ხმით, მუსიკალობით, არტისტული ვატაცებით; ოსტატურად შეასრულა პოპულარული რუსული და ბელორუსული სიმღერები. დიდი შთაგონებით იმღერა არიები ოპერებიდან „ოტელო“, „ტრუბადური“, „ბოჰემა“, ცნობილი ნეაპოლური სიმღერები.

მაღალი სამსერულელო კულტურით მოხიბლა მსმენელი პროფესორ ჟინოვიჩის დაკრამ ციმბალზე. მსუბუქად, ფერადოვნად ააქლერა მან პარაფრაზები ი. შტრაუსის ვალსებიდან.

ამავე დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულის მონაწილეობა ერთ-ერთი ბრიგადა ეწვია თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანას.

ძმური სითბოთი და გულთბადობით შეხვდნენ მასპინძლები ყირგიზეთის, ლიტვისა და აზერბაიჯანის ხელოვნ-



საქართველოს
ხალხური მუსიკის
სახელმწიფო კონსერვატორია

ბელორუსიის სსრ ხალხური მუსიკის
ნტების ორკესტრის დირიჟორი, სსრ კავ-
შირის სახალხო არტისტი, პროფესორი
ი. ეინოვიჩი და სსრ კავშირის სახალხო
არტისტი, მომღერალი ზ. შაბიი.



აზერბაიჯანის სსრ ფილარმონიის სოლისტი ა. ზეინალოვი.



ლიტვის სსრ ფილარმონიის სოლისტი ი. იელუნა.



ბის წარმომადგენლებს. მათ შორის იყვნენ: აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი, მომღერალი — შეფქეთ ალიფთეროვა, ლიტვის სსრ დამსახურებული არტისტი, მევიოლინე — ალექსანდრე ლივონტაი, ყირგიზეთის ინსტრუმენტული ტროიკა ტ. მურატალიევის, მ. აირკანოვის და ს. გაზინას შემადგენლობით, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი რ. გასანოვა. აღსანიშნავია, რომ დღეს გასანოვა ერთადერთი მუსიკოსია, რომელც უკრავს სულჰურ ინსტრუმენტზე — საზუჰ. მასთან ერთად კონცერტლი მონაწილეობდა აზერბაიჯანული მუღამების შემსრულებელი მ. აღაევი. ხალხური ცეკვები შესარულეს — ს. დღა-შევაი და დ. ზეინალოვმა. გასანოვამ იმღერა აშუღური სიმღერები. ლიტვის, ყირგიზეთისა და აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა კონცერტმა დასწრე საზოგადოების მოწონება დამსახურა.

დიდი წარმატებით ჩატარდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ბიბიგულ ტულეგენოვას კონცერტი. ამ შესანიშნავ მომღერალს „ყაზახეთის ბულბული“ ზაგრევეს. მას ძალზე ლამაზი, გამომსახველი ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო აქვს, იშვიათი მუსიკალობითა და პროფესიული ოსტატობით ახრულებს ძალზე მრავალფეროვან პროგრამას. მისი ხმის ტემბრი შეფერადებულია ეროვნული კოლორით, რაც თვითმყოფლობას ანიჭებს მის სიმღერებს და საშემსრულებლობა მანერას. ბ. ტულეგენოვა ყაზახეთის კონსერვატორიის პირმშოა. მისი დებიუტი ვერდის „რიგილტოში“ შედგა, შემდეგ კი სამოღაწეოდ კამერული შემსრულებლობა არჩია. თუმცა დროდადრო საოპერო სპექტაკლებშიც მონაწილეობს. ბ. ტულეგენოვას სახელი გასცა საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს, მან წარმატებით ჩაატარა კონცერტები ინდოეთსა და ვიეტნამში, არაბეთსა და კანადაში, ალჟირსა და საფრანგეთში.

ბ. ტულეგენოვას კონცერტმა თვალსაჩინოდ ცხადყო მომღერლის საშემსრულებლო ოსტატობის მაღალი დონე, ემოციური გამომსახველობა. საინტერესოდ იყო შერჩეული მისი რეპერტუარი. იგი გატაცებით მღერავდა ყაზახური მოღვაწეული მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშებსა და კლასიკური ვოკალური ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილ ქმნილებებსაც — მოცარტის „ალილიას“ და დინორას არაის მიერბრუნის ამავე სახელწოდების ოპერადან. მომღერალმა გერმანულ ენაზე შესარულა შუბერტის „კალმახი“. შთაგონებით იმღერა რახმანინოვისა და ჩაიკოვსკის რომანსები. კონცერტის II განყოფილებაში ბ. ტულეგენოვა ეროვნულ კოსტუმში გამოვიდა. იგი ასრულებდა მსოფლიოს ხალხთა სიმღერებს, რომლებსაც ამ ხალხების მშობლიურ ენაზე აცდებდა. მათ შორის იყო ჩვენი „ციცინათელა“, ჩეხური — „იანიშკი“, ვიეტნამური — „ბრინჯაოს დოლი“... კონცერტში ეწინააღმდეგებდა ეროვნულ ხალხურ ინსტრუმენტზე — დიმბრაზე დამკვრელი ბ. აისი-ნოვი.

მომე რესპუბლიკების ხელოვნების წარმომადგენელთა შორის იყვნენ აგრეთვე თურქმენი და სომეხი მუსიკოსე-

ბიკ. ისინი აღმოსავლური მუსიკის განგებში ატყუდნდნენ თავიანთ ოსტატობასა და ნიჭს. კონცერტის I განყოფილებაში გამოვიდნენ თურქმენი მსახიობები. მომღერალმა ლ. გუბანოვმა, აშუღმა ბ. ბაბანიაშოვმა, მომღერალმა ს. ისმაილოვამ წამოიწიეს ხალხური და თანამედროვე თურქმენული სიმღერები გააცნეს („ჩემი აშხაბადი“, „ბიჩარე“, „ბიბიჯანი“). ხალხური საკრავების ანსამბლმა (ს. მამიევის, მ. საფაროვისა და ა. გულამოვის შემადგენლობით) თურქმენული მუსიკალური ფოლკლორის სამყაროში შეიყვანა მსმენელი.

კონცერტის II განყოფილებაში სომეხი მსახიობები გამოდიოდნენ. ჟღერდა სომხური ხალხური და პროფესიული მუსიკალური ნაწარმოებები. ესტრადაზე იყვნენ სომეხთის ფილარმონიის სოლისტები — ი. არუშანიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. მინასიანი, რ. ვართანიანი, ა. არუთინიანი და აღმოსავლური საკრავების ანსამბლი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულის აღმავლობა განაპირობეს გამოჩენილი შემსრულებლების კონცერტებმა. თბილისის ესტრადურ თანამედროვეობის დიდი მუსიკოსებში — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, პიანისტი ემილ გილელსი, სახელმძღვანელო მკვილინი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლონიე კოვანი, ცნობილი დირიჟორი, რსდსრ ხალხურ არტისტი გენადი როფდსტვენსკი, მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები — პიანისტი ბ. ჰოკოლოვი, მევიოლინეები ელისაბედ გილელსი და ვლადიმერ ლანცმანი, ცნობილი უტანელი დირიჟორი ნემე იარვი, სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსები — პიანისტი ნინა და მევიოლინე პავლე კოვანები. ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე კონცერტებს მართავდა საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმღერით ორკესტრი.

ორი ათეული წელია, რაც ჩვენი დროის ბრწყინვალე შემსრულებელი, დიდი პიანისტი ემილ გილელსი ჩვენს დედაქალაქში არ ყოფილა. ბუნებრივია თბილისელთა სასიხარულო მოლოდინი და მასთან შეხვედრით გამოწვეული სასიამოვნო მღელვარება.

პირველი დიდი წარმატება ემილ გილელსმა 1933 წელს მოიპოვა. მაშინ 16 წლის პიანისტმა საკავშირო კონკურსში ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მას შემდეგ ტრიუმფით მოღვაწეობს მსოფლიოს დიდ საკონცერტო ესტრადებზე. მის მაღალ ხელოვნებას მზურვალე თაყვანისმცემლები ჰყავს ევროპისა და აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის მრავალრიცხოვან მსმენელთა შორის.

ე. გილელსი ჭეშმარიტად უნივერსალური მუსიკოსია, ამას მიწოდებს, თუნდაც მისი უკიდვანო რეპერტუარი, რომელიც მოიცავს ყველა დროისა და ქტილის საკონცერტო ლიტერატურას. ე. გილელსი ტოლფასოვანი მსოფლიოლობით, ვირტუოზული ბრწყინვალეობითა და ღრმა გააზრებით ასრულებს კლასიკოსებისა და რომანტიკოსების შედევრებს,



იმპრესიონისტებისა და თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორთა ვეწინაღობებს.

ე. გილელსი სრულყოფილი ოსტატობის მწვერვალზეა. იგი ბრძნული უბრალოებით გადმოსცემს მაღალ იდეებს, ღრმა ფიქრებსა და განცდებს. გასაოცარ სიცხადეს ანიჭებს კომპოზიციის ურთულეს ლაბირინთებს, გონების თვლით ჭერგატ ნაწარმოებითა სიღრმეებს, საიდუმლოებებს, ქვეტექსტებს. ნაწარმე ამგვარად, კლასიკური სიცხადითა და ზეგამიანური მკაფიოებით მან თბილისში ააქურდა ბაზის, მოკარტის, ბეთოვენის, პროკოფიევის, მეტერნის, შუმანის, მენდელსონისა და რაველის ნაწარმოებები. მისი პიანისმის ორატორული პათოსი და რაფინირებული მხატვრულობა, ვაკუაციური შემართება და გოლიათური ენერჯია გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. გასაოცარია პიანისტის ბგერწერითი აზროვნებაც. მას დამოორილებული აქვს ბგერათა უსასრულო სამყარო, რომლის მრავალფეროვან სიხედრეს ძალზე რაციონალურად იყენებს.

გილელსის მუსიკო-კონცერტი დიდხანს ემასხვრება თბილისის უნიკალურ საზოგადოებას, როგორც არტისტის, ოსტატობისა და მხატვრულობის მაღალი ეტალონი.

17 მარტს სკკე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წარგობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის იქნტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჭავანძემ მიიღო ე. გილელსი. საუბრის დრის ამხ. გ. მჭავანძემ გამოჩინდა პიანისტს გააცნო საქართველოს კულტურისა და ხელოვნების მუშაობა მიღწევები, საზგამით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულს.

— აპატი შეხვედრები, — თქვა ვ. პ. მჭავანძემ, — ხელს უწყობენ მოძმე კულტურათა დახლოებას, საბჭოთა ხალხების უფრო მჭიდრო მეგობრობას. ამხ. გ. პ. მჭავანძემ გილელსს უსურვა ახალი წარმატებანი მის შესანიშნავ შემოქმედებაში.

ე. გილელსმა მხურვალე მადლობა გადაიხადა მიღებისათვის და ილაპარაკა თავის შემოქმედებით გვემეზზე.

გამოჩინილმა მევიოლინემ ლ. კოვანმა ძალზე სასიამოვნო სიურპრიზი მოუწადა ჩვენს მუსიკის მოყვარულებს. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორის დიდ დარბაზში ერთდროულად კოვანების ოკაინის ოთხი მუსიკოსი გამოდიოდა. ესენი იყვნენ მევიოლინეები — ელისაბედ გილელსი, ლეონიდა და პავლე კოვანები, 15 წლის პიანისტი — ნინა კოვანი. ეს კამერული სადამო ძირითადად ბეთოვენის სავიოლინო სონატებისაგან შედგებოდა. ნინა კოვანი სოლო-ნომრითაც წარსდგა. მან შესასრულა ბეთოვენის 32 ვარიაციონი და ამავე დროს მევიოლინეების აკომპანიატორე გახლდათ. ლეონიდა კოვანის ოჯახში ნიჭიერი მუსიკოსთა საიმედო ცვლა იზრდება. სახელგანთქმული მშობლები ნინასა და პავლეს პატარაობიდან უნერგავენ მაღალ პროფესიულ კულტურასა და გემოვნებას, უვითარებენ სასტრადო გამოცდილებასა და საანსამლო ოსტატობას. მათაც, თავის მხრივ, საინტერესო არტისტული კარიერის განაცხადი წარმოგვიდგინებს.

ამ სადამოს ცენტრში ლეონიდა კოვანი იდგა. მან კულტურულ მოაჯღაფრა მსმენელი ძალზე გამომსახველი ბგერით, კრისტალურად სუფთა ინტონაციით, სახეთა რელიეფურობითა და ვირტუოზული ბრწყინვალებით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულის ფინალურ კონცერტებში საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობდა. ეს არის პიროვნებისოვანი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც უაღრესად ფართო რეპერტუარს ფლობს. თბილისელნი მას პირველად, 1967 წელს შეხვდნენ „რუსული მუსიკის ფესტივალზე“, რომელიც ს. პროკოფიევის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა ჩვენს დედაქალაქში. ეს ორკესტრი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც.

საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრთან გამოდიოდნენ ნიჭიერი ესტრელი დირიჟორი ნევემ იარვი და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მევიოლინე ვლადიმერ ლანცმანი. შესრულდა შოსტაკოვიჩის „საუბნო უფერტიურა“, ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტი და დეორგაკის მერვე სიმფონია.

დირიჟორი ნევემ იარვი პირველად ესტუმრა თბილისს. იგი ტალინის მუსიკალური თეატრის „ესტონიას“ მთავარი დირიჟორი და მხატვრული ხელმძღვანელია, სისტემატურად თანამშრომლობს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრთან, მასთან ერთად მათთვის საგასტროლო კონცერტებს უცხოეთის ქვეყნებში. თბილისელნი მდებარე დირექტორს შეაფასეს ამ გამოცდილი დირიჟორის მკაცრი აკადემიური სტილისა და ტემპერამენტული საგმნულებით მანერის ერთიანობა. განსაკუთრებული შთაბეჭებით აახმიანა მან დეორგაკის მერვე სიმფონია. ეს ყურადსაღებო ფაქტია, რადგან ამ დიდი ჩეხი სიმფონისტის ნაწარმოებებით არც თუ ისე ხშირად სრულდება ჩვენში.

თბილისელნი განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ საბჭოთა საღირორო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს, რსფსრ სახალხო არტისტის გენაიდი როფედსტვენსკის კონცერტებს. ეს ღრმა მოაზროვნე დირიჟორი ჯერ კიდევ 1967 წელს ვაიციანში. თბილისელნი მაშინვე დირექტურად შეაფასეს გ. როფედსტვენსკის ფართო მუსიკალური ირუდიცია. მხატვრული ინტერესების მრავალმხრივობა, მამაკალით დირიჟორული ტექნიკა... მიობილენე მისი მტკიცე შემოქმედებითი უნარებით, რომელიც ჯანსაღი მსოფლმხედრების, მასშტაბურობის, თავდაჭერილობისა და არტისტული შემართების ნაეროს წარმოადგენდა.

ამჯერად კი გ. როფედსტვენსკის ხელოვნებას გამოსახველობითი საშუალებების გაფართოება და მხატვრული რაფინირება დაერთო, რომელმაც თვალსაჩინოდ ცხადყო დირიჟორის შეუნელებელი ძიება საშემსრულებლო აპარატის სრულყოფისა და ნაწარმოებთა დედააზრში ღრმად ჩაწვდომის მიმართულებით. ამის ნათელი მაგალითია სერიაზინის მესამე სიმფონიის ურთულესი პარტიტურა, რომელსაც ძალზე საინტერესო ფილოსოფიური პროგრამა უდევს საფუძვლად: სიმფონიის სამ ნაწილში („ბრძოლა“, „გან-



ბელორუსიის სსრ ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი. დირიჟორი—სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი ი. ვინოვანი.

ცხრომა“ „ღვთაებრივი თამაში“) კომპოზიტორმა განაეითარა თავისი შემოქმედების ძირითადი იდეა — ადამიანის შეგნების ევოლუცია, სულის თავისუფლებისათვის ბრძოლა და მისი მოპოვება, თვითდაგვიდრების სიხარული და სამყაროსთან ჰარმონიული ერთიანობის დამყარება.

მართლაც, მსმენელთა წინაშე მუსიკის შეუნულებელ დინამიკურ ნაკადში ცვლადობიდან მშვენიერი ლირიკული, მილდული და მეამბოხე სახეები, ელვარებიდან განცხრომისა და ტკობის მომენტები, ფეთქადნენ სიხარულისა და ნეტარების წაშები. დირიჟორმა მიანო ძალზე გამჭვირვალე საორკესტრო ქდერადობას, რათა ეჩვენებინა სულიერი მოძრაობის უსარულო ცვალებადობა. იგი გატაცებით მიპყვა თემების განვითარებას, მათი სახეცვლილებებისა და ურთიერთობის რელიეფურ გამოძქრვას. გამაშაჰარავა სკრიპინისეული ორკესტრის ტემბრალური სიმდიდრე. პარტიტურის რთული რიტმული და პოლიფონური კონსტრუქციები.


განსაკუთრებული ესთეტიკური სიამოვნება მოგვკარა მსმენელს რაველის „დაფნისისა და ქლიოას“ საორკესტრო სუიტამ. გ. როჟდესტვენსკიმ ხელის ერთი მოქნევით აამოქ-

მეა ბგერების, ტემბრების, ფერებისა და ბრწყინვალე კოლორიტული ეფექტების სტიქია. ალტყინბუს მიეცნენ საცეკვაო რიტმები, შუწყვეტივ ნავარდობდნენ აღმავალი და დაღმავალი ტალღები, გამომწვევად ქდრდნენ ტრემოლოები.

როჟდესტვენსკი ვნებათა ამ აბოლოქრებულ სამყაროს სიმფონიური განვითარების მკაცრი ლოგიკით თრგუნავდა, რათა განსაკუთრებული სიცხადით აღბეჭდილიყო მელოდირი ბუნების დამატობელი მშვენიერება, ტემბრალური პალიტრის სიმდიდრე და ელვარება. იგი მთელი არსებით სიცოცხლისა და ბუნების ამ სწორუპოვარ ჰიმნში იყო გარდასახული.

როჟდესტვენსკიმ სამი კონცერტი გამართა. შთაგონებით ააქდრა პროკოფიევის, ბეთოვენის, რახმანინოვის, შოსტაკოვიჩის, რაველის, შუშანის ნაწარმოებები. შეასრულა ქართველი კომპოზიტორების — თაქთაქიშვილის, რ. გაბიჩავაის, ჰ. ცინცაძის საორკესტრო პიესები. მასთან ერთად გამოდიოდნენ გამოჩენილი მუსიკოსები — მევილინე ლ. კოვანი, ვიოლონჩლისტი დ. შაფრანი და პიანისტი — მ. სოკოლოვი. როჟდესტვენსკიმ მათთან ნამდილო შე-

თურქმენეთის სსრ დამსახურებული არ-
ტისტი, კომპოზიტორი ა. ქულგაევი და
მომღერალი-აშული ბ. ბაბანიასოვი.



სომხეთის სსრ ფილარმონიის ინსტრუმენტული ანსამბლი. სოლისტი ი. არზუმანიანი.





ესტონეთის სსრ ფილარმონიის სესტრადო ანსამბლი „ლინე“.

მოქმედებით კონტაქტს მიაღწია და ჭეშმარიტი მხატვრული პარმონია დაამყარა.

აქვე შეუძლებელია არ აღინიშნოს გ. როფდესტვენსკის შემოქმედების გარეგნული მხარეების — პულტან დგომის სამაგალითო კულტურა. მთელი კონცერტის მანძილზე მას არ „წამოსცდენია“ არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, უმიჯნო მიხრა-მოხრა.

მთელი მისი მათრგანიზებული ესტიკულაცია რაციონალურად გააზრებული და მინიმუმამდგა დაყვანილი. ამ დირიჟორის სამემსრულებლო აპარატის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს „მოლაპარაკე“ ხელები, უაღრესად მგრძობიარე თითები. ძალზე მკაფიო და ლალი შესვლით, ხელთა პლასტიკური გამომსახველობით იგი ზუსტად და სახვინად გადასცემდა ორკესტრს მრავალფეროვან ემოციურ იმპულსებს, უფაქიზეს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, მუსიკალურ ფერთა გამას, შინაარსის ყოველ დეტალს...

გ. როფდესტვენსკი კარგა ხანია, რაც საკაფშირო რადიო-

სა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელია, ალბათ ამითაც აიხსნება თვალსაჩინო ურთიერთგავება, ორკესტრსა და დირიჟორს შორის დამყარებული ნამდვილი შემოქმედებითი კონტაქტი. თავის მხრივ, ამ ორკესტრში განსაკუთრებით გამახვილებულია ერთსულოვნების ინსტინქტი. რა თქმა უნდა, მხოლოდ მაღალპროფესიულ კოლექტივს შესწევს ძალა ასე სწრაფად და ფაქიზად რეაგირებდეს დირიჟორის ყოველ შესტზე, მიმიკაზე. მინიშნებაზე... ასე რელიეფურად ძერწავდეს ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ კონცეფციებს, მხატვრულ სახეებს, სტილისტურ თავისებურებებს, კონტრასტებს, კულმინაციებს...

თბილისის საზოგადოებრიობას დიდხანს ემასხოვრება საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაული, მუსიკის, მესპიკოსებისა და მუსიკის მოყვარულთა ეს ჭეშმარიტი ზეიმი, შთაგონებული დიდი ბელადის სახელით, მისდამი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით.



მ ძ ლ ა ვ რ ი

ი დ ე უ რ ი ი ა რ ა ლ ი

გივი ბოჯგუა

საბჭოეთს ხალხმა წელს უკვე იზეიმა მრავალი ღირსშესანიშნავი თარიღი, რომელთა შორის ყველაზე გრანდიოზული იყო მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ამ ზეიმში მხურვალედ მონაწილეობდნენ არა მარტო სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა ფართო მასები, არამედ ჩვენი პლანეტის მთელი პროგრესული კაცობრიობა.

მნიშვნელოვანი თარიღებით უხვია მაისიც. ამ თვის პირველ რიცხვში მსოფლიო პროლეტარიატმა იზეიმა მუშათა ძმობისა და სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაული, 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა, 7

— რადიოსი, 9 კი აღნიშნავს გერმანიის ფაშიზმზე ძლევამოსილი საბჭოთა არმიისა და ხალხის ისტორიული გამარჯვების 25 წლისთავს.

5 მაისი ჭეშმარიტად ღირსსახოვარი დღეა ყოველი საბჭოთა ეურნალისტისათვის, რომელიც პარტიისა და ხალხის საკეთილდღეოდ იღვწის გაზეთებისა და ეურნალების რედაქციებში, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში, გამომცემლობებსა და პრესის სააგენტოებში, პოლიგრაფიულ დაწესებულებებში. მათ უერთდება აგრეთვე მთელი არმია სოფლკორებისა და მუშკორების სახით.

ეურნალისტთა ამ დღიებულ ზეიმს საფუძველი ჩაე-

ყარა 1914 წლის 5 მაის გზით „პრავდის“ მეორე წლისთავთან დაკავშირებით და მას შემდეგ რეგულარულად ტარდება. პირველ ხანებში იგი იწოდებოდა მუშათა ბექდვითი სიტყვის დღედ.

საბჭოთა პრესა დიდი ლენინის პირშოთა. ვლადიმერ ილის ძემ არა მარტო შექმნა და მონაწილეობდა შეადგენდა ბოლშევიკური პარტია, დაარსა საბჭოთა სახელმწიფო და სათავეში ჩაუდგა სოციალიზმის შენეზლობას, არამედ ნათლად დასახა საბჭოთა პრესის ფუნქციები, ძირითადი პრინციპები და ამოცანები. მეტიც, ვ. ი. ლენინმა სწორედ გზითის, კერძოდ კი „ისკრის“, დახმარებით ჩაუყარა საფუძველი ბოლშევიკურ პარტიას. გარდა ამისა, როგორც ჟურნალისტი, იგი იყო ბრწყინვალე რედაქტორი და პუბლიცისტი, ბექდვითი სიტყვის დიდი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1901 წელს ჩააოყალიბა პრესის ფუნქციები შრომაში „როთი დავიწყეთ?“ და მიუთითა, რომ გზითი კოლექტიური პროპაგანდისტტიც არის, კოლექტიური ავტორიტორიცა და კოლექტიური ორგანიზატორიც. ფსალფებებელთა ლენინის მიერ დამუშავებული ბოლშევიკური პრესის ძირითადი პრინციპები, რაც გამოიხატა მის ღრმა პარტიულბოლაში, სიძარბოსმოყვარეობასა და ქეშმარტ ხალხობრობაში. ილიჩმა პრესის მთავარ ამოცანად დასახა შრომელთა აღზრდა საბჭოთა საზოგადოების სინამდვილიდან აღებულ ციცხალ, კონკრეტულ, დადებით მაგალითებზე, შეუბოვარი ბრძოლა ყოველვე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის კომუნისზმის მშენებლობას.

ლენინური იდეები პრესისა და მისი როლის შესახებ ახალი საზოგადოების მშენებლობაში ფუძემდებლურია პარტიული ხელმძღვანელობის მხრივაც გზითების, ჟურნალების, წიგნის გამომცემლობების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისადმი. ბელადის იდეებმა ან დარგში შემდგომი განვითარება ჰპოვეს ჩვენს პარტიის მთელი რიგი ბულენუმების გადაწყვეტილებებსა და სკკე XXIII ყროლობის დოკუმენტებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ პრესას, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიას ამოცანად დაუსახა ფართო პროპაგანდა გეულწივ სკკე XXIII ყროლობის გადაწყვეტილებებს, ჩაუნერგონ საბჭოთა ხალხს მაღალი პოლიტიკური შეგნება, აღზარდონ ისინი კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

პრესა პარტიის ერთგული თანამშემეა. ამიტომ იგი მოვალეა ღრმად, ნათლად და გასაგებად გააშუქოს პარტიისა და ხალხის მუშაობა ქვეყნის ეკონომიური მშენებლობის დარგში, გაშალოს მწვევე, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღსაკვეთად. დროულად დაუჭიროს მხარი ყოველვე ახალსა და პროგრესულს, აღზარდოს

მასედი საბჭოთა პარტიორტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მართლად ასახოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ენერგიულად შეუტოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას. პარტია გვასწავლის, რომ შესაძლებელია ორი სამყარო — ბურჟუაზიული და სოციალისტური სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობა, მაგრამ, დაზავება იდეოლოგიაში გამორიცხულია. პრესა პარტიის მძლავრი იდეოლოგიური იარაღია და იგი თანამედუნდა ესმოდით თავს ყოველგვარ გადახვევას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან.

საბჭოთა პრესა სახელმწიფოდ ემსახურება ამ ამოცანების შესრულებას, იგი ფართო საზოგადოებრივ აქტივზე დაყრდნობით ეხმარება პარტიას მთელი რიგი პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. ჩვენს სინამდვილეში პრესა იქცა ხალხის ქეშმარტ ტრიბუნად, მართალი სიტყვისა და საქმის მედროშედ, კეთილ მეგობრად და მჩრეკლად. ყოველივე ამის დასტურად თავის ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში „პრავდა“ კმაყოფილებით წერდა: „ჩვენი პრესის სახელმწიფო ინტენური ტრადიციები — შებრძოლი კომუნისტური იდეურობა და ღრმა პარტიულობა, მასობრობა, მკორი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან. აქტიური მონაწილეობა ახალი საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლაში — განუხრავლად მტკიცებება და ვითარდება“.

ბოლშევიკური პრესა მზად არის პარტიის ყოველ დაძახილზე, მხარში უდგას შრომელ ხალხს, ასე იყო კომუნისტური პარტიის შექმნისას, რუსეთის სამი რევოლუციის წლებში, საბჭოთა ქვეყნის დაარსებისას, სამოქალაქო ომის უმძიმეს დღეებში, სოციალისზმის მშენებლობის დროს, დიდი სამამულო ომის ვითარებაში, ასეა კომუნისზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდშიც.

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა ჟურნალისტებს: „ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია... ვწეროთ ისე, რომ ხელი შევეწყუთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვეცნ ყველაზე პირი და ყველაზე მტკიცე შედეგები“. და საბჭოთა პრესის მუშაკებმა დაწერეს თანამედროვეობის ისტორია მართლად, შეგნებულად, ახალი პუბლიცისტური ხერხებითა და მეთოდებით, კომუნისტური გზებით.

რევოლუციის ბელადი და მგზნებარე პუბლიცისტი მიუთითებდა: „რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი. რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური მსჯელობა. უფრო ახლოს ცხოვრებასთან“. და საბ-

ჭოთა ეურნალისტები მოექცნენ ცხოვრების შუაგულში, ნათლად ვიჩვენეს ჩვენს ქვეყნის მშრომელთა გმირული შემართება.

ვლადიმერ ილიას ძე ეურნალისტიკას განსაზღვრავდა როგორც სასოციალიზმობრეპოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ფორმას, ხოლო ეურნალისტებს თვლიდა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ ეკეთილშობილ ადამიანებად. და საბჭოთა ეურნალისტები გახდნენ ნამდვილი პოლიტიკური მოღვაწენი, პარტიისა და ხალხის უანგარო მსახურნი.

თუ კაბიტალისტური პრესის ძირითადი ნიშნებია სიკრუე, დეზინფორმაცია, ინსინუაცია, საზოგადოებრივი აზრის შემქმნა ბინძურია საშუალებებით და ისიც დიდი კაბიტალის მფლობელთა სასარგებლოდ. საბჭოთა პრესა სიმართლეს ღაღადებს და მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს. და სწორედ ეს არის მიზეზი ბურჟუაზიული პრესის დაქინებისა და სოციალისტური პრესის აყვავებისა. პროპაგანდის მართვად ბიზნესის კანონებით, მაგალითად ნიუ-იორკში, ყოველდღიური გაზეთების რიცხვი 25-დან 4-მდე შემცირდა, ასეთივე საშოროება ელით ლონდონის გაზეთებსაც. თუ ოციოდ წლის წინ პრესის ინგლისელი მგანტი ლორდ ბივერბრუეი აღიარებდა, რომ იგი გაზეთებს სკეპს მხოლოდ პროპაგანდის გასაწევად, დღეს მისი მეგვიდრედ ლორდ ტომსონი ამბობს: „ვიძვირებ, რათა ფული ვაეკეთო, ხოლო ფულს ვაეკეთებ, რათა გაზეთები შევიძინო“.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ყველაფერი ფულზე იყოფება.

ჩვენს ქვეყანაში კი წლითწლით იზრდება ეურნალ-გაზეთების რიცხვი და მათი ტირაჟიც. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგად ხალხის ხელში გადავიდა არა მარტო წარმოების იარაღები და საშუალებანი, არამედ ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანიც. პრესის განვითარება ფეხდაფეხ მიყვებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

პერიოდული პრესა ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, ასევე საქართველოში, ამჟამად ძნელა მოიძებნოს ოჯახი, სადაც არ ჰქონდეთ გამოწერილი ეურნალ-გაზეთი; პრესა, რადიო, ტელევიზორი მილიონობით ოჯახის საარსებო აუცილებლობას შეადგენს. მათი შემცობებით დამოკლდა მანძილი ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის. უსაზღვროდ გაიზარდა მოსახლეობისადმი ინფორმაციის მიწოდების საშუალებანი. თუ 1913 წელს რუსეთში ყოველ 100 სულ მოსახლეობრივად გაზეთის მხოლოდ ორი ეგზემპლარი, 1967 წლისათვის ყოველ ორ საბჭოთა მოქალაქეს თითო გაზეთი ჰქონდა. ეს კი ნიშნავს, რომ 1913 წელთან შედარებით გაზეთების რიცხვი 30-ჯერ და მეტად გაი-

ზარდა. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავზე სსრ კავშირში გამოდიოდა 7.967 სახელწოდების გაზეთი 110,4 მილიონი ტირაჟით. აღსანიშნავია, რომ ბევრი ცენტრალური ეურნალ-გაზეთი გამოდის მრავალმილიონიანი ტირაჟით. 1966 წელს მარტო გაზეთ „პრავდა“ ტირაჟმა ორჯერ გადააჭარბა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამდე გამოსული ყველა გაზეთის საერთო ტირაჟს.

ჩვენს ქვეყანაში 5.000-მდე დასახელების ეურნალი გამოდის, მათ შორის სსრ კავშირის ხალხთა 45 და 17 უცხო ენაზე. მათი წლიური ტირაჟი 2,3 მილიარდ ცალამდე აღწევს. სსრ კავშირის ყველა გაზეთისა და ეურნალის ერთჯერადი ტირაჟი საკმაოდ აღემატება ჩვენს ქვეყნის მოსახლეობის რიცხვს (260 მილიონზე მეტია). მნიშვნელოვან გაიზარდა წიგნების გამოცემაც — ყოველ წუთში საბჭუთი მანქანიდან ჩამოდის 2.400 წიგნი და ბროშურა, რაც დღეში საშუალოდ 3,5 მილიონ ცალს უდრის. მსოფლიოში გამოსული წიგნების ერთი მეოთხედი სსრ კავშირზე მოდის.

წიგნის ბაზარზე ყოველწლიურად გამოდის სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა 15 ათასზე მეტი გამოცემა 1,2 მილიარდი ცალის რაოდენობით, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირში ამჟამად ყველა ერსა აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო მშობლიურ ენაზე.

წელს განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნება ბეჭდვითი სიტყვის დღე, რადგან იგი დაემთხვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების სათუბილო თარიღს. პარტიამ მოუწოდა ეურნალისტებს: „პრესაში ყოველმხრივ აისახოს ლენინის ცხოვრება და მრავალმხრივი რევოლუციური მოღვაწეობა, ლენინური იდეების თეორიული სიმდიდრე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი კომუნისტური მოძრაობის ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის“.

პარტიის მოწოდების პასუხად საბჭოთა ეურნალისტებმა, ძველმა რევოლუციონერებმა, პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს პრესის ფურცლებზე.

ამ საქმეში თვითნაი წვლილი შეიტანეს ჩვენს რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც. საქართველოს ეურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა მრავალი შინაარსიანი გვერდი, სტატია, მოგონება, ნარკვევი, წერილი თუ ფოტო, რომლებშიც სრულყოფილად აისახა დიდი ბელორისა და ეურნალისტის ცხოვრება და მოღვაწეობა. რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებმა, მწერლებმა ახალ-ახალი ნაწარმოებები უძღვნეს ვლადიმერ ილიას ძის სახელოვან იუბილეს, მოაწყეს კონკურსები და გამოფენები, გაიმართა ამი-



ა. ბილაჩიშვილი.

ლენინი.

ერკავკასიის ხალხთა პოეზიის დღესასწაული. გამოცემლობებმა შესანიშნავი წიგნებითა და კრებულებით გაახარეს მკითხველები, საქართველოს რადიო და ტელევიზია ყოველდღიურად გადასცემდა ლენინისადმი მიძღვნილ მიმზიდველ მასალებს.

საბჭოთა ჟურნალისტების მთავარ თემად იქცა დიდი ლენინიანა, ხალხის გმირული შრომის, საბჭოთა სინამდვილის სრულყოფილად ასახვა, მაგრამ მათ არ ავიწყდებათ ლენინისავე მითითება იმის შესახებ, რომ ყოველი ზეიმის დროს ყურადღება გაამახვილონ ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე. ამიტომ საბჭოთა ჟურნალისტები საზეიმო დღეებშიც წერენ შუწავე კრიტიკულ სტატიებს, სუსხიან ფელეტონებს, პრინციპულად იბრძვიან ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბეჭდვითი სიტყვის დღეს შეუძლებელია არ მოვიგონოთ ის ჟურნალისტები, რომლებიც უშუალოდ დიდი სიამაღლო ომის ფრონტებზე ვეაქციურად განაგრძობდნენ ხიფათით სავსე შემოქმედებით მუშაობას. ომის ქარ-ცეცხლში შექმნილი მათი ინფორმაციები, წერილები, რეპორტაჟები, ნარკვევები, სტატიები, ფოტოები მართლად ასახავდნენ სამკედრო-სასიოცოხლო ბრძოლის ნამდვილ ვითარებას, შერისძიებით აღანთებდნენ საბჭოთა ადამიანებს ფაშისტ მომხედურთა წინააღმდეგ საბრძოლველად, დედასამშობლოს დასაცავად. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც, მთაიკოსესის თქმისა არ იყოს, კალამი ხოშტს გაუთანაბრეს, ხოშტითაც იბრძოდნენ და კალმითაც, ტყვიითაც მუსრავდნენ მტერს და მახვილით ამოწყდილი, მიზანში მოხვედრილი სიტყვითაც ანადგურებდნენ. ჯარისკაც-ჟურნალისტთა არმიას მაშინ მწერალთა და ხელოვნების მუშაეთა მძლავრი ნაკადიც შეერია, რომელმაც თამამად ვაცვალა სამოქალაქო ტანსაცმელი სამხედრო მუნდირში და იქ იყო, სადაც უფრო ჭირდა. მათ შორის იყვნენ ქართველი ჟურნალისტები, მწერლები, ხელოვანნი. მათაც ჭედნენ დიდი გამარჯვება, ბერლინამდე მისდეს მტერს და საკუთარ ბუნავში დააჩოქეს „მიხაკისფერი ჭირი“.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, მაგრამ დღესაც არ დავიწყენია ხალხს ავბეღითი წლები ომისა. ჯერაც არ დაუწყებიათ ტკივილები გულდათუთქულ დედებს, შოსან ცოლებსა და დებს, დაობლებულ ბავშვებს. მძიმე იყო მშვიდობიანი ხალხის ზვედრი იმ წლებში, მაგრამ გაიმარჯვა ერთობამ, ძმობამ, სამშობლოსადმი სიყვარულმა. გაიმარჯვა სამართლიანმა საქმემ. სეგბენიერმა ხალხმა არ ისურვა ფაშისტური უღლის დადგმა და კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით გაუძლო საშინელ ქარტხილს. სევასტოპოლისი, კურსკის, სტალინგრადის, მოსკოვის,

დ
ა
ბ
ტ
ი
სი
ბ
ს
ტ
რ
ლი
დ
ნი
ერ
სა
ი
ლი

პიტლეოული გეოგრაფიის გასადაგეოვილად. ეს კარგად ესმით მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხთან, მის შვიარალებულ ძალებთან ერთად მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა ზეიმობს სსრ კავშირის დიდი სამაშულო ომის ძღვევამოსილად დამთავრების 25 წლისთავს.

ახლა საბჭოთა ჟურნალისტების მთელი ძალები იქითვე არის მიმართული, რომ მთელ მსოფლიოს ამცნონ სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა. ისინი მკაცრად აკრიტიკებენ და გმობენ რევანშისტული ძალების ხრეკებს — ახალი მსოფლიო ომის ცეცხლში გაახვიონ მშვიდობიანი და მშვიდობისმოყვარე ხალხები.

საბჭოთა პრესა, ლენინის ანდერძისამებრ, კვლავაც იქნება პარტიის ერთგული თანამშემე, მისი იდეების გამტარებელი ცხოვრებაში, ხოლო საბჭოთა ჟურნალისტები მომავალშიც გაამდიდრებენ ახალი ბრწყინვალე ფურცლებით იმ ძვირფას წიგნს, რომელსაც თანამედროვეობის მატთანე ჰქვია. ბეჭდვითი სიტყვის ყოველი მომდევნო ზეიმი მუდამ იქნება ჩვენი ჟურნალისტების ძლიერების, იდეური და პროფესიული სრულყოფის დათავლიერების დღე.

შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა წრეები და ორგანიზაციები, მოემზადებინა იდეური და ტაქტიკური ერთიანობის პირობები და, ამრიგად, საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი კომუნისტური პარტიის შექმნისათვის.

ლენინი წერდა: „ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ პარტიის ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც რეგულარულად ვამოყვამ და მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყველა ადგილობრივ ჯგუფთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატების მთელი მოღვაწეობა მთელ უახლოეს მომავალში წარმართულ უნდა იქნას ამ საქმის ორგანიზაციისაკენ. თუ ასეთი ორგანო არ გვექმნება, ადგილობრივი მუშაობა დარჩება ვიწრო „კუსტარულადა“, პარტიის შექმნა, — თუ ორგანიზებული არ არის ამ პარტიის სწორი წარმომადგენლობა გარკვეულ გაზეთში, — დარჩება მეტწილად ლიტონ სიტყვად. ეკონომიურ ბრძოლას, რომელსაც არ აერთიანებს ცენტრალური ორგანო, არ შეუძლია გახდეს მთელი რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლად.“¹

ლენინმა სტატიაში „ჩვენი უახლოესი ამოცანა“, გვიჩვენა თუ რატომ იყო აუცილებელი მთელი ძალების გამოყენება პარტიის ისეთი ორგანოს შექმნისათვის, რომელიც რევოლუციური სულისკვეთებით გამოვიდოდა, ეს გამოწვეული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატის თავისებური მდგომარეობით, რომელიც განირჩეოდა სხვა ევროპული ქვეყნების სოციალ-დემოკრატისა და რუსეთის ძველი რევოლუციური პარტიებისაგან. გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მუშებს, გაზეთების გარდა მრავალი სხვა საშუალება ჰქონდათ თავიანთი მოღვაწეობის საჯარო გამოვლენისა და მოძრაობის ორგანიზაციისათვის: პარლამენტური მოღვაწეობა, საარჩევნო აკტივაცია, სახალხო კრებები, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებებში (საეროზოსა და საქალაქოში) მონაწილეობა, ხელოსანთა (პროფესიული საამქრო) კავშირების ლეგალურად გაძღოლა და სხვ. „ჩვენში, — წერდა ლენინი, — ყველა ამის ნაცვლად — ვიდრე პოლიტიკური თავისუფლება ბრძოლით არ მოგვიპოვებია — არის რევოლუციური გაზეთი, ურომლისოდ ჩვენში შეუძლებელია მთელი მუშათა მოძრაობის რაიმე ფართო ორგანიზაცია.“²

ლენინის აზრით, გაზეთი უნდა ყოფილიყო ხალხური, მუშური, იგი უნდა მდგარიყო მოწინავე მუშების დონეზე, მას მუდამ უნდა აემადლებინა თავისი დონე, თვალყური ედევნებინა მსოფლიო სოციალ-დემოკრატის ყველა ტაქტიკური, პოლიტიკური და თეორიული საკითხისათვის. მხოლოდ მაშინ დაემკაცოფილდებოდა მუშათა ინტელიგენციის მოთხოვნილებები და თვითონ იგი აიღებდა თავის ხელში რუსეთის მუშათა საქმეს. მასსადავმა, რუსეთის რევოლუციის საქმესაც. ასეთი გაზეთი იყო „ისკრა“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 დეკემბერს ლენინის ხელმძღვანელობით. „ისკრის“ მოღვაწეო-

ნუგზარ ბოკუჩავა

საბჭოთა პრესის ძირითადი პრინციპები ვ. ი. ლენინმა დაამუშავა ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, მაშინ, როცა ლენინი და მისი თანამოაზრეები იბრძოდნენ რუსეთში მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად. ამ პერიოდში პოლიტიკური წრეები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, კუსტარულადა და წრეობანობა ღრღინდა პარტიას, დამახასიათებელი იყო იდეური დაქსაქსულობა პარტიის შინაგან ცხოვრებაში. ამ დროს პარტიის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო იყო საყოველთაო რუსული არალეგალური გაზეთის დაარსება. მხოლოდ ასეთი გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში პარტიის ხმაშეწყობილი ბირთვის

ბამ სერიოზულად შეუწყო ხელი მომავალი რევოლუციის მომზადებას. ლენინმა „ისკრის“ გამოსვლის წინ, თავის მიერ 1900 წლის სექტემბერში დაწერილ „ისკრის“ რედაქციის განცხადებაში“ კატეგორიულად ჩამოაყალიბა გაზეთის ერთ-ერთი პრინციპიატანა — პარტიულობა. მისი აზრით, გაზეთი არ უნდა გადაქცეულიყო სხვადასხვა-გვარ შეხედულებათა უბრალო საწყოებად. „ჩვენ, — წერდა ლენინი, — გაგუძღვებით მას გარკვეული მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა შეიძლება გამოთქმულ იქნას ისტყვიით: მარქსიზმი და, მეონი, საჭიროც არ არის დაეუმატოთ, რომ ჩვენ მარქსისა და ენგელსის იდეების თანმიმდევარი განვითარების მომხრე ვართ და გადაჭრით უარვყოფთ იმ ხან-ვერად ბუნდოვან და ოპორტუნისტულ შესწორებებს, რომ-ლებიც ახლა მოდად არის შემოსული.“³ განცხადებამ ლენინი ლაპარაკობდა, რომ გაზეთი, „ისკრა“ მისახლეობს ურავლეობის, ხალხის, ე. ო. პროლეტარიატის კუთ-ვნილი ორგანო იქნებოდა. იგი გადაიქცეოდა საერთო სა-სახლბო მხილებების ტრიბუნად. პოლიტიკური მხილება კი ლენინის აზრით, წარმოადგენდა მთავრობისადმი ოპის გამოხატვას. ისევე როგორც ეკონომიური მხილება უცხა-დებდა ომს მეფობრიკეებს. ეს გაზეთის მისცემდა დიდი ზნე-ობრივი მნიშვნელობას, ე. ო. მუშათა კლასის პოლიტიკური ავტორდელის მნიშვნელობას.

ლენინმა თავის ცნობილ შრომებში „რით დავიწყეთ?“ და „რა ვაკეთოთ?“ გვიჩვენა, რომ გაზეთი არის არა მარ-ტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგი-ტატორი, არამედ, კოლექტიური ორგანიზატორი. გაზეთი მან შეადარა ხარაოებს, რომლებიც კვირდება ასაბეტი შე-ნობის გარშემო, სახავს შენობის გარემოხაზულობას, ად-ვილებს ურთიერთობას ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხ-მარება მათ მუშაობის განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების შემოწმებაში. უფ-რო მეტიც: რევოლუციის გარითრაზე გაზეთს შეეძლო ბიძ-გი მიეცა ადამიანებისათვის შეუჩერებელი ევლოთ წინ, რე-ვოლუციის განკენ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის ახალი აღმე-ლობის წლებში — 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) შე-ქმნილ, ბოლშევიკურ ლეგალურ გაზეთს „პრავდას“. ჰე-ტემბურგის მუშების ყოველდღიური გაზეთის შემქნა უდი-ესი მოვლენა იყო. ლენინმა ჩამოაყალიბა ამ გაზეთის ძირითადი ფუნქცია. „პრავდას“ მუშებისათვის უნდა ეს-წავლებინა ბრძოლა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მიე-ცა მათთვის ერთობლივი პოლიტიკური მოქმედების ჩვევა, გამოემუშავებინა მათში დიად საერთო-სახალბო ამოცანა-თა შეგნება. იგი ცდილობდა გაზეთი საბრძოლო, რევოლუ-ციური სულსისკვეთებით წარმართულიყო და ნამდვილად მასობრივი გამხდარიყო. მართლაც, „პრავდა“ გადაიქცა ნამდვილ მუშურ გაზეთად. იგი მართლად ასახავდა არა მარტო მუშათა კლასის მდგომარეობას, არამედ მოუწო-დებდა მას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ერთიანო-ბისკენ.

ლენინი წერდა: „ნამდვილად მუშური, ე. ო. ნამდვილად მუშების ფულით არსებული გაზეთი, პარტიული ხაზის გა-მტარებელი, უდიდეს ორგანიზაციულ აპარატს წარმოად-გენს.“⁴

უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა პრესას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. როცა მუშათა კლასმა პოლიტიკური ძალაფრებმა აიღო, პარტიის წინაშე დიასხა ურთილები ამოუგნა: ახა-ლი ეკონომიკის ორგანიზაცია და ამისათვის ხელმძღვანე-ლი კადრების აღზრდა. ლენინი შრომაში „პირვანდელი მონახაზი სტატისისა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, მოითხოვდა, რომ პირველ ადგილზე პრესას დაესვა შრომის საკითხები. პრესას უნდა გამოექვეყნებინა სწორედ ის, რასაც უმაღლესდენ მასს კაპიტალისტურ სა-წარმოთა ხელმძღვანელები. ისინი საწარმოთა შინაგან ორ-განიზაციას ფარავდენ კომერციული საიდუმლოებით. საბ-ჭოთა ხელისუფლებისათვის კი შრომის ორგანიზაცია, ლენინის თქმით, მიეღო საზოგადოებრივი ცხოვრების ყვე-ლაზე მთავარ, ძირითად საჭირობოროტო საკითხს წარმოა-დგენდა. ლენინი მოითხოვდა, რომ პრესა გადაქცეულიყო სენსაციის ორგანოდან (როგორც იგი იყო და არის ბურ-ჟუაზიულ საზოგადოებაში), პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების უბრალო აპარატოდან, ბურჟუაზიული სი-ცრუის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდან — მასის ხელ-ახალი ეკონომიური აღზრდის იარაღად, მასისათვის იმის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო შრო-მა ახლებურად, „სისტემატრად უნდა მოგვიდოთ ხელი იმას, — წერდა ლენინი, — რომ, ერთიანად ცრუ და თავ-ხედურად — ცილისმწამებლური ბურჟუაზიული პრესის დაუნდობლად დათრგუნვასთან ერთად, წარმოებულ მუშა-ობა ისეთი პრესის შემქმნისათვის, რომელიც კი არ უნდა ართობდეს და აპრიყვებდეს მასებს პოლიტიკური ჰიკანტუ-რი ამბებითა და სისულელებით, არამედ მასების მსჯავრ-დასადგებად უნდა გამოქონდეს სწორედ ყოველდღიური ეკონომიკის საკითხები, ხელს უწყობდეს მათს სერიოზუ-ლად შესწავლას.“⁵

სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპებზე, შესაბამისად, იცვლებოდა და ფართოვდებოდა საბჭოთა პრესის ამოცანები, მაგრამ ლენინის მიერ შემუშავებული პრინციპები ყოველთვის ურყევნი რჩებოდნენ.

საბჭოთა პრესის (ისევე როგორც ლიტერატურის, ხე-ლოვნების, ფილოსოფიის, საერთოდ, მეცნიერების) ძირი-თად ლენინურ პრინციპს წარმოადგენს — პ რ ი ნ ც ი პ ი კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი უ ლ ო ბ ის ა .

პრესის პარტიულობის პრინციპი ლენინმა დეტალურად დაამუშავა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლი-ტერატურა“, რომელიც დაიბეჭდა პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ნოვია ვიზნის“ № 12-ში 1905 წლის 13 ნოემბერს. რუსეთში ამ დროს გაბოხვლა იწყო არა მარტო ბოლშევიკების ლეგალურმა გამოცემებმა, არა-



ა. ვეფხვაძე.

რევოლუციის შტაბი.

ტ. ბარდაძე.

„სონატა“ „აბასიონატა“.



მედ ნახევრად პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული პარტიების გამოყვამება. როცა პრესის მეშვეობით სცენაზე გამოვიდნენ რევოლუციის საბოლოო გახვეული რევოლუციის თანამგზავრები, ნამდვილად კი რევოლუციისა და რევოლუციური მარქსიზმის მტრები. სწორედ ისინი გააკვიროდნენ ლიტერატურის, პრესის თავისუფლებას. ლენინისა და მისი თანამოაზრებისათვის აშკარა იყო მათი მიზანი: ზემოქმედება მასებზე და მათი შეგნების გახარწვა, მათი ჩამოცილება რევოლუციისაგან.

ლენინმა ცარიელ ფრასს ლიტერატურის, პრესის თავისუფლების შესახებ, დაუპირისპირა ლიტერატურისა და პრესის პარტიულობის პრინციპი. იგი წერდა: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონ-კაცური ანარქიზმისა“ და მოგებისადმი მისწრაფებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წაშაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორცილოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით“.⁵ მისი განმარტებით ლიტერატურის პარტიულობის ეს პრინციპი იმასი მდგომარეობს, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი და ინდივიდუალური საქმე იყოს. ლიტერატურული საქმე ლენინს წარმოედგინა, როგორც საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი, პარტიული მუშაობის ნაწილი. ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მეტენიზმის „პატარა ბიზნისი და სხვანი“, რომელიც მოძრაობაში მოკავდა მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. იგი აყენებდა საკითხს, რომ გახუთები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციის ორგანოები უნდა გამხდარიყვნენ. გამომცემლობანი და საწყობები, მაღაზიები და სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და წიგნების სხვადასხვა სავაჭრო — ყველა ესეი უნდა გამხდარიყვნენ პარტიული, ანგარიშვალდებულნი.

ლენინმა დაასაბუთა, რომ პრესისა და ლიტერატურის აბსოლუტური თავისუფლების შესახებ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების სიტყვები წარმოადგენენ მხოლოდ ფანტაზიას. საზოგადოებაში, სადაც შრომელი მასები გადატაკებული არიან და ერთი მუკა მდიდრები მუქთაბორბონი, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება“. „განა თქვენი, — კიბხულობდა ლენინი, — თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლობისაგან, ბატონი მწერლო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებრიობისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩობას? ან სურათებში, პროსტიტუციას „წმინდა“ სასცენო ხელოვნების „დამატების“ სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრანკა (ვინაიანი, როგორც მსოფლმხეველობა, ანარქიზმი უკუღმა გადმოიბრუნებული ბურჟუაზიულობა). არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდეს და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის,

მხახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მშრომელთა შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბფარებული) და მოკიდებულია ფულის ქიხისაგან, მოსყიდვისაგან, ხასიბისაგან“.⁷ ლენინი მოითხოვდა სოციალისტებისაგან ამ ფარისევლების მხილვებს, ყალიბ აბრების ჩამოღობას, რათა ფარისევლურად თავისუფალ, ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დაპირისპირობოდა ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან ავსრულად დაკავშირებული ლიტერატურა, ლიტერატურა თავისუფალი იქნებოდა, იმიტომ რომ, სოციალიზმის დედა და მშრომლებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავდა ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. იგი სამსახურს გაუწევდა მილიონობით და ათეულ მილიონობით შრომებებს, რომელნიც ქვეყნის საეკონომიკურ ნაწილს, მის ძალებს, მის მომავალს შეადგენენ. „ჩვენ ვესურს, — წერდა ლენინი, — შევქმნათ და კიდევაც შევქმნათ თავისუფალ ბეჭდვით სიტყვას, თავისუფალ არა მარტო პოლიტიკისაგან, არამედ აგრეთვე კაპიტალისაგან — ესეც ცოტა: აგრეთვე ბურჟუაზიულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმისაგან თავისუფალსაც“. განათლების მუშაობა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე თავის სიტყვაში ლენინი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა, რომ ასეთი თავისუფალი პრესა შეიქმნა საბჭოთა რუსეთში. „პრესის თავისუფლება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, — აღნიშნავდა ლენინი, — ეს ნიშნავს პრესითა და ხალხის მასებზე ზემოქმედებით ვაჭრობის თავისუფლებას. პრესის თავისუფლება — ეს არის პრესის ხალხის მასებზე უძლიერესი ზეგავლენის თავისუფლება, რომელიც ბოლშევიკებმა დაარღვეეს. და ისინი ამასობით იმით, რომ პირველად გაათავისუფლეს პრესა კაპიტალისტებისაგან, რომ მათ პირველად შეძლეს უდღეს ქვეყანაში ისეთი პრესა, რომელიც არ არის დამოკიდებული ერთი მუკა მდიდრებისა და მილიონერებისაგან, პრესა, რომელიც მთლიანად ემსახურება კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს; და ამ ბრძოლას ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ ყველაფერი“.⁸

ლენინის მოძღვრებას პრესის პარტიულობის შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეტაპზე, როცა კომუნისტური პარტია კომუნისმის მშენებლობის ყველა ფორნტზე აწარმოებს აქტიურ შეტევას, მიმდინარე მონეტში პარტიულობის პრინციპიდან გამომდინარე საბჭოთა პრესის ამოცანას შეადგენს ხელი შეუწყოს თითოეული შრომელის მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებას, აღზარდოს საბჭოთა ადამიანები მაღალი იდეურობისა და კომუნისმის იდელებისადმი უსაზღვრო თავდადების, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულიცხვეთებით, მან გადააწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ბურჟუაზიული იდეოლოგიას, წარსულის გადმონაშთებს ყოფიანცხოვრებაში და ადამიანთა შეგნებაში. ეს არის პრესის სამსახური ხალხისადმი. სწორედ ამით განსხვავდება საბჭოთა პრესა ბურჟუაზიული პრესისაგან, რომელიც მეითხველებს უნერგავს ბურჟუაზიისათვის სასარგებლო პოლიტიკურ შეხედულებას და რწმენას.

პრესის პარტიულობის პრინციპიდან გამომდინარეობს მისი მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც პრესის მალაღიერებელი მდგომარეობის.

მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თანამედროვე ეპოქაში მწვავედ დგას საკითხი პარტისტულ-ლენინური თეორიის სიწმიდისა და მალაღიერებულობის შესახებ. ღრმა სოციალურ ცვლილებებთან ერთად, რასაც ადგილი აქვს მსოფლიოში, მიმდინარეობს ორი იდეოლოგიის — კომუნისტურისა და ბურჟუაზიულის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ასეთ პირობებში ლენინური პარტიის არსებობის აზრს და მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს კომუნისტური, დიდი კეთილშობილი იდეალების ცხოვრებაში გატარება, იდეოლოგიის ყველა საშუალებით თავგამოდებით ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამ დიდი ამოცანების განხორციელების საქმეში უაღრესად საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა პრესას.

საბჭოთა პრესაში გაბეჭდილად მუშავდება და პროპაგანდა ეწევა აქტუალურ პოლიტიკურ, სამეურნეო, იდეოლოგიურ და მორალურ-ეთიკურ პრობლემებს. გაზეთები და ჟურნალები განაზოგადებენ პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელი მუშაობის გამოცდილებას. საბჭოთა პრესა წარმოადგენს პარტიის მებრძოლ იარაღს, რომელიც ხალხს აძლევს იდეურ საკვებს.

მისი გამო, რომ საბჭოთა პრესა პარტიულია და მალაღიერება, იგი სიმართლი მქადაგებელია. ეს არის ჩვენი პრესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

საბჭოთა „პრავდის“ პირველი ნომერიში ლენინი წერდა: „მუშათა კლასს ესაჭიროება იცოდეს სიმართლე! მუშათა გაზეთმა „პრავდამ“ უნდა გაამართლოს თავისი სახელწოდება; ამით იგი უსარსებებს თავის დანიშნულებას“.

საბჭოთა პრესის ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებას ლენინი შემდგამავ რაერთხელ შეხებია. სტალინიმ, ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“ (№ 202. 1918 წ. 20 სექტემბერი), იგი ბრძოლა უცხადებს ძველ თემებზე ზედმეტ პოლიტიკურ აგიტაციას, პოლიტიკურ რახარებას, მოთხოვნს გაზეთების მეშვეობით ახალი ცხოვრების ფაქტების სიმართლი ჩვენებას.

საბჭოთა პრესის ბუნებიდან გამომდინარეობს ერთ-ერთი მისი მნიშვნელოვანი პრინციპი — ხალხურობა.

ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღიდანვე საბჭოთა პრესა ისტორიაში პირველად გამოხატავს გამარჯვებული მუშათა კლასის, მთელი მშრომლების ინტერესებს. იგი გამოხატავს მათს ფიქრსა და მისწრაფებებს, სარგებლობს მასების მუდმივი მხარდაჭერით. ამით აიხსნება ის, რომ საბჭოთა პრესა, როგორც პროლეტარიატის იარაღი, სოციალისტური საზოგადოებაში იქვეყნა საერთო სახალხო, ბასრ იარაღად კაცობრიობის მომავლის, კომუნისმის ასაშენებლად.

ჩვენი პრესის ხალხურობის საუკეთესო დამადასტურებელი

ლია ის, რომ საბჭოთა კონსტიტუციით ყოველი მოქალაქე სარგებლობს პრესის თავისუფლებით. ოქტომბრის რევოლუციამ ეს თავისუფლება წაართვა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. „დედგენით ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“ საბჭოთა მთავრობამ ადგენა კონტრევოლუციური გაზეთების მტრული საქმიანობა, ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობამ მშრომლებს გადასცა საუკეთესო გამომცემლობები, ქაღალდის ფაბრიკები, ფულადი დახმარება და სხვ. ნინავის მშრომლისათვის პრესის თავისუფლების უზრუნველყოფას სინამდვილეში. ლენინი თავის დროზე იბრძოდა ბეჭდვითი სიტყვის არაპროლეტარული გაგების წინააღმდეგ. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი 1921 წლის 5 აგვისტოს წერილი გ. მასანიკოვისადმი. ლენინი აღშფოთებული იყო მოთხოვნით, გამოცხადებულიყო „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მონარქისტებიდან ანარქისტებამდე ჩათვლით.“ ლენინი იქვე ამტკიცებს ამ მოთხოვნის ანტიპროლეტარული ხასიათს.

ლენინი ხაზს უსვამდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში, — წერდა ლენინი, — სადაც არსებობენ კაპიტალისტები, არის თავისუფლება — იყიდონ გაზეთები, იყიდონ მწერლები, მოიხადონ, იყიდონ და შეთხზან „საზოგადოებრივი არა“ ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ეს ფაქტია. ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეძლებს მის უარყოფას.“¹⁰

საბჭოთა რუსეთის სინამდვილეში, როცა დამარცხებული ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი და კვყავანა გარსემოტრცემული იყო მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მტრებით, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მოთხოვნა ნიშნავდა ბურჟუაზიისა და მისი უერთგულესი მსახურების, მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკური ორგანიზაციის თავისუფლებას. ბურჟუაზია მთელ მსოფლიოში რუსეთის პროლეტარიატზე ბევრად უფრო ძლიერი იყო და მისთვის პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრად დასუქდელის — ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მიცემა ნიშნავდა მტრისთვის საკმის გადაცემებას; კლასობრივი მტრისადმი დაზნარებას. ლენინი მაინც, რომ ეს იქნებოდა თვითმცველობა. „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება“ — წერდა იგი, — საქმით ნიშნავს საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ ასობით და ათასობით კადეტს, ესერს და მენშევიკ მწვერლოს დაუყოვნებლივ შესყიდვას და ჩვენს წინააღმდეგ მათი პროპაგანდის, მათი ბრძოლის ორგანიზაციის... არა, ჩვენ ამას არ ვიზამთ, ჩვენ მსოფლიო ბურჟუაზიის არ დავეხმარებოთ... თქვენ დაგვიწყვიტეთ წერილმანი, სრულიად პაუზისა წერილმანი; სახელობრ: მსოფლიო ბურჟუაზია და მისი „თავისუფლება“ — იყიდოს თავისი თავისი გაზეთები, იყიდოს თავისთვის პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრები. არა, ამ გზით ჩვენ ვერ წავალთ. ათასი შეგანული მუშიდან ცხრაასი ამ გზით ვერ წავა.“¹¹



ი. ვეფხვაძე.

ლენინი და კრუპსკაია.

კ. სინაძე.

ლენინი რაზლივში.





ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც ხალხი მთელ თავის ნიჭსა და ენერჯიას უქვემდებარებს ერთ კეთილშობილურ მიზანს — დიდი კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

ამგვარად, ჩვენი პრესა ხალხურია, რადგან იგი გამოსატყავს ხალხის ინტერესებს, ამასთან იგი მასობრივია, პრესის მასობრიობა საბჭოთა პრესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

ჯერ კიდევ „ისკრის“ პერიოდში ლენინი მოითხოვდა გაზეთის ირგვლივ შემოკრებილიყვნენ არა მარტო პროფესიონალი ლიტერატორები, არამედ უფართოესი მუშათა ჯგუფები — მუშა-კორესპონდენტები. 1904 წელს თავის ცნობილ „წერილში ამხანაგებისადმი“ იგი წერდა: „ეს გაუგებრობაა, თითქოს სწორედ ლიტერატორებს და მხოლოდ ლიტერატორებს (ამ სიტყვის პროფესიული აზრით) შესწევთ უნარი წარმატებით მიიღონ მონაწილეობა ორგანოში; პირიქით, ორგანო მაშინ იქნება ცოცხალი და ცხოველყოფილი, როცა ხუთ ხელმძღვანელს და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორებს შორის ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არა ლიტერატორია“. და, იქვე, მოწოდებით მიმართავდა: „ჩვენ ცხოვრებულს, განსაკუთრებით კი მუშებს, მოგვარდნის კორესპონდენტები. ფართო შესაძლებლობა მიეცით მუშებს წერონ ჩვენს გაზეთში, წერონ პირდაპირ ყველაფერზე, წერონ რაც შეიძლება მეტი თავიანი ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ინტერესებაზე და მუშაობაზე, — ამ მასალის უქონლად სოციალ-დემოკრატიული ორგანო არაფრად ეღიროს და სოციალ-დემოკრატიული სახელწოდების ღირსიც არ იქნება“. ¹²

ლენინს ეკუთვნის მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა ფართო ქსელის საგაზეთო მუშაობაში ჩაბმის იდეა. იგი მიიღო და მუშებთან და დაწვრილებით გეზობილად მათგან ყველაფერს. ამავე დროს მან აღზარდა ბოლშევიკ კორესპონდენტთა მთელი პლეადა: ი. ბაბუშკინი, ვოიკოვი, დემიან ბედნი და სხვ.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პარტია და ხელისუფლება იბრძვის საბჭოთა პრესის საფუძვლის — მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის ჭეშმარიტად მასობრივ მოძრაობად გადაქცევისათვის. ამ მოძრაობის ცენტრი იყო პრესაში „პრავდა“. შ. ი. ულიანოვას ხელმძღვანელობით „პრავდის“ რედაქციაში ეწყობოდა მუშკორთა რევოლუციური კრებები, სადაც იხილებოდა მუშკორთა კორესპონდენტები, მათ ეძლეოდათ სათანადო დავალებები. „პრავდასთან“ შეიქმნა მუშკორთა კლუბები.

თანამედროვე პირობებში გარეშე ავტორთა კოლექტივთან მჭიდრო კავშირი ჩვენი ყველა გაზეთის, ჟურნალის და გამომცემლობის, რედაქციების ძირითადი აღთქანაა.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მასობრიობა მისი ძალის, მისი მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

საბჭოთა პრესა მძლავრი იარაღია ნაკლოვანებათა მხი-

ლებისა და მისი გამოსწორების საქმეში. იგი თანამედროვეობით იბრძვის ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა პრესის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს შეადგენს კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.


რედსაგ ლენინი აყალიბებდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ძირითად პრინციპებს, გაზეთებისაგან მოითხოვდა არა „წერილმანებისადმი“ გამოყიდვებს, არამედ, დიდ, ტიპურ ნაკლთა მხილებას.

თანამედროვე საბჭოთა პრესა ვ. ი. ლენინის ამ მოთხოვნებით ხელმძღვანელობს. იგი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის ჭეშმარიტი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამოსვლას, ცდილობს ჩაახშოს იგი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიითქმება და დადევნებელი მოუწოდებენ საბჭოთა ჟურნალისტებს იყვნენ გამბედავი და გადამწყვეტი ჩამორჩენილობის, მანებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს პარტია ასწავლის, რომ კრიტიკა პრესაში უნდა იყოს საჭიანი და სამართლიანი, არა მყვირალი, არამედ დასაბუთებული, კონკრეტული.

ლენინური პრინციპების სრულყოფილად გატარებაში საბჭოთა პრესის მნიშვნელობა და ბრძოლის უნარიანობა კიდევ უფრო გაზარდა. იგი გახდა ნამდვილად პარტიული, იფურია, ხალხური, მასობრივი. იგი პარტიის ერთ ქალაგებს სიმართლეს, კრიტიკის მასხვილით ებრძვის ყოველივე იმას, რაც უშლის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

ბოლშევიკური პრესის ლენინური პრინციპების სწორად გატარებით კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების როლი და მნიშვნელობა კომუნისტურ მშენებლობაში, ადამიანების სულიერ ფორმირებაში. ეს უფრო მკაფიოდ ჩანს ახლა, დიდი ლენინის საიუბილეო წელს, როცა პროგრესული კაპიტორობა, მთელი საბჭოთა ქვეყანა, საქართველოს მშრომელები ზეიმითა და მაღალი ღირსების გრძობით აღნიშნავენ რა ამ დიდ თარიღს, კვლავაც სამოქმედო-საბრძოლო პროგრამად იხდიან ლენინური პრესის მართალ, ნათელ და შემართებით ნათქვამ ყოველ სიტყვას.

1 ლენინი, ოხზ. ტ. 4, გვ. 261-262.
 2 ლენინი, ოხზ. ტ. 4, გვ. 263.
 3 ლენინი, ოხზ. ტ. 4, გვ. 435.
 4 ლენინი, ოხზ. ტ. 20, გვ. 626.
 5 ლენინი, ოხზ. ტ. 27, გვ. 307.
 6 ლენინი, ოხზ. ტ. 10, გვ. 35-36.
 7 ლენინი, ოხზ. ტ. 10, გვ. 38, 39-40.
 8 ლენინი, ოხზ. ტ. 29, გვ. 635.
 9 ლენინი, ოხზ. ტ. 32, გვ. 643-644.
 10 ლენინი, ოხზ. ტ. 32, გვ. 644.
 11 იქვე, გვ. 645-647.
 12 ლენინი, ოხზ. ტ. 7, გვ. 657-658.



შეგოქმედაბითი გზებით

თბილისში 1929 წლის ნოემბერში დაიწყო და 1930 წლის აპრილში დამთავრდა კარლ მარქსის „კაპიტალის“ I ტომის აწყობა-ბეჭდვა. დღესაც თვალწინ მიდგას ის აღტაცება-სიხარული, რომელიც მარქსიზმის ფუძემდებლის კაპიტალური ნაშრომის გამოცემამ გამოიწვია პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის აწყობთა, მბეჭდავთა, მკინძავთა და ადმინისტრაციის მუშაკთა შორის.

თამამად შეიძლება ითქვას, ეს ტომი წყობისა და ბეჭდვა-აკინძვის თვალსაზრისით, რომლის ტექსტი უაღრესად რთული ასაწყობია, ძვირფასი ნიმუშია. დამკაბადონებელმა ი. მაჭავარიანმა და ფაქტორმა ა. თოდუამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს: „კაპიტალის“ სამივე ტომში გვერდიდან გვერდში არც ერთი გადატანა არ არის, რაც არა-

ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება დღესაც. ახლა სქოლიოების დაყენებას არ იკითხავენ?... ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა. აწყობაზე მუშაობდა მხოლოდ ორი ასოთამწყობი: პენსიონერი ვ. ესაიაშვილი და აწ კარდაცვლილი დ. ლობოზერიძე.

40 წელი გავიდა „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოცემიდან და ალბათ თანამედროვე ტექნიკის პირობებშიც კი გაძნელებოდა დიდი



მოცულობის წიგნების ამ სახით გამოცემა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობაში საგანმომცემლო-საწარმოო განყოფილების უფროსად ვმუშაობდი, როდესაც, 1938 წლის დამლევს, აღნიშნული გამომცემლობა გაუქმდა და მთელი სარედაქციო-საწარმოო შტატი შეუერთდა სახელმწიფო გამომცემლობას; აქ ყოფილი გამომცემლობის ბაზაზე ჩამოყალიბდა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ლიტერატურის რედაქცია, სადაც ვასრულებდი რედაქციის გამგის მოადგილისა და უფროსი რედაქტორის თანამდებობას. დაწყებული 1937 წლიდან, ვიდრე 1941 წლის 24 ივნისამდე განუწყვეტელ შემოქმედებით მუშაობას ვეწეოდი, საერთოდ, პოლიტიკური ლიტერატურისა და, განსაკუთრებით კი, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების დასტამვისა და გამოცემის საქმეში. ეს პერიოდი იმითაც არის საყურადღებო, რომ დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-3 გამოცემის დასტამვა. დაიწყო სამამულო ომი... გამოწვევის წითელ არმიასში...

1945 წლის დასაწყისში კვლავ „სახელგამის“ პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ლიტერატურის რედაქციის გამგის მოადგილედ და უფროს რედაქტორად ვმუშაობ. სიხარულით გულანთებული, თავალებლივ ვშრომობდი, რათა სრულყოფილად გამოცემულიყო მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომები და მიმდინარე პოლიტიკური ლიტერატურა ქართულ ენაზე. თავის დროზე ყველანი ერთხმად აღიარებდნენ ჩვენს მიერ დასტამებული ლიტერატურის

საგამომცემლო-პოლიგრაფიული შესრულების ხარისხს.

1945 წლიდან გრძელდება მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების გამოქვეყნება ჩვენი რედაქციის სახით. ამ წელსვე დაიწყო ვ. ი. ლენინის 35 ტომის (IV გამოცემა) ბეჭევა და სრულყოფილად დასრულდა 1955 წელს. ეს მეტად ხანგრძლივი, მძლე-ვარე წლები იყო. 10 წლის დაძაბული მუშაობა ხუმრობა საქმე როდია. დედნები მზადდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მთარგმნელობით სექტორში, რომელსაც შემოკრებილი ჰყავდა სახელმწიფო მთარგმნელები, რედაქტორები და გამზადებულ დედნებს გავწვდიდა რედაქციაში...

სამამულო ომის შედეგად პოლიგრაფიული კადრები თითქმის გაანადგავდა. ძველი ასოთამაშეობებისა და მბეჭდვ-მეცნიანების მცირე ოდენობაღა შემორჩა. და სწორედ ამ ძნელ პირობებში დასაბეჭდად გადაეცა ლენინის I ტომი სახელგამის მე-2 სტამბას (ამჟამად № 1 სტამბა). ძლივს მოგახსეთ ერთი ასოთამაშეობი, რომელმაც იკისრა მთელი ტომის აწყობა. გამოცემის ტექნიკური და მხატვრული ხელმძღვანელობა მე გადაეგვალა. ნაწილობრივ ვთარგმნიდი კიდევ. მთავარი იყო წყობის, ბეჭდვის, აკინძვის ხარისხზე ზრუნვა. სპეციალური შრიფტის ჩამოსახსნა მოგვიხდა (ქართული ნონპარელის ასობი ჩამოვატანინეთ მოსკოვის „გონანაკის“ ფაბრიკიდან და ამის საფუძველზე ადგილობრივ ჩამოვასხმევეინეთ შრიფტი № 6), რომლის ვარეშე ვერ ავაწყობდი ლენინის ტომებში მოთავსებულ უამრავ ცხრილსა და ტაბულას. ვინ იცის რამდენი ღამე

გავკეთებოდა რედაქციაში დასტამბებში და რამდენი გაუთვალისწინებელი დაბრკოლების გადალახვა მოგვხდა ვობრძნ ციციშვილითან ერთად.

თითოეული ტომის გამოცემა ნამდვილი დღესასწაული იყო. რედაქციისა და სტამბის მუშაკები უდღვე სიხარულით შეგვხვდით ლენინის პირველი ტომის გამოსვლას. ლენინის პირველი ტომი, ამავე დროს არის პირველი ქართული წიგნი, რომლის გამოცემა მამარჯანი სტალინის ბიბლიოთეკა და მისივე შრომა — „საბჭოთა კავშირის დიდი სამაშულო ომის შესახებ“. ესეც პირველი ქართული წიგნია, რომელიც 3-4 ფურცლია დატვიფრული. ქართულ ენაზე, ვიმეორებ, ასე სადად გაფორმებული წიგნი იმ წლებში არსად მინახავს. ეს სიახლე მეტად მიმზიდველი იყო და დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე.

პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ლიტერატურის რედაქციაში განუწყვეტლივ ვიმუშავე 20 წელი, 1957 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში თარგმნილი მაქვს მრავალი პოლიტიკური შრომა — „პარტმენენბოლის შესახებ“, კრებული „ოქტომბრის რევოლუციის შესახებ“ და ბევრი სხვ. ცხადია, როცა გამარჯვებული საბჭოთა ხალხი და მთელი კაცობრიობა ზეიმობს პროლეტარიატის დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს, სიამაყის გრძობა გამიღვებებს გულში, რომ მეც მცირეწვლილი მაქვს შეტანილი ლენინის თხზულებათა დასტამვის საქმეში.

გიორგი იაშვილი.





ოგბაქსლითა

შეოქვედა

ლეილა თაბუკაშვილი

ხუთი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო ურათების ცელტაში, დიდი სამამულო ომის დამთავრების 20 წლის-თავან დაკავშირებით, ვრცელი სამხატვრო გამოფენა გაი-ხსნა. ექსპოზიციის მონაწილენი ის მხატვრები იყვნენ, ვინც იმ მისისანე დღეებში შემოქმედებითი სახელოსნოები და-ტოვა, სტუდენტისა და მოსწავლის ყოველდღიური, ძიებითა და მისწრაფებებით აღსავსე ცხოვრება დასთმო და სა-მეფდრო-სასიცოცხლო ომის ქარცეცხლს შეუერთდა. მრავა-ლი ნიჭიერი, უკვე შემოქმედების გზაზე გამოსული, ხე-ლოვანი თუ დამწვები მხატვარი შეიწირა ფაშისტურმა ტყვიამ. ახალბედა შემოქმედთაგან ვინც გადაარჩა, კვლავ დაუბრუნდა სტუდენტის სკაჟამ, სამხატვრო სასწავლებლე-ბის სახელოსნოებს და ომში ნაწურთობმა შემოქმედებითი წვრთნის გასავლელი გზა განავრთო. ქართველი მხატვართა რიგებს მამინ გამოაკლდნენ ნიჭიერი მოქანდაკეები — რ. თავაძე, გ. ცომიაი, რომელთა ნახელოვანი მადალმხატვ-რული სკულპტურული პორტრეტები ამ გამოფენის ღირს-შესანიშნავ ექსპონატება წარმოადგენდნენ (რ. თავაძის „კორნელი სანაძის პორტრეტი“, გ. ცომიას „შოთა რუს-თაველი“). მარგამ გამოფენის მონაწილეთა უმრავლესობას მიანიც ის მხატვრები შუადგენდნენ. ვინც ომისშემდგომ წლებში დავაკვავდა, როგორც შემოქმედი.

ქართული საბჭოთა თეატრალური მხატვრობის თვალსა-ჩინო წარმომადგენლის დიმიტრი თავაძის შემოქმედებითს ბიოგრაფიას 1941 წლიდან ვფრთხვლად ბიოგრაფია ცვლის. მხატვრის სახელოვანი გზა კვლავ გრძელდება 1946 წლი-დან, როცა იგი უბრუნდება მშობლიურ თეატრს.

ნათელი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მხატვარი, უაღრესად ნაყოფიერი, ქართული თეატრალური მხატვრო-ბის შესანიშნავი ტრადიციების გამგრძელებელი, იგი ყო-ველ ახალ ნამუშევარში ავლენს ახალ, ფართო შესაძლებ-ლობებს, აღწევს მეტყველ მხატვრულ გადაწყვეტას.

„დ. თავაძეს, როგორც თეატრალურ მხატვარს, ასაისა-თებს გამოსახვის საშუალებათა ლაკონიზმი, ფორმის სიმ-კვეთრე და ნამდვილი თეატრალური პირობითობა. სპექტაკ-ლის პირობითი გაფორმება მის შემოქმედებაში თითქმის ყოველთვის ემორჩილება მსახიობისათვის ფართო სამოქ-მედლო ასპარეზის შექმნის ინტერესებს, ყოველთვის ითვა-ლისწინებს „პარტნიორობის“, სპექტაკლის სხვა კომპონენ-ტების როლსა და ადვილს წარმოადგენს. ამ შესმატკბი-ლებითი, თანაშემოქმედებითი ინტერესით იწყებს იგი პიე-საზე მუშაობას. მან შესანიშნავად იცის, რომ დეკორაცია სპექტაკლში მსახიობისთვის ეს არის ცა, მიწა, მისი პიე-ტური სამყარო — ამიტომ სცენური სივრცის პრობლემა განუყოფელია მსახიობის შემოქმედებისაგან“ (ე. კვიციანიძე „დიმიტრი თავაძე“. შესავალი წერილი კატალოგისათვის, 1964 წ.).

დიმიტრი თავაძის თეატრალურ ეპიკიზებს თითქმის ყო-ველ სამხატვრო გამოფენაზე შეხვდებით. არ შეიძლება ღრმა შთაბეჭდილება არ დასტოვოს ამ ნამუშევრების არა მარტო მკაფიო თეატრალურობამ, პიქსის დედააზრის, მისი არსის, ჩანრული თავისებურების გამოსატკლული ლაკო-ნურ სახარურ ფორმებში, არამედ რამქვეყნური შემრულების სიოთაქიზმი და დახვეწილობამ, შემოქმედის ფაქიზმა გე-მოფენებამ.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე, სახელომწიფო პრემიის ლაურეატი დიმიტრი თავაძე ოთხ ათიულ წოლზე მტკბილ გატაკივით ემსახურება ქართულ თეა-ტრალურ ხელოვნებას. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა უშუალოდ უაკვირდება და ერწყმის რუსთაველის სახელო-ბის თეატრის ისტორიას. ამჟამად იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეაა როგორც საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზი-დიუმის სამდიენოს წევრიც.


პოტე ჭანგავტაძის ორიგინალური, მრავალმხრივი შემო-ქმედება დათრთობდა ცნობილი. თეატრისა და კინოს მხატ-ვარი, ძალზე საინტერესო გრაფიკოსი და ფერმწერი, იგი ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანია ქართველ მხატვართა შორის.

ა. ჭანგავტაძე დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, სულ ახალგაზრდა წავიდა ფრონტზე. მან არა მხოლოდ როგორც მეომარმა, როგორც შემოქმედმაც ღირსეულად მოახდა ვალი სამშობლოს წინაშე. იგი მე-2 გვარდიის არ-მიის შემადგენლობაში იყო ოფიცრად. როგორც ფრონტელ მხატვარს, არმიის სარდლობა შჩირად აკისრებდა სხვადა-სხვა სამუშაოს. ყირიმის მიწაზე ვერ კიდევ დიდი ბრძო-ლები მიმდინარეობდა, როცა სარდლობამ საბრძოლო და-




წ. ხოლუაშვილი.

ათი შვილი.



ალ. ფლენტო.
რუსთავი.

ოგადასდილთა
შემოქმედაბა



ო. ფარულავა.

როსტომ აბაშიძის ბორტრეტო.



ვ. ადიაშვილი
ქველი ბაზარი.



ვალბე მისცა — შეეჭმნა პროექტები ძველებისა პერეკოპის, არმინსკისა და იშუნის განმთავისუფლებელ გმირ გვარდიელთა უკვდავსაყოფად.

პარალელურად კ. ჭანკვეტაძე ხევსატოპოლის მონუმენტის აგების სამუშაოსაც ხელმძღვანელობდა. გასაგებია ის გიგანტური მასშტაბები და სამუშაოს სირთულე, რაც მშენებლობათა ხელმძღვანელმა და მშენებლებმა გადალახეს. ახლად განთავისუფლებული ყირიმის მიწების მკვიდრი, ხალხი და არმია თავდაუზოგავად ახმარდა თავის ფიზიკურ და შემოქმედებით ძალებს ბრძოლაში დაცემულთა სხოვნის უკვდავოფის კეთილშობილურ საქმეს.

ხევსატოპოლის „დიდების ძეგლი“ სახეიშო ვითარებაში გაიხსნა 1944 წლის 24 ივლისს, ჯერ კიდევ ცხარე ბრძოლების დღეებში. საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სარდლობის მიერ ბევრი იქნა დაჯილდოებული. მათ შორის, პერეკოპის ბრძოლისათვის კ. ჭანკვეტაძე დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, ხევსატოპოლის „დიდების ძეგლისათვის“ — „წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

გასულ წელს ხევსატოპოლის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავ ზეიშში მონაწილეობის მისაღებად გმირ ქალაქში კოტე ჭანკვეტაძე მიიწვიეს. აქ მხატვარი შეხვდა ხევსატოპოლის განთავისუფლების მონაწილე თანხმებოლებს, მონახულა საბრძოლო წმიდა ადგილები, ყვავილებით შეამკო გმირ გვარდიელთა „დიდების ძეგლი“.

1963 წელს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილმა ვრცელმა ექსპოზიციამ ნაიკელი ხელოვანის თვალსაჩინო ურდა, მისი მრავალმხრივობა, მხატვრული ინტერსების სფეროები და შემოქმედებითი თვითმყოფადობა. კ. ჭანკვეტაძე ძირითადად გუშვითა და ტემპერით მუშაობს, თუმცა ზეთით, ნახშირით, ფანქრითა და შერეული მასალებით შესრულებული მრავალი ნამუშევრის ავტორიცაა. პიესაჟური სურათები, პორტრეტები, ნატურმორტი, ქანრული მითიები, სატირული ფურცლები მოწმობს მხატვრის ფართო შემოქმედებით დიპლასონსა და ჩანაფიქრის ხორცშესხის ხიჩხითა მრავალფეროვნებას. კ. ჭანკვეტაძის მხატვრული ხელწერა განსაკუთრებით ნათლად გლინდება მის პიესაჟებსა და ნატურმორტებში. საქართველოს სსრ-ის კუხის ბუნების სურათები, ნატურმორტები შესრულებულია ეროვნული იერის, კოლორიტის, სასიათის ღრმა გრძობით. თვით წერის ტექნიკური ხიჩხები ძალზე მკაფიო სტილისტიკურ თავისებურებას ანიჭებს მხატვრის ნაწარმოებებს.

კ. ჭანკვეტაძე ჩვენ ქვეყანაში ცნობილია, როგორც საგანმრთლებლო-საექსპოზიციო საქმის შესანიშნავი მკოდნი და მრავალი თვალსაჩინო გამოფენის ექსპოზიციის ავტორი. ამ მხრივაც მხატვრის ხელოვნება, დეკორატიული ალბო და გემოვნება მაღალ შეფასებას იმსახურებს.

ქართველ მხატვართა უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან მოქანდაკე რუბენ ამირივი და ფერმწერი ალფეხ კოპალიანი, სკკა წევრები 1826 წლიდან. ისინი დიდი სამუშაო ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში დგანან.

საკოლმურნეო სოფლის ცხოვრების სურათები — საკოლმურნეო სოფლის ცხოვრების სურათები — ასეთია ალფეხ კოპალიანის ფერწერული ტილოების თემები. მხატვარი დიდი სიყვარულით აღბეჭდავს იმ გარემოს და ადამიანებს, რომლებსაც ასე ახლოს იცნობს. შემოქმედების ბოლო პერიოდში კოპალიანის სახეით ოსტატობა უფრო დაიხვეწა, პალირმა გამდიდრდა, უფრო გაბეჯული და მკვრივი გახდა. ეს ცხადყო ფერწერული ტილოებმა — „სიმინდის რწყვა“, „საკოლმურნეო ყანები“, „ფერხული“ და სხვ.

რუბენ ამირივი თბილისის სახმატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის ერთ-ერთი ადრინდელი კურსდამთავრებულია (1930 წ.) და შემოქმედებით მუშაობასთან ერთად დღემდე ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი ერთ-ერთი დამაარსებელია თბილისის სამხატვრო სასწავლებლისა, რომლის დირექტორად მუშაობდა 1933 წლიდან დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. ომის პირველივე დღეებიდან რუბენი მობილიზებული იყო სამხატვრო არმიის როგორც პოლიტკმუშაკი და სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა. რუბენ ამირივის ეკუთვნის რიგი საინტერესო სულბატურული პორტრეტების: ლენინის, ვორონოვილის, ფირისმანის, გიგო ზანაიშვილის, ალ. მრეველიშვილის, პროფ. ხარშილაძის, სპორტსმენ ია იხაშვილის და სხვთა. ამჟამად მან მუშაობა დაამთავრა დიმიტრი მაჩხანელის პორტრეტზე.

1950—1965 წლებში, მოძრაი გამოფენის დირექტორად მუშაობის დროს, რ. ამირივმა 120-ზე მეტი გამოფენა მოაწყო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1967 წელს სიღნაღში დაარსებული ქართული სახეითი ხელოვნების მუზეუმის კეთილმოწყობაში. ამჟამად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა როგორც მხატვართა კლუბის გამგე-ატარებელ მთელ რიგ ღონისძიებებში — აწყობს ლექციებს, კინოფილმების ჩვენებას, მხატვართა ნაწარმოებების ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ გამოფენებს, არქიტექტურულ-საბრთქლო ორგანიზაციათა თხოვნით — არქიტექტურული პროექტების ექსპოზიციას და სხვ.

განსაკუთრებით მისაკვირს გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ინსტიტუტში სწავლის დროს მოუხსრო დიდმა სამამულო ომმა. ფრენა მამხილ საბრძოლო სატურგებლო შეყვალა და ახალგაზრდა მხატვარი ომის დამთავრობამ სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა. 1946 წელს თბილისში მოწყობილ „დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვართა ჯგუფურ გამოფენაზე“ მან ფრონტული ჩანახატები წარმოადგინა, ხოლო ერთი წლის შემდეგ პერსონალური გამოფენა მოაწყო.

ამავე წლიდან ვ. ავაძაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა, 1950 წლიდან კი როსტოვშია და ნაყოფიერ მონაწილეობას იღებს როსტოველ მხატვართა შემოქმედებით ცხოვრებაში. ამის ნათელი გამოხატულება იყო ვრცელი პერსონალური გამოფენა, რომელიც ჯერ როსტოვში (1957 წ.), შემდეგ კი თბილისში (1960 წ.) გაიმართა.

ვახტანგ ადვადის ბოლო პერიოდის ნამუშევრებში მეტად თვალნათლივია მხატვრის პროფესიული ზრდა. ამალდა შემოქმედის ფერწერული ოსტატობა, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა ხაზის, ფერის, ლაქის დემოკრ-გამომხატველობით მხარს. მხატვრული პრობლემების დაძლევა მის ხელი შეუწყო სწორმა შემოქმედებითმა მსოფლმხედველობამ, ქვეყნობრივმა პროფესიონალიზმმა, კარგმა გემოვნებამ და სახეითა კულტურამ.

1963 წლიდან მხატვარი ბევრს მოგზაურობს. მთიარა მთიულეთი, შქსებით, დასავლეთ საქართველო, ქართლი... საზღვარგარეთიც მონიხსულა და თავისი შთაბეჭდილებანი ასახა ნაწარმოებთა სერებში.

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს უძღვნა მხატვარმა თავისი სურათების გამოფენა შშობილურ ახალციხეში.

1967 წელს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში ვ. ადვადმა გრაფიკის ლ. შარბაძისთან ერთად კვლავ მოაწყო პერსონალური გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნა. აქ ფართოდ იყო ექსპონირებული მხატვრის ფერწერული ძეგლები. წარმოდგენილი იყო დიდი ზომის თემატური ტილოები, პეიზაჟები, პორტრეტები, გრაფიკული ნამუშევრები. საბჭოთა არმიელების ცხოვრებისადმი მიძღვნილი სურათები, მესქეთის პეიზაჟები, ვაჟრულ-ყოფითი სცენები ხალხის ცხოვრების, პორტრეტები, ჩანახატიმ შეტყვევებდნენ მხატვრის შთაბეჭდილურ შემოქმედებაზე. შშობილური ქვეყნის დიდ სიყვარულზე. ბოლო წლების დიდ რესპუბლიკურ გამოფენებზე ვახტანგ ადვადმა საინტერესო ფერწერული ტილოები წარმოადგინა — „დიდი საზღვარზე“, „წერილი ფორსიდან“, „წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში“ და სხვ. ფერწერული ძეგრადობა, ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტანი, ხასისათო ნახატი — ყოველივე ეს დასამახსოვრებელს ხდის რესპუბლიკის დამახსურებელი მხატვრის ვ. ადვადის ქმნილებებს და მომავალშიც ბევრ საინტერესოს ვეკრძდება.

გრაფიკის რიმა ბოჭორიშვილი საქართველოს მხატვართა შემოქმედებით ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. 1952 წლიდან, როცა თბილისის სახმატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მის ნამუშევრებს ხშირად ვხვდებით რესპუბლიკურ თუ საკავშირო სახმატვრო გამოფენებზე. მხატვრის ნაწარმოებები მრავალფეროვანია როგორც თემატურად და ჟანრობრივად. ისე გრაფიკული ტექნიკისა და მასალის გამოყენების მხრივ.

1942 წელს რ. ბოჭორიშვილი თბილისის დამცველ საზენიტო არტილერიამია, როგორც მოხალისე. შემდეგ კი მონაწილეობას იღებს დნეპრის გადალახვაში, ხიდების დაცვაში და სხვ. ნანახი და განცდილი მან ტილოებზეა ქაღალდზე გადაიტანა.

ბოლო წლებში მხატვარმა რამდენჯერმე მოაწყო პერსონალური გამოფენა როგორც თბილისში, ისე ქუთაისსა და წყალტუბოში. მან გატაცებით იმუშავა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ახალგაზრდობის წლების მხატვრულ ასახვაზე. ნა-

ხატების ეს ციკლი მხატვარს შთააგონა ა. ივანაკის წიგნი „ვ. ი. ლენინის ახალგაზრდობის წლების“ გაცნობამ. რ. ბოჭორიშვილმა სცადა სხვადასხვა მასალაში შეესრულებინა ეს ფერტლები და ბოლოს მაგთორ ლინოზგრაფურაზე შექმნა. ხახატების ლალესი და, მაგთორ ფორმა შექატყვისი აღმოჩნდა ჩანაფიქრის მხატვრული ხორცმესხისათვის.

ერთი თაობის შემოქმედნი არიან ალექსანდრე ჟღნტი, დავით გაბიტაშვილი, თათა ხოლუაშვილი. ომმა მათის იქუნა, როცა მათ ის-ის იყო თბილისის სახმატვრო სასწავლებელი დაამთავრეს. მოგვიანებით გააგრძელეს სწავლა თბილისის სახმატვრო აკადემიაში. დღეს ისინი რესპუბლიკის დამახსურებელი მხატვრები არიან და თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით კარგად არიან ცნობილი. ისინი, სხვადასხვა შემოქმედებითი სახის ფერმწერნი, გვევლინებიან თანამედროვეობის ამსახველი მრავალრიცხოვანი ტილოების ავტორებად.

ალექსანდრე ჟღენტის თემატური კომპოზიციები და პეიზაჟური ტილოები დაწერილია სისახმადელი გულწრფელი გახედით, გამოირჩევა ძალი ფერწერული ღირსებითა. თახმედროვეობის მაკისცემა იგრძობა სურათში „რუსთავი“, აგრეთვე ვრცელ ფერწერულ სერიაში „საქართველის მთიანეთი“, რომელიც ნათელი, ხალასი ფერებით წარმოგვისმხავს ამ კუთხის დიდებულ პეიზაჟებს. აღსახინძანია მხატვრის დიდად ნაყიფიერი ეკონომია ქართული სუვენიერების — ხის ნაკეთობათა შექმნის დარგშიც. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებულ საწარმოო კომბინატთან 1950 წელს შეიქმნა ქართული სუვენიერების სამეტი, რომელსაც იგი დარსების დიდად ხელმძღვანელობს. ალ. ჟღენტის ესკიზებით 160-მდე ნაკეთობა შექმნილი. ხის ამ მინიატურებმა წარმატებით მთიანეს როგორც რჩენი ქვეყნის ქალაქები, ისე საზღვარგარეთის ქვეყნები.

დავით გაბიტაშვილი რამდენიმე დიდი მრავალფეროვანი ტილოს ავტორია. „ჩაის პლანტაციები“, „დაუბოტეტიბელი სტუმარი“, პეიზაჟური სურათები და სხვა ტილოები, რომლებიც ჩვენს სახმატვრო გამოფენებზე იყო ექსპონირებული, მოწმობენ მხატვრის მაღალ შემოქმედებითს შესაძლებლობებს. მხატვარი ამჟამად პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა თბილისის სახმატვრო აკადემიაში.

აგვარია მოთუშავე მხატვრის, შოთა ხოლუაშვილის ყოფილი ახალი გამოსვლა გამოფენებზე მოწმობს ხოლმე შემოქმედის ასევე ოსტატობის ახალ საფეხურზე, რთული მხატვრული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. იგი ყოველი დიდი მნიშვნელობის გამოფენის მონაწილეა და მუდამ ახლებური ჩანაფიქრით წარმოგვიდგება. „ათი შეილი“, „მაშები“, „1924 წლის იანვარი“ — სრულიად სხვადასხვა დიდერ-მხატვრული შინაოსისაა. ამ ტილოების ხორცმესხისათვის ავტორმა თითოეული ცალკეული შემთხვევაში მტყველ პლასტიკურ-კომპოზიციურ ხერხებს მიავანო. სახეითი ოსტატობა, შრომის სიყვარული მხატვარს ესმარება დასძლიოს მის წინაშე მდგარი რთული ამოცანები.




რ. კუჭავაძე.

დღღა



თ. მელიქიშვილი.
მუშა.

ოვანდსდილთა
ზაპოქაილას



ვ. ჭანკვეტაძე.
ლილეო.

ტ. როინიშვილი.

უბენები.





ორიგინალურად ჩაფიქრებული ფერწერული პეისაჟები-
თა და კანრული სურათებით წარმოვადგა თავისი შემოქმედ-
დების ბოლო გამოფენაში ნიკოლოზ მეტრეველს. მხატვრის
პერსონალურ გათვალისწინებით, რომელიც ამ ორიოდ წლის
წინ მოეწყო, თვალსაზრისით გამოჩნდა მისი მრავალფერო-
ვანი სამუშაო-პლასტიკური ძიებები, ნაირ-ნაირი მასა-
ლის გამოყენება. მრავალ შემთხვევაში შემოქმედელი აღ-
წევს პოეტურ-რომანტიკული გამოხატულების ძალას,
სურათების ემოციურ ელვადობას.

მხატვრულად ძლიერი ნამუშევრებით გამოდას გამოფე-
ნებზე ბირის მასაგამე. გაიხსენოთ მისი ბოლოდროინდელ-
ლი ხაწარმოებები „1944 წელი“, „პარტიზანი ქალი“, „პეი-
ზაჟური სურათი „არმაზის ხეობა“ და ბევრი სხვა. ცხოველ-
ბაზე დაკვირვებული მართალი შემოქმედელი, ფაქიზი პოე-
ტიური გახსენების მხატვარი მრავალი ემოციური ტილოს
ავტორია.

მრავალფეროვანი თემატიკური კომპოზიციები მუდამ
იხსნება რეალურ კვყვამაძეს. ისტორია თუ თანამედროვე-
ობა მის მიერ მუდამ ღრმა გააზრებით, მასალის საფუძე-
ლიანი შესწავლით აღიბეჭდება ხოლმე ფერწერულ ტილო-
ეცხე. მხატვრის ოსტატობის სრულყოფა დაადასტურა მის-
მა ბოლოდროინდელმა ნამუშევრებმა — „ჭამიცი“ და
„ღმდმის წყით“, რომლებშიც სიმართლით, ფსიქოლო-
გიური დამატებებითა და ფერწერული გამოხატულებო-
ბითა გახსნილი იდუერი ჩაახვირა.

რამდენიმე დიდი ტილის ავტორად მოგვევლინა ბოლო
ათწლეულში ნიკოლოზ შინასარიძე-ოსელიანი. „მარშუკ-
ამირკავკასიის ფრონტი“, „შრომის აღმამებნი“, „მომ-
ჭობებისათვის“, აგრეთვე პეისაჟები და გრაფიკული სამუ-
შევრები ცხადყოფენ მხატვრის თავისებურ შემოქმედებითის
იხტერესებს, მრავალმხრივობას და ფერწერულ დახელოვ-
ნებას.

ქართულ გრაფიკოსთა შორის დღეს ერთ-ერთი წამყვანი
შემოქმედელი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი თეი-
მურაზ ყუბანეიშვილი. ლაკონური, სპეციფიკურად გრა-
ფიკული ენა ასახაათებს მის ნაწარმოებებს. ფართო გას-
ზოგადებებისა და პირობითობის სახლებში შემოქმედი
აღწევს მკაფიო სახიდან მეტყველებას. ამგვარი ლიათგრა-
ფიკების ციკლი „ქართული კულტურის ძეგლები“, ილუს-
ტრაციები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის, პორტრე-
ტული კომპოზიციები. ბუნწი გრაფიკული ხერხებით მხატ-
ვარს ზუსტად და მასველად აქვს გადმოცემული ამა თუ იმ
პიროვნების გარეგნული თავისებურებით თუ სახასიათო
მორაობა. აპოლონ ქუთათელის, უნა ჯაფარიძის, სერ-
გო ჭიბულაძის, სულხან ცინცაძისა და სხვათა პორტრეტე-
ბი მხატვრის მაღალ გრაფიკულ ოსტატობაზე მეტყველ-
ებენ. ახალი ციკლით — „ენგერის ნაპირებზე“ წარსდგა
იგი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძ-
ღენილი დიდ საიუბილეო გამოფენაზე.

საქურნალო და საგაზეთო გრაფიკის დარგში ფართო და
დიდად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გიორგი რიონიშვილი,
ამავე დროს იგი ხშირად მონაწილეობს სამხატვრო გამო-

ფენებზე საინტერესო ფერწერული ტილოებით, მხატვრის
გასაკუთრებით იტყვებს და ეხერხება ბატალური ხანრი.

ქართულ ქანდაკებას დღეს დამსახურებულად აკვს სახე-
ლი მიხვეწილი. მისი წარმატებები და მონაპოვები უკვე
დიდი ხანია რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. ქართული
პლასტიკის განვითარებაში თავისი წვლილი აქვთ ომა-
დასწრულ მოვანდაკებსაც — გურამ კორძაზის, ფანაზო
საბრეულაძის, თთარ ფარულაძის, მიხეილ ყიფიას,
თთარ მელიქიშვილის, შალვა ზატუაშვილისა და სხვებს. გუ-
რამ კორძაზის თვალსაჩინო შემოქმედებითი გაბარჯვება
„ვლადიმერ მაიაკოვსკის“ ძეგლი. მოქაზაძის დახვეწილი
ოსტატობის ნიმუშია აგრეთვე „ქალიშვილი მიხაკით“,
„1918 წელი“ და მრავალი სხვა.

სამხატვრო გამოფენებიდან შეუძლებელია არ მოვიგო-
სოთ ფანაზო მსარეულაშვილის გამომსახველი პორტრე-
ტული ნაწარმოებები — „ვაჟა-ფშაველა“, „ხახა“, „ქალი-
ყილის პორტრეტი“, „ქართველი ზეფოლადე“ და სხვ. ან
თთარ ფარულაძის საკულტურულ პორტრეტთა რცხელი გა-
ლერეა — გამოჩინელი ადამიანთა და შოღღაწათა მკაფიო,
იდეალურად დახასიათებული სახეები, მისი „ილია
მთაში“... თთარ მელიქიშვილის „მუშა“, „კომბოლიერ
კოლმეურნეობაში“...

მიხეილ ყიფიანი შემოქმედებით მუშაობასთან ერთად
(გაიხსენოთ მისი „მეფოლადე მეტრეველი“, „დ. დგვე-
ლის პორტრეტი“ და სხვ.) თვალსაჩინო საქმიანობას ეწე-
ვა როგორც საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეის
დირექტორი.

ომის მიძიე გზები გამოარეს კერამიკოსებმაც — გიორ-
გი ქართველიშვილმა, შოთა ნარინაშვილმა, იოსებ მელა-
შვილმა, იოსებ აჯიაშვილმა და ბევრმა სხვამ. თუ დღეს
ქართული კერამიკა განვითარების მაღალ საფეხურზე დას
და საყოველთაო აღიარებით სარგებლობს, ამაში თავიანთი
დამსახურება ომადახსნილთაც მიუძღვით.

ათობით ჩამოთვლება იმ მხატვართა სახელები, ვინც
სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლათა ქარტახილები გამოიარ-
და და მერე კვლავ დაუბრუნდა საყვარელი საქმეს. მათი შემ-
ოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამაშუ-
ქმელები ერთი საყურნალო წერილი ვერ იკამრებს. ჩვეუ აქ
მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდით. ძნელია გვერ-
დი აუარო და არ აღნიშნო ისეთი მხატვრების შემოქმედ-
ება, როგორცაა ვ. კოტრიკაძე, ა. მკურნალი (ამჟამად თბი-
ლისის სამხატვრო აკადემიის პორტექტორი), მ. გუჯაბია,
ს. დავლიანიძე, მ. კალანდაძე, ი. არდიშვილი, ს. ნიაური,
ა. დგველიანი, ვ. თულაშვილი, ვ. სერგენიკო, ა. ოტრემ-
კო, რ. ჯალაღანი, ა. ჯაფარიძე, ი. ტატიშვილი, ე. ლუა-
რსაბიკი, ა. ჟორდანი, ვ. მარბაძე, ი. კალაძე, ა. წითაი-
შვილი, ვ. ლიტვინოვი, ს. დილბარანი, დ. მარბაძე, მ.
შახკალამიძე და მრავალი სხვ.

ქართული სახეობი ხელოვნების შემდგომი მიღწევები და
წარმატებები კვლავაც დიდად იქნება გააირობებული ომა-
დახსნილთა შემოქმედებითი მოღვაწეობით.

თბილისის მუსიკალური ცხოვრება

სამაგელო ომის წლებში

გულბათ ტორაძე

1941 წლის 22 ივნისმა მკვეთრი ზღვარი გაავლო საბჭოთა ხალხის ისტორიაში. დაიქუხა სამამულო ომმა. დაირღვა მშვიდობიანი ცხოვრების მსველეობა. ხალხმა მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ენერჯია უმთავრესი ამოცანის — შემოსეული მტრის განადგურებაზე წარმართა. საბჭოთა ინტელიგენცია, მუსიკალური ხელოვნების მუშაკები, ზოგი იარაღით და ზოგიც კალმით, მთელი ხალხის მხარდამხარ იბრძოდნენ ფაშისტ-ბარბაროსთა წინააღმდეგ. ამ მრისხანე, მშფოთვარე დღეებში არაჩვეულებრივი სიღესადით გამოვლინდა მუსიკის მათრგანიზებელი და შემმართველი ძალა. საბჭოთა კომპოზიტორების მიერ შექმნილ ნაწარმოებებში აისახა სამამულო ომის გმირული თემატიკა, ხოლო ისეთი შესანიშნავი ქმნილებები, როგორცაა ალექსანდროვის „სიმღერა „წმინდა ომი“, დმიტრი შოსტაკოვიჩის მე-7 „ლენინგრადული“ სიმფონია იქნენ საბჭოთა ადამიანების უტყეხ გმირული სულის სიმბოლოდ და სამამულო ომის მუსიკალურ ემბლემად.

ყველაზე კრიტიკულ, უმძიმეს მომენტებში ხალხს არ დაუკარგავს გამარჯვების რწმენა, არ შეჩერებულა შემოქმედებითი პულსი, არ შეწყვეტილა ზრუნვა კულტურულ ფასეულობათა გადანახვავზე და ინტელექტუალური შრომის გამოჩენილი წარმომადგენლების, მუსიკოსების, სახელოვანი კომპოზიტორების, შემსრულებლების დაცვაზე. მისკო-

ვის, ლენინგრადის, კიევის კონსერვატორიების პროფესორები და ზოგჯერ მთელი მუსიკალური კოლექტივებიც კი ევაკუირებულ იქნენ მტრისათვის მიუწვდომელ ადგილებში.

თბილისმაც იმ ხანად საბჭოთა კულტურის მრავალ სახელოვან წარმომადგენელს მიუჩინა ბინა, გაუწია ლირსეული მეგობრობა და გულითადი მასპინძლობა. 1941 წლის გვიან შემოდგომაზე თბილისში თავი მოიყარა საბჭოთა მუსიკოსებისა და მუსიკოსების ბრწყინვალე თანაგარსკვლავედმა. აქ შეხვედებოდათ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთ დამაარსებელს, განთქმულ რეჟისორს ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს, რუსული თეატრის მშვენივალ ვასილი კაჩალოვს და ოლღა კნიპერ-ჩეხოვას, საბჭოთა საკომპოზიტორ სკოლის პატრიარქს ნიკოლოზ მიასკოვსკის, იური შაპორინს, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორს სერგეი პროკოფიევს, ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორსა და მრავალი ქართველი კომპოზიტორის აღმზრდელს პეტრე რიაზანოვს, გამოჩენილ დირიჟორს ალექსანდრე გაუკს, საბჭოთა პიანისტური სკოლის ფუძემდებლებს — ალექსანდრე გოლდენვეიზერსა და კონსტანტინე იგუმოვს, სამუილ ფეინბერგს, ცნობილ თეოლისტებსა და პედაგოგებს — ბორის სიბორს და ევგენი გუზიკოვს, კამერული სიმფონიის დიდოსტატებს ანატოლი დოლიგოს და ნინა დორლიაკს. თბილისის საოპერო თეატრის



დასს შუეურთდა გამოჩენილი მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი — ვერა დავილოვა, კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრების შესანიშნავ მომღერალთა ჯგუფი, უკრაინის სახალხო არტისტები: ტენორი კიპარენკო-დამანსკი, სოპრანო გუეოვა, ბარიტონი გრიშკო, ბანი ჩასტი და სხვები. თბილისში მოსკოვიდან დაბრუნდნენ ჩვენი ცნობილი მომღერლები დავით ბადრიძე, დიმიტრი მჭედლიძე, ბათუ კრავეიშვილი. საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მოცეკვედე ვახტანგ ჭაბუკიანი. ბუნებრივია, რომ თბილისში ძალზე ინტენსიური და მრავალფეროვანი მუსიკალური ცხოვრება ჩქმდება.

1942 წელს სამუდამოდ დადუმდა გამოჩენილი ქართველი მომღერალი ნიკო ქუსიაშვილი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოდიოდა სცენაზე შეუდარებელი სანდრო ინაშვილი, ჩინებულ არტისტულ ფორმაში იმყოფებოდნენ დავით ანდლულაძე, პეტრე ამირანაშვილი, ვკატერინე სოხაძე, ელისაბედ გოსტენინა, ნადეჟდა ხარაძე, მერი ნაკაშიძე, ნადეჟდა ცომაია, არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა იმ ხანებში დავით გამრეკელმა, რომელიც 1944 წლიდან მოსკოვის დიდ თეატრში იწყებს მუშაობას.

1941 წელს პირველად ეწვია თბილისს გამოჩენილი რუსი მომღერალი ვერა დავილოვა. დიდებულმა ხმამ, არტისტულმა გარეგნობამ და ტემპერამენტმა უმაღლესო მუსიკალურ

თბილისელ მუსიკის მოყვარულთა მხურვალე მხარდასაპყრობით. მისი ყოველი გამოსვლა საოპერო სცენაზე თუ საკონცერტო ესტრადაზე მსმენელთა აღტაცებას იწვევდა. დავილოვას საოპერო რეპერტუარის „საკვანძო“ პარტიები იყო კარმენი, ამნერისი და ლიუბაშა რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში „მეფის საცოლე“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მომღვეწო წლებში თბილისელებს არ უნახავთ ამ როლების უკეთესი შემსრულებელი. ომის დამთავრების შემდეგ მომღერალი დაბრუნდა მოსკოვის დიდ თეატრს, მაგრამ 1957 წლიდან იგი კვლავ თბილისშია. დღეს ვერა დავილოვა — რუსეთისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია და კვლავ ემსახურება საყვარელ საქმეს.

კიდევ უფრო შინაარსიანი იყო იმხანად თბილისის საკონცერტო ცხოვრება. თითქმის დღევამოშვებით იმართებოდა უაღრესად საინტერესო სიმფონიური და კამერული კონცერტები. წარუშლელია მეხსიერებაში პროკოფიევის საავტორო სიმფონიური და კამერული კონცერტები. იგუმნოვის კლავირაბანდები, კაჩალოვის მიერ გოეთეს „ეგმონტის“ შესრულება ბეთოვენის უკვდავი მუსიკის თანხლებით, გაუკის დირიჟორობით ბეთოვენის მე-9 და შოსტაკოვიჩის მე-5 სიმფონიების შესრულება და ბევრი სხვა. ამ



დ. გაბიტაშვილი.
სვანეთი.

ხანებში ჩაეყარა საფუძველი მშვენიერ ტრადიციას — ე. წ. „სიმფონიურ ორშაბათებს“, რომლებიც ოპერის თეატრში იმართებოდა და დიდალ ხალხს იზიდავდა. 1942 წელს, მტერთან სასტიკი ბრძოლების პერიოდში, საექსპლოატაციოდ გადაეცა კონსერვატორიის დიდი დარბაზი, რომელიც თბილისის მუსიკალურ-საკონცერტო ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კერად იქცა. მრავალ გამოჩენილ შემსრულებელს გაუხსნა კარი რუსთაველის სახელობის მცირე საკონცერტო დარბაზმაც. აქ იმართებოდა პროკოფიევისა და იგუმნოვის, გოლდენვეიზერისა და ფეინბერგის, კაჩალოვისა და დორლიაკის კამერული საღამოები.

გამოჩენილი პიანისტი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე იგუმნოვი სამართლიანად ითვლება საბჭოთა პიანისტური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად, ათეული წლების მანძილზე იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. იგი იყო სკრიაბინის, რახმანინოვის, პროკოფიევისა და სხვათა ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი. ფასდაუდებელია იგუმნოვის პედაგოგიური ღვაწლიც. საკმარისია ითქვას, რომ მის კლასში აღიზარდნენ გამოჩენილი პიანისტები: თბორინი, ფლიერი, გრინბერგი, შტარკმანი და სხვები. თბილისში იგუმნოვი საკონსულტაციო მეცადინეობებს ატარებდა კონსერვატორიასა და მუსიკალურ ათ-

წლებში. იმხანად იგუმნოვი თითქმის 70 წლისა იყო. უხედავად ამისა, მისი დაკავა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. თბილისის მუსიკის მოყვარულები ახლაც ივონებენ მის მიერ რახმანინოვის მე-2 კონცერტის, ლისტისა და შოპენის საფორტეპიანო პიესების შესრულებას. მაგრამ არის ერთი სფერო, სადაც იგუმნოვს, შეიძლება ითქვას, დღესაც არა ჰყავს ბადალი, ესაა ჩაიკოვსკის საფორტეპიანო პიესები, რომელთაც იგი იშვიათი გემოვნებით, საოცრად პოეტურად ასრულებდა. დაუვიწყარია „წელიწადის დრონი“, ვალსი ფა-დიეზ მინორი.

საბჭოთა მუსიკის კლასიკოსი, ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი-ნოვატორი სერგეი პროკოფიევი თბილისში 1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის ივნისამდე ცხოვრობდა. აი, რას წერს ამ პერიოდის შესახებ კომპოზიტორის ბიოგრაფი მუსიკათმცოდნე ნესტიევი: „სამხრეთის წარმატაცმა ქალაქმა ალტაცებში მოიყვანა კომპოზიტორი. ინტერესით ათვალიერებდა იგი ახალ შენობებს, მტკვრის სანაპიროს და ბოტანიკურ ბაღს ძველი სააფულოს მახლობლად. ომიანობის დროს სინქლევიტის მიუხედავად მუსიკალური ცხოვრება საჭარბოვანად დედაქალაქში ძალზე ინტენსიური იყო. პროკოფიევი ხშირად ესწრებოდა კონცერტებს, სპექტაკლებს ქართულ დრამატულ და საოპერო თეატრებში. განსაკუთრებით აღაფრთოვანა იგი

მ. ყიფიანი.
მეფოლდის პორტრეტი.



ოჯახადსდილთა

ზემოქმედიანა



საქეკატაგმა „ოტკლომ“ რუსთაველის თეატრში. თბილისში პროფიცი გააგარძობა იხტეხიურ შემოქმედებით მუშაობას. აქ დაამთავრა თავისი საფორტეპიანო თედორე ხე-7 სონატა და ყველაზე კაიტალური ქობილება — ოქერა „ომი და მხვიდობა“ პირველი რედაქციით. თბილისში პროფიციემა წარმატებით იღირეთონა თავის საავტორო სარეფიციონ კონცერტზე და რამდენიმე კლავირატეანდი გამართა. ეს იყო მისი, როგორც პიანისტი, უკანასკელი გამოყვლები: მომდევნო წლებში მძიმე ავადყოფობას მას ხელი ააღებინა საკონცერტო მოღვაწეობაზე.

მასხუის ცხოვრი ვიოლინისტ ბორის სიბორთან ერთად პროფიციეის მიერ შესრულებული სავიოლინო სონატა. ამავე კონცერტზე შესარულა მას თავისი „წაშეფებანი“ და საფორტეპიანო პიესა „კადო“, რომელმაც აღფრთოვანებამი მოიყვანა მსმენელი.

მუსიკალური საზოგადოებრიობის მხარედი ყურადღებით სარგებლობდა თბილისის მუსიკალური ათწლდის მისწვლეთა საჩვენებელი კონცერტები. მხარუნელი პედაგოგის ხელმძღვანელობით ბორის მუსიკოსები ეფუძვლებენ საშემსრულებლო ხელოვნების საიდუმლოებებს და ახარებდნენ ჩვენს მუსიკალური კულტურის გულშემატკივრებს. ამ პერიოდში მუსიკალურ ათწლედში სწავლობდნენ საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების მომავალი ლაურეატები — მარინე იაშვილი, რუდოლფ კერერი, დიმიტრი მაშკიროვი, ლევ ვლასენკო, მარგარეტა ჩხეიძე, ცნობილი შესრულებლები: თენგიზ ამირჯანიძე, ნოდარ გაბუნია, ალექსანდრე ნიჭარაძე, კომპოზიტორები თორ კორდელი, ალექსანდრე ფირფოვი...

ამ წლებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო საშუო კონცერტების სიძრავლე, რომელშიც მოხაწილობას იღებდნენ გამოჩენილი შემსრულებლები. 1941 წელს პირველად ჩამოყალიბდა სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი, რომელსაც სათავეში ედგა კომპოზიტორი რევაზ განიჩავაძე.

დადებითი როლი შესარულა 1944 წელს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ჩამოყალიბებამ, იგი კარგ შემოქმედებით მასად იქცა ქართული კომპოზიტორებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ კვარტეტთან გამოვიდა კომპოზიტორი სულხან ცინცაძე, რომელიც ჩელოს პარტიას ასრულებდა. მომდევნო წლებში კვარტეტმა შესარულა ცინცაძის ყველა კამერული ნაწარმოები.

1943 წელს თბილისელი მუსიკის მოყვარულები მოწმენი გახდნენ კიდევე ერთი შესანიშნავი მხატვრული მოვლენისა — ჩვენი ქალაქის საკონცერტო ესტრადაზე პირველად გამოვიდა სვიატოსლავ რინტეი. მანამდე თითქმის უცნობმა პიანისტმა მოაჯაროვა თბილისელები, რომლებიც მის ერთგულ და აღტაცებულ თაყვანისმცემლებად დარჩნენ.

აღსანიშნავია, რომ თბილისი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც რინტერის, მაშინ ჯერ კიდევე სტუდენტის, ტლანტაძის ასეთი მხურვალე დაფასება ჰქონდა. საკავშირო მასშტაბით კი რინტერმა ერთი წლის შემდეგ 1945 წელს მოსკოვში გამართულ კონკურსზე გამარჯვების შემდეგ გაითქვა სახელი. თბილისში რინტერს მრავლად ჰყავდა არა

მარტო თაყვანისმცემლები, არამედ პირადი მტრებიც. ამიტომ იგი თბილისის სმირი სტუმარი იყო და ჩვენს მიწეში გახდნისა. რინტერის ტიტანური შემოქმედებით აიროვლების ჩამოყალიბებისა და სრულეებისა.

ეს წლები ნაყოფიერი გამოდგა ქართველი კომპოზიტორებისათვის. მრავლადმა პატრონულუმმა აღვატებამ, რომელმაც მოიყვანა თბილი საბჭოთა ხალხი, საბამილო ომის გიორუმმა ეპიზოდებმა მათ სხვადასხვა ჟანრის მიწეწელები ნაწარმოების შექმნა შთაგოხეს. შეიძლება ითქვას, რომ სამამულო ომთან არის დაკავშირებული ქართული მუსიკის გაავითარების მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც აღინიშნა კომპოზიტორთა ახალი, შემოქმედებითად აქტური თაობის გამოხვლით სამოღვაწეო ასპარეზზე. ამ წლებში მთელი ძალით ამოფეთვა ახალგაზრდა ალექსი მაჭავარიანის თვითმოყვმა ნიჭმა, პირველი მიწეწელოვანი ნაწარმოებები შექმნეს დავით თორაძემ და ნიკოლოზ გუდიაშვილმა. ქართულმა საზოგადოებრიობამ პირველად გაიგოთ ახალგადა კომპოზიტორების: თორ თაქთაქიშვილის, არნოლ ჩიმაკაძის, ალექსანდრე შავერას შავერასის, რევაზ ლალიძის, სულხან ცინცაძის სახელები. სულ მალე ეს ახალი შემოქმედებითი ძალები ქართული მუსიკის ანგეგარდში ჩადგნენ. უფროსი თაობის კომპოზიტორებთან — შალვა მუსხელიშვილთან, ანდრია ბალახჩივაძისთან, გრიგოლ კილაძისთან, ვანო გოციელთან, იონა ტუცკასთან ერთად ისინი წარმატებით ეწეოდნენ შემოქმედებით მუშაობას ქართული მუსიკის სხვადასხვა დარგში, ახალგაზრდა კომპოზიტორებს აიახლე და სისხალე შევავთ ქართული მუსიკაში, ამრავალფეროვნებენ მას ჟანრობრივად, თემატურად, სტილისტურად, აფართოებენ მის იდეურ-მხატვრულ ფარგლებს. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული მუსიკის წარმატებებს სწორად ამ წლებში ჩაყარა საძირკველი.

ქართული მუსიკისათვის ეს განსაკუთრებული პერიოდი, რადან რომელიც დროის მანძილზე შეიქმნა სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის მრავალრიცხოვანი ნაწარმოები. თვალსაჩინო იყო ამ ნაწარმოებთა უტყუარი მხატვრული ღირსეები. აღსანიშნავია, რომ ძლიერი ნაწარმოებები შეიქმნა იმ ჟანრებში, რომლებიც მანამდე ჩამორჩებილად ითვლებოდნენ ქართულ მუსიკაში, მაგალითად, სიმფონიისა და ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრებში. საგრძნობლად ამაღლდა კომპოზიტორთა პროფესიული ოსტატობის დონე.

ბუნებრივია, რომ ამ წლებში ძალზე პოპულარული გახდა პატრიოტული და ისტორიულ-რეგოლუციური თემატიკა. ამავე დროს კომპოზიტორები სულ უფრო თამამად მიმართავენ ფსიქოლოგიურ პრობლემატიკასაც.

დიდი მხატვრული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუსიკის დედად, რომელიც თბილისში გაიმართა 1944 წლის დეკემბერში. ამ დეკაის მასშტაბებს ნათლად მოწმობს მონაწილეთა რიცხვი, რომელიც 800 კაცს აღწევდა. დეკად მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის სამ მომე რესპუბლიკაში ომის წლებში შექმნილ საუეთესო ნაწარმოებთა ჩვენებას.

აქ გაიხმოვანეს ხაჩატიურიანისა და ჰაჯიბეგოვის, ბალანჩი-
კიძისა და მშველიძის, ტუსკიასა და კილიძის და სხვების
ნაწარმოებები. კონცერტებში მონაწილეობას იღებდნენ
საუკეთესო სამსწრეულები ძაღვები, სიმფონიური ორკეს-
ტრები, ხალხური მუსიკალური კოლექტივები, ენობილი მო-
მღერლები და შემსრულებლები. დღაცაღის შემდეგ გაიმარ-
და თეორიული კონფერენცია, რომელმაც თბილისის საოპერო
სახელობის მხედველი, ომიანობის წლებში გამართული დე-
კად ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენდა საბჭოთა ხალ-
ხის უმეტესი შემოქმედებითი ენერჯისა და სულეირი სი-
მტიკიასა.

ომის წლებში შექმნილ ქართული საოპერო ნაწარმოებ-
ებიდან უნდა დავასახელოთ ვანო გოციელიის გმირულ-პატ-
რიოტიკული ოპერა „პატარა კახი“ და ალექსი მაჭავარიანის
ოპერა „დღა და შვილი“, რომლებიც თბილისის საოპერო
თეატრის სცენაზე დაიდგა. საყურადღებო ნაწარმოებები
შეიქმნა აგრეთვე საუნდო და სასიმღერო ჟანრებშიც, მაკ-
არ განსაკუთრებით ნაყოფიერად ვითარდებოდა ამ ხანებ-
ში სიმფონიის მეორე სიმფონია, მატეაგარიანის ქართული გან-
შტოებით. ქართული მუსიკა მდიდრდება ისეთი ნათელი,
საინტერესო და სტილისტურად ღრმად განსხვავებული ნა-
წარმოებებით, როგორიცაა ბალანჩიკაძის პირველი სიმფო-
ნი, მშველიძის მეორე სიმფონია, მატეაგარიანის სიმფონი-
პიანო კონცერტი, ამ ნაწარმოებებს დღესაც არ დაუკარ-
გავთ იდეურ-მხატვრული მნიშვნელობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ანდრია ბა-
ლანჩიკაძის პირველი სიმფონია (1944 წ.), რომელიც სა-
ხელმწიფო პრემიით იქნა აღნიშნული. ეს ნაწარმოები
დღემდე ამ ქანრის საუკეთესო ნიმუშია ქართულ მუსიკაში.
პირველ სიმფონიაში კომპოზიტორი გამოიმჩნეა ომის
წლების სიმამებს, აღბეჭდა საბჭოთა ადამიანების ფიქრები
და განცდები, უმღერა მათ გმირობასა და სულელი სიმტიკი-
ცეს. ბალანჩიკაძის სიმფონია ყურადღებას იქცევდა ეროვ-
ნული სიმფონიური სტილის ისეთი მნიშვნელოვანი პრობ-
ლემების თამაში ნოვატორული გადაწყვეტით, როგორიცაა
მუსიკალური ენა და სიმფონიური დრამატურგია. კომპო-
ზიტორი დგას ეროვნული მუსიკალური სტილის პოზიცი-
ებზე და ამავე დროს ამდიდრებს მას კლასიკური და საბჭო-
თა სიმფონიის ტრადიციებით. პირველ სიმფონიაში ნათ-
ლად გამოვლინდა ავტორის დახვეწილი მხატვრული გე-
მიფენა, მუსიკალური თხრობის უშუალოა და რომანტიკო-
კული ზეაწეულობა შერწყმული კარგეულ მთლიანობასთან
და სინატივისთან. სიმფონია გამოირჩევა მუსიკალური ში-
ნარის სიღრმით და მრავალფეროვნებით, ფორმის თა-
ვისებურებათა და აზროვნების სიმტიკიცი, განვითარების
დრამატიზმით, მის მუსიკაში გადაჯაჭვულია ლირიკულ-
პოეტური მხარე დრამატული ყოფით-ჟანრული და გმი-
რულ-ეპიკური სახეები. სიმფონიის იდეური რეჟისუმი დივი-
და ამაღლებულ ეპიკურ ფინალში მოცემული, სადაც კომ-
პოზიტორი ამკვიდრებს ნათელ ოპტიმისტურ საწყისს,
რქმენას ჰუმანური იდეის გამარჯვებაში. ბალანჩიკაძის
პირველი სიმფონია პირველხარისხიანი ნაწარმოებია, რო-

მელიც დგას საბჭოთა სიმფონიის საუკეთესო მიღწევების
დონეზე.

სიმფონიური მუსიკის წარმატებები დაკავშირებულია გა-
მოჩინილი საბჭოთა კომპოზიტორის შალვა მშველიძის სა-
ხელთან. როგორც ცნობილია, მან ჯერ კიდევ სამაშულო
ომამდე შექმნა შესანიშნავი სიმფონიური პიუნა „შვიადუ-
რი“, რომელიც დღესაც ქართული სიმფონიის ყველაზე
ორიგინალური ნიმუშად ითვლება. ომის წლებში კომპოზი-
ტორმა პირველად მიმართა „წინადა“ სიმფონიის ქანრს და
შექმნა მისი ორი ნიმუში. ინტერესს იმსახურებს 1944
წელს დაწერილი მეორე სიმფონია, რომელსაც ავტორმა
„სინარუსისა და გამარჯვების სიმფონია“ უწოდა. ეს ნა-
წარმოები წარმოადგენდა კლასიკური სიმფონიური ფორ-
მის ათვისების ერთ-ერთ პირველ ნიმუშს ჩვენს მუსიკაში.
თავის სიღრმე სასიათით სიმფონია ქანრულ-ეპიკურია
და გამსჭვალულია მსნე გმირული და საწვიმო განწყობი-
ლებით. საინტერესოა იგი იმითაც, რომ მშველიძე ავარ-
თობებს მუსიკალური ენის ინტონაციურ სფეროს, რომელიც
მანამდე აღმოსავლელ საქართველოსა და მთის დიალექტებს
ეყრდნობოდა. ამ ნაწარმოებებში კი მას შეაქვს აგრეთვე
დასავლელ საქართველოს დიალექტებისთვის დამახასია-
თებელი სტილისტური აღქმები, განსაკუთრებით ეს იგ-
რძინება სიმფონიის ფინალში.

40-ან წლებში ყალიბდება გამოჩინილი ქართველი კომ-
პოზიტორის ალექსი მაჭავარიანის ნათელი შემოქმედება.
მან ზედმიწევნით შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც ავტორს
ფართო პოპულარობა და მაღალი შემოქმედებითი ავტორი-
ტეტი მოუპოვა. მაჭავარიანის შემოქმედების საუკეთესო
ფურცლებისათვის დამახასიათებელია მხურვალე ემოციუ-
რობა, რომანტიკული ექსპრესია, გაქვაცურ-ტემპერამენტუ-
ლი და ნაწი პოეტური სახეების შენაშენა. ყოველთვის ეს
თავს იჩენს მის პირველ დიდტანთან კომპოზიციაში — სა-
ფორტეპიანო კონცერტში, რომელიც 1944 წელსაა შექმნი-
ლი. ეს კონცერტი წარმოადგენდა ამ ქანრის ერთ-ერთ პირ-
ველ საყურადღებო ნიმუშს ქართულ მუსიკაში. აქ კომპო-
ზიტორი პირველად წარმოგიდგა, როგორც ნათლად გამო-
ხატული შემოქმედებითი იერის მქონე ხელოვანი.

მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი ლირიკულ-
დრამატული ხასიათისაა და დიდი ემოციური მიღწევრე-
ბით გამოირჩევა. ეს ნაწარმოები აერთიანებს კომპოზიტო-
რის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებებს, რომლე-
ბიც ვითარდება მის მომდევნო ნაწარმოებებში, კერძოდ კი
ცნობილი სავილინო კონცერტში.

ამ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა შორის არის აგ-
რეთვე დიმიტრი არაკიშვილის მეორე სიმფონია, გრიგოლ
კილიძის პირველი („გმირული“) სიმფონია, ნიკოლოზ ნა-
რიშანიძის ორატორია „გაცილებდა საბჭოთა არმიას“, შა-
რვა თაქთაიშვილის საფორტეპიანო ტრიო, ნიკოლოზ გუ-
ლიაშვილის კანტატა „კავკასიონი“.

რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები შექმნა კამერულ-
ვოკალური ქანრშიც. ნაყოფიერად მუშაობდა კომპოზიტო-
რი ი. ტუსკია, რომელმაც დაწერა სიღერებისა და რომან-


სების წყება: „წერილი მებრძოლთა“ (ვაჟას ტექსტზე), „სიმღერა კაპიტან ბუხაიძეზე“ (ირ. აბაშიძის ტექსტზე), „სამშობლოათვის“ (სიმონ ჩიქოვანის ტექსტზე), „პატარა ბარათი“ (მარგინის ტექსტზე), საგუნდო სიმღერა „დიდება გმირებს“. საინტერესო იყო ამ უკანასკნელის შექმნის ისტორია. 1943 წლის ბოლოს, როცა სამამულო ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა დახურული კონკურსი საბჭოთა კავშირის ჰიმნის შექმნაზე, რომელშიაც რამდენიმე ათეულმა კომპოზიტორმა, მათ შორის ტუსკიამაც მიიღო მონაწილეობა. სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები შედიოდნენ, კონკურსის უკანასკნელი ტურისათვის შესარჩევად დატოვა რამდენიმე ნაწარმოები და მათ შორის ტუსკიას ჰიმნი. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ტუსკიას ჰიმნს და ერთხანს თითქოს მასზე შერედა კიდევაც არჩევანი. მაგრამ, საბოლოოდ, ჰიმნისათვის უფრო მიზანშეწონილად მიიჩნეეს ალექსანდროვის ცნობილი საგუნდო სიმღერა. ასეა თუ ისე, ქართველი კომპოზიტორის მონაწილეობა ამ დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებაში, ნაწარმოების მაღალი შეფასება ესოდენ ავტორიტეტულ კომისიისაგან, ტუსკიას შემოქმედებით გამარჯვებაზე

მეტყველებდა. კომპოზიტორს მიანიჭეს საპედაგოგიკური პრემია. მალე ტუსკიას ნაწარმოები ახალი სათაურით — „დიდება გმირებს“ სერგი მისხლკოვის ახალ ტექსტზე გამოცემულ იქნა მოსკოვში და არაერთჯერის შესრულებულა კონცერტებზე და რადიოთი.

წარმატება ხვდა აგრეთვე ირაკლი აბაშიძის ცნობილი ლექსის მიხედვით შექმნილ სიმღერას „კაპიტან ბუხაიძეზე“. სახელოვანი ქართველი მეომრისადმი მიძღვნილი ნაწარმოები კომპოზიტორმა ვოკალური ბალადის ფორმაში განასახიერა, რაც საესეებით შეესატყვისებოდა თემის სპეციფიკას.

ამ წლებში შექმნილი კამერულ-ვოკალური ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ალექსი მაჭავარიანის შთაგონებული რომანსი „არ დაიდარდო, დედაო“ გიორგი ლეონიძის ტექსტზე. პატრიოტული თემა კომპოზიტორს დრამატიზებული ლირიკის ასპექტში აქვს გადაწყვეტილი. რომანსი ხიბლავს მსმენელს თავისი ხალასი ექსპრესიით, ტრაგიკული გამოსახველობით.

სამამულო ომის წლებში ქართული მუსიკის წარმატებები განმტკიცდა და კიდევ უფრო განვითარდა მომდევნო წლებში, როდესაც ქართველ კომპოზიტორთა მრავალმა ნაწარმოებმა ფართო აღიარება ჰპოვა საკავშირო მსმტბაით.




რ. ამირიოვი.
მხატვარ ზაზიაშვილის პორტრეტი.

ოკვანსლილთა
ზაფოქაქაღაზა



ალ. ელსტი.

ქიათურა.



ვ. ზარიძე.
ბათუმის გემთშენებელი ქარხანა.



რ. თორღია.

პირისპირ.

ქართული თეატრი სამედიკო ომის წლებში

ვასილ კიკნაძე

მომავალი წლის წინ დამთავრდა დიდი სამამულო ომი. მას შემდეგ მოვიდნენ ახალი თაობები, ახალი ადამიანები. ქვეყანა ისევ შვიდის „დაკარგული რიცხვით“, ომში დაღუპულთა შვილები ახლა მამები არიან. მათი შინაშესვლელი მამები კი ჭაბუკებად დარჩნენ.

ომი დამთავრდა, მაგრამ ვრ გამჭრალა სსოვნა შინაშესვლელი ჭაბუკებისა. სულ უფრო მეტად ინიტება მარადიული ცეცხლი სამომ საფლავებზე, ჩნდება ახალი ძეგლები, ქანდაკებები...

ჩვენს შორისაც დადიან ომგადახდილი ჯარისკაცები. ზოგჯერ ყოველდღე ხვდები მათ და არც კი გიცივს, რომ ეს ჭაღარა დედა, ეს მოხუცი კაცი, ეს ხანდაზმული ადა-

მიანი შენს სიცოცხლეს იცავდა ოცდახუთი წლის წინათ. მას ჰქონდა ახალგაზრდობა და იგი დატოვა ტრამალებში, სანგრებში, სტალინგრადთან და კურსკთან, ბელორუსიის ტყეებში. უკრაინაში, რუსეთის ველებზე, კავკასიის მწვერვალებთან. ნაოზარი, შუბლდაღარული დაბრუნდა, რომ დანგრეული ქვეყანა აღედგინა. და აი, ამ ომგადახდილმა, იმის მაგივრადაც იზრომა, ვინც ბრძოლის ველზე დარჩა.

მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ ომშიაც იყო ბედნიერება. იგი წარმოდგებოდა რწმენიდან, გამარჯვების სურვილიდან, მოვალეობის შეგნებიდან. ომი თესავდა მტრისადმი სიძულვილს, მეგობრობისადმი დიდ სიყვარულს.

ომი შეეხო ყოველ დარგს, ომმა მოიცვა მთელი ცხოვრება. პატრიოტული მოვალეობის გრძობით იღვწოდა ქართული თეატრიც. ჩვენ მის სცენაზე ვნახეთ შინაშესვლელი ჯარისკაცებიცა და ომგადახდილიც. ვნახეთ ისინიც, ვისაც ახლა, ჩვეულებრივად, დიდი სამამულო ომის მონაწილეს ვუწოდებთ.

ქართული თეატრის მებრძოლი სული საუკუნეების სიღრმეებიდან მოდის. საუკუნეების მანძილზე იწრთობოდა, კრიტიკდებოდა ის ფორმები, რომელსაც ყოველი თაობა იღებდა და ითვისებდა როგორც ძვირფას ტრადიციას.

ქართული თეატრის მებრძოლი ბუნება, მისი მოქალაქეობრივი სახე დიდებულად გამოიხატა ვრცელ მეფის თეატრის მაგალითით. ამ ფაქტის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი ამავლევებლად მოგვითხრობს:

„მცხოვრებთაგან თბილისისთა გამორჩეულ იქნეს კაცნი მამაცინი და მარჯვნი, რომელთაც აღმოაჩინეს წინამძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა სახანდრად უწოდებდნენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესჯარავთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი და ეს იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ეს იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითა ქართველი, რომელსაც სახელს სდებდნენ მარჩებლად. ეს მიუძღვა გუნდსა მას თბილისელთასა მტერთა მიმართ და ეყარა ხელთა ბარბითა ე. ი. დაიარა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა, რომელსაც ლხინსა შინა დაუკრავენ. ესაზა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინიდან მპაი ესე განამხარულებს მსმენელთ. იხილა რა ადამამაზღანმა სიხონე ესე ვითარი ქართველთა მხედრობის, განკვირდა ფრადი და იტყოდა: სიკრემლთაგან ჩემით ვიდრე აქომამედ დამიყოფი ბაძოლასა შინა და არსად მიხილავს მე წინააღმდეგნი ვითარ ესე კაცნი ჩემთა მიმართ ჰყოფდნენ ბრძოლასა, მარჩალობსა გუნდი შეეწირა მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისსა. სახელოვნად დასთხოვნეს სისხლინი თვისნი“.

ეს არის ძიწნი ქართველი მსახიობის გმირობაზე, მის რაინდულ სულზე. ეს მაღალი პატრიოტული შეგნება, რომელიც მარჩებლმა გამოამტკიცა, წარმოადგენს ქართული თეატრის თვისებას. მარჩაბელისა და გაბრიელ მაიორის მებრძოლი თეატრის ტრადიცია საესტეტი გაიზიარეს შემდგომში თაობებშიცა.

სწორედ ამ ტრადიციის ნათელი დადასტურება იყო ლადო მესხიშვილის ბრძოლა ბარაკაბეძეზე 1905 წლის რევოლუციამდე. ლადო მესხიშვილმა კიდევ უფრო გაამდიდრა პატრიოტული ტრადიცია. შემდგომ წლებში იგი ორგანულად შეერწყა ახალ ქართულ საბჭოთა თეატრს. ამის საუკეთესო მაგალითი იყო კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლი



საქართველოს
წიგნების კავშირი



„მოსკოვის ბუესთან“.
მსახიობი ქალი — თ. თბილელი.

„ცხერის წყარო“. როცა ეს საექტაკელი კივემია დიდიგაკადემიის წინააღმდეგ დაძრული საბჭოთა ჯარისკაცები ჯერ საექტაკეზე მიდიოდნენ და შემდეგ კი ბრძოლის ველზე.

ქართული საბჭოთა თეატრის მდროშენი კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი და სხვები დიდი პატრიოტული სულიკვეთებით ზრდიდნენ თეატრს. ქართული საბჭოთა თეატრის საფუძვლების ცხველმყოფელობა და მოქალაქეობრივი სიდიადე განსაკუთრებულად გამოჩნდა დიდი სამშალო ომის წლებში. თეატრმა მტერზე გამარჯვების საქმეს დაუმორჩილა მიწის თავისი შემოქმედება. ბრძოლის ველზე წავიდნენ მსახიობები, რეჟისორები, თეატრის ტექნიკური მუშაკები. შინდარჩენილებმა კი მხატვრული სიტყვით გაუმართეს მტერს ომი.

ბრძოლის ველზე გასულემა გმირობისა და თავდადების ნამდვილი მაგალითები გვიჩვენებს. ისინი ვაკეაკურად იბრძოდნენ და სხვებსაც ამსვენებდნენ. დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე, ბრძოლის ველიდან იწერებოდა მსახიობი კობა ვადაჭკორია:



„მოსკოვის ბუესთან“. ვასია — ა. აფხაიძე.

„დეკემბრის შემდეგ ყირიმში ვარ და ვითვლება მის ერთ-ერთ დამცველად. ვიბრძოდი ლოზუნგით: ყირიმში იყო, არის და იქნება საბჭოთა მიწა. დამინშეს ნაწილის კომისრად. ვასრულე ჩემი პარტიის დავალებს. არ შეგარცხვით“.

ამ სტრეინებში ჩანს ქართველი მსახიობის პატრიოტული შეგნება, მისი მზადყოფნა — ბოლომდე დარჩეს საწინააღმდეგო ერთგულ დამცველად. ბევრი ახალგაზრდა მსახიობი დაეცა ბრძოლის ველზე, ბევრი მათგანი ისე წავიდა ომში თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რომ ვერც მოასწრო მნიშვნელოვანი სახის შექმნა სცენაზე. ზოგი კვლე, მ. გელოვანის სიტყვით რომ ვთქვათ, „იარაღთან ბავშვი მივიდა და ახლა შუბლზე ნაოჭებს ითვლის“.

სეესტოპოლის ბრძოლებში თავი ისახელა მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა გიორგი ჩახავამ. საბჭოთა კავშირის გმირი ა. გვეგშიძე მის საბრძოლო ეპიზოდს ასე იგონებდა:

„ჩემს ბატალიონში სახელი გაითქვა გ. ჩახავამ. იგი მარჯანიშვილის თეატრიდან მოვიდა ნაწილში და დადი ენთუზიაზმით დაეწავა სამხედრო საქმეს. მან თავი გამოიჩინა მრავალ ბრძოლაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მწუხრიდან გამოვიდა ტყვიამურქვევი. გვერდით მტყვიამურქვევე ჩახავა და დეუფლა ამ ტყვიამურქვევესაც. იგი ხან ერთით ისროდა, ხან — მეორით. როცა ერთი ვაცხლდებოდა, მეორესთან მიდიოდა. ასე იბრძოდა, ვიდრე არ დაიჭრა.“

... 1942 წლის ზამთარში ჩვენმა ბატალიონმა მიიღო შეგნება. ჩამოსულთა შორის იყვნენ ქართველებიც. მომიწა მათი გაცნობა, დალაპარაკება. გადავწყვიტე სათითაოდ მიმეწვია... და აი, მომიხბლოდა მაღალი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა ოფიცერი და მომახსენა — ლიტენანტო ჩახავა!..

შეხვედით, ოფიცერის ლამაზი სახე ნაცნობად მომეჩვენა. შევიკითხე:

- სად შეხვედრივართ ადრე ერთმანეთს?
 - ალბათ, თბილისში.
 - თბილისში დიდი ხანია არ ვყოფილვარ. შორეულ ალბანეთში ვმსახურობდი.
 - მაშინ კინოში შეხვედებოდი ერთმანეთს.
- მეგონა ოფიცერი ზუმრობდა, მაგრამ მან განმმარტა, რომ ის



„ირიმის ბევი“. ბაღრი — ნ. ჩხივიძე.

მსახიობი იყო მარჯანიშვილის თეატრიდან და კინოშიც გადაიღეს.

— თუ ნახეთ „დაკარგული სამოთხე“, მაშინ ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართ. მე ერთ-ერთ ძმას ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, ჩაბავს სახე ჩემთვის კინოფილმიდან იყო ნაცნობი. მე უფთხარი რეჟისორი, ჩაბავა ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილედ დავინშნათ. ჩაბავს კი ვთხოვე ხანდახან გამოსულიყო მეგობრულღების წინაშე, რათა თავისი მსახიობური ისტაობობით აემადღებინა მათი საბრძოლო განწყობა“.

ასე ლამაზად დარწა დიდი სამამულო ომის ისტორიაში მსახიობი გიორგი ჩაბავა. სხვაც ბევრი დაცვა ბრძოლის ველზე, ბევრიც დაბრუნდა ომგადასდილი.

რესპუბლიკის ყველა თეატრიდან წავიდა ფრონტზე მსახიობი, რეჟისორი თუ ტექნიკური მუშაკი. ბევრი მათგანი ვერ დაბრუნდა თავის საყვარელ თეატრში. მაგალითად, ფოთის თეატრიდან ოცამდე მუშაკი წავიდა, მაგრამ დაბრუნებთ კი მხოლოდ ხუთი დაბრუნდა. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებიდან ომში ათობით ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ახლა ძნელია ყველა იმათი გვარის დასახელებაც კი, რომლებმაც ომში მიიღეს მონაწილეობა. მომავალში, ალბათ, ყოველ მათგანზე დაიწერება მოსაკონარი. და ეს უნდა გააკეთონ პირველ რიგში თეატრის იმ მუშაკებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ შინმოსულებებს.

შინ დარჩენილებსათვის ერთ-ერთი სახურუნავი გახდა საშფოო მუშაობა. სამხედრო ნაწილებსა და კოსპიტლებსაც დაიძრა საკონცერტო ბრიგადები. მეგობრების წინაშე ხშირად გამოდიოდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ლამბაშიძე, ვასო გომიაშვილი, სერგო ზაქარაძე, გიორგი საღარაძე, სტეფანე ჯაფარიძე, ვიორგი დავითაშვილი, თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა, შალვა ჯაფარიძე, პიერ კობახიძე და სხვები.

ქართველმა მსახიობებმა დიდი სამამულო ომის წლებში 1.500-ზე მეტი საშფოო კონცერტი გამართეს, ეს იყო დიდი მორალური ძალა.

სექტაკლები, კონცერტები იმართებოდა ღია ცის ქვეშ, ტყეებისა და ყუმბარების წვიმაში. მსახიობი შალვა ჯაფარიძე ასე იგონებს იმ წარმოდგენებს:

„ვიყავთ წითელი არმიის ერთ ნაწილში კონცერტების გასამართვად. ყველაფერს რაღაც არაკველბორიო ელფერი დაპკრავდა... ელვის სისწრაფით ორი სატივრობო მანქანა მოადგეს და სცნა უკვე შალა იყო ცის ქვეშ... — ასეთ კონცერტებზე ჩვენი სცენის ოსტატები გამოდიოდნენ“.

არა ერთი ამაღლებული ეპაზოდი იყო ომის წლების თეატრის ცხოვრებაში. ყველანი დაძაბულად შრომობდნენ ფრონტსა თუ ზურგში. რუსთაველის თეატრის მსახიობებმა თავიანთი დანაშაუნი (#26 ათას მანეთზე მეტი) შეიტანეს თავდაცვის ფონდში. მძიმედ დაჭრილ მეომართა მხატვრული მომსახურების მიზნით ჩამოყალიბდა სიმებიანი კვარტეტი, რომელიც პალატებში ასრულებდა ნაწარმოებებს“.

ერთ-ერთი მონაწილე იგონებდა:

„სახეზედ რომ ღინილს შევამჩნევდით მძიმედ დაჭრილებს, ვფიქრობდით, ერთის წუთით ხომ მაინც დავაწვეუთ ტკივილი... მუსიკა მათ უმსუბუქებდა ტკივილს, აშშვიდებდა დაქრლილთა აფორიაქებულ სულს“.




„ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“.
მელიცინის და — თ. ბოლქვაძე.



„ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“.
ლევინენტი კობლოვი — გ. ასრტავილი.

„მოსკოვის ბუქსთანა“.
სტრელცოვი — ა. ვასაძე.





საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრის
სტამბა

საშფო ბრიგადების დღიურებში (მაგალითად, მარჯა-ნიშვილის თეატრისა) ხშირად შეხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „1942 წლის აპრილის თეატრის მხატვრულმა ბრიგადამ ოთხის ნაკვალად გამართა 9 კონცერტი № 14-22 ჰოსპიტალში. კონცერტი ჩატარდა პალატაში მიმდებარებულ თეატრისა. ერთ-ერთ დოკუმენტში წერია: „ჩვენ ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც საბჭუნალოდ ვიმყოფებით № 1418 ჰოსპიტალში, სულთა და გულთა გუხვით მადლობას მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებს“, „კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა, — წერენ სხვა ჰოსპიტალიდანაც, — განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ც. წუწუნავას, ს. ჟორგოლიანის, კ. კვანტალიანისა და ა. გომელაურის გამოსვლამ“.

საშფო ბრიგადის აქტიური მონაწილე ბაბო გამრეკელი იგონებს: „მუშაობა გვიხდებოდა ათასგვარ პირობებში. სცენა, რა თქმა უნდა, არ გვემოხდა. ვთამაშობდით ოთახებში, ვიწრო კორიდორებში, ეზოებში, კიბეებზეც კი... ჯანსაღი სიცილი, რაც მოჰყვებოდა ხოლმე ჩვენს გამოსვლას, ალგავრთოვანებდა და დიდ გამყოფილების გვაგრძობინებდა“. ზოგიერთმა მსახიობმა 100-ზე მეტი საშფო კონცერტი გამართა ომის წლებში.

მაგრამ ყოველივე ეს ქართველ მსახიობთა შრომის, მათი მებრძოლი ხელოვნების ერთი მხარეა. ამ წლებში ფართო შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა სცენაზე. სპექტაკლები იმართებოდა მეტად რთულ პირობებში, მაგრამ ყველაფერს წარმართავდა მაღალი პატრიოტული შეგნება.

ომის თვისებრივი სხვადასხვა კუთხით ამუშავებდა. სცენაზე იდგებოდა უშუალოდ დიდი სამამულო ომის საბრძოლო ცხოვრების ამსახველი პიესები, იდგებოდა ისტორიულ-პატრიოტული ნაწარმოებები და ანტიფაშისტური სპექტაკლები.

რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ვოლფის „პროფესორი მამოკოი“. რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ შექმნა მძაფრი მამოხლებელი ანტიფაშისტური წარმოდგენა. პატრიოტული სულისკვეთებით აჟღერდა ვ. დარასელის „კიკვიძი“. ამ ლეგენდარულ გიმირის მგზნებარე, შთაბეჭებით სავსე შინაგანი ექსპრესიით, რწმენითა და შემარბთებით გამოხატა აკაკი ვასაძემ. მისი ტემპერამენტური, მკვივრული და მიზანწინარე კიკვიძე შეიყვანა ქართულმა აუდიტორიამ. როცა ეს სპექტაკლი ნახა ნემროვიჩი-დანჩენკომ, დიდად შეაქო იგი და მალე ვასაძე სახელმწიფო პრემიითაც დაჯილდოვდა კიკვიძის როლის წარმატებით შესრულებისათვის.

მარჯანიშვილის თეატრმა სამამულო ომის ატმოსფეროს მიუხადავად რეპერტუარი. ამ პიესის არჩევნიც სწორედ ამითი იყო გამართლებული. ომის დაწყების პირველ ხანებში ჯერ კიდევ არ იყო უშუალოდ სამამულო ომზე დაწერილი პიესები. მალე მარჯანიშვილის თეატრმა მოაწყო ერთმოქმედებიანი პიესების საღამო. სპექტაკლი იწყებოდა იალუნერის პიესით, „სასტუმროში“. პიესას მოყვნილი იყო საბჭოთა ქალის გმირობა, მისი პოლიტიკური სიფხიშლე და სასრიანობა ფაშისტთან ბრძოლაში. საღამოს პროგრამიდან გამოირჩეოდა ილია ჭავჭავაძის „ქართლის

დედა“. თამარ ჭავჭავაძის და პიერ კობახიძის „დედა“ ამ სპექტაკლში განსაკუთრებულ სიხარულს გვრბდა მყურებელს. სცენიდან ამაღლებულად ისმოდა ქართლის დედას სიტყვები:

„ემა, ამ დღისთვის გაგიზარდა, მამულო, შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“.

უშუალოდ ომის თემს ეხებოდა სამსონიას პიესა „7 საათი და 29 წუთი“. იგი ღრმა დრამატულ კონფლიქტზე იყო აგებული და მაყურებელიც დიდი ინტერესით მსვდა.

1942 წლის მღელვარე დღეებში მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ბორის გამრეკელის „გრიადი“. პიესა სამამულო ომის თემს ეხებოდა და მასში ასახული იყო საბჭოთა ადამიანის გმირობა. სპექტაკლი დადგა შ. დამბაშიძემ.

1942 წლის იანვარში რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა გიორგი მდიენის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. პიესა აქტუალურად ქვნიდა და დიდი ინტერესით გამოიწვია. გახვთი „კომუნისტი“ ამ წარმოდგენის შესახებ წერდა: „სპექტაკლი სადად და დამაჯერებლად გვიხატავს სამამულო ომის დღეებს, საბჭოთა ადამიანების უმაჯალილო გმირობის გერმანული ფაშისტის ვანდალების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში. კარგად მოფიქრებული ფაბულა დრამატულადაც მიმოხედული გამოვიდა. მიუღიო სპექტაკლი სუნთქავს ვერავ მტერზე ჩვენი გამარჯვების ღრმა რწმენით, თითოეული სურათი დასაზუსტო ადამიანის ფაშისტის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდების ზარად და იგი მაყურებლის სულის სიღრმეში იჭრება“.

მალე აკაკი ხორავამ დადგა გიორგი მდიენისავე პიესა „მოსკოვის ბუქსიანი“.

დიდი ინტერესი გამოიწვია ს. კლდიაშვილის დრამა „ირმის ხევი“ — ა. ვასაძის დადგმით. სპექტაკლი კავკასიის გმირულად დაცვას მიეძღვნა. მასში აისახა ქართველი ხალხის გმირობა და ვაჟკაცობა. იყო კამათი. აზრთა სხვაობა, მაგრამ ერთი რამ უდავო იყო: წარმოდგენა სავსებით შეესაბამებოდა იმ დიდებს, იმ მიზნებს, რისთვისაც ცოცხლებოდა და იბრძოდა თეატრი ომის წლებში. თეატრმა ამ სპექტაკლითაც ვიკიწევა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და საბრძოლო სულისკვეთება. „ირმის ხევი“ მაყურებელმა გულთბილად მიიღო. მასში დანახა აეტორის კეთილშობილური მისწრაფება, მაღალი იდეურობა და მთელი რიგი სახეებისა და ცალკეული სცენების დიდი სიმართლით გამოხატვის ნიჭიერება.

მარჯანიშვილის თეატრმა 1942 წლის მიწურულს დადგა გ. მდიენის „პარტიზანები“. უნდა ითქვას, რომ გიორგი მდიენამ მთელ საბჭოთა დრამატურგიაში ერთმა პირველთაგანმა ზედისუდ დაწერა რამდენიმე პიესა სამამულო ომის თემაზე. „პარტიზანები“ ვასო ყუშიტაშვილმა დადგა. რეჟისორმა სცადა დიდი სიმართლით გამოეხატა პიესის გმირთა ცხოვრება, ექვენივე, ექვენივე და წინააღმდეგობრივი ხასიათები. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ვერიკო ანჯაფრიაძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარაიძე და სხვა

ცნობილი მსახიობები. პიესაში ცოცხლად, მართლად და ამბილღვებლად არის ასახული სამამულო ომში მონაწილე პირების თავდადება და სიმამაცე. ეს არის სწორედ ამ პიესის ღირსება, — წერდა „კომუნისტის“.

მაგრამ ხალხის ბრძოლას უსამართლობის, მონობისა და ძალადობის წინააღმდეგ მარტო თემატურად აქტუალური პიესები როდი გამოხატავდნენ. საჭირო იყო რეპერტუარის მრავალფეროვნება. მაცურებელს სცენაზე უნდა ენახა არა მარტო გმირული ბრძოლის ეპიზოდები, არამედ ჯანსაღი და ხალისიანი კომედიებიც. უნდა ენახა ისტორიული წარსულის ამსახველი სპექტაკლებიც. არასიღეს ისე მტიკივდ არ შეუღლებულა ისტორია და თანამედროვეობა, როგორც ომის წლებში. თეატრი წინაპართა საკმეირო საქმეების ჩვენებით ავადფორთოვანება მაცურებელს, უნერგავდა მის გამარჯვების რწმუნას.

ჩვენი თეატრები სცენაზე უსმობდნენ წარსულის გმირებს და მათ მაგალითოვნებ უზრდიდნენ მაცურებლებს. პატრიოტულ გრძობებს იწვევდა ისტორიული პიესები. იგი მაცურებელს მოაგონებდა, რომ სამართლიანი ბრძოლა უთუოდ დამთავრდება გამარჯვებით.

ომის წლებში დადგმული სპექტაკლებიდან დიდძალი მაყურებელი მიზიდადა „ხვეისბერმა გოჩამა“. რუსთაველის თეატრში დიდხანს მაყურებლის ტვეა არ იყო, როცა ა. ყაზბეგის ეს შესანიშნავი ნაწარმოები იდგმებოდა. ს. შანშიაშვილმა მარჯვედ გადააკეთა მოთხრობა, სპექტაკლი მშვენიერად დადგა სერგო ჭეღვიძემ. დიდი ოსტატობით გააფორმა თამარ აბაქელიამ და მკაფიო სცენაზე იერსახეები შექმნეს მიხეილ ჩიხლაძემ, გიორგი დავითაშვილმა, თამარ თეთრაძემ და სხვებმა. „ხვეისბერი გოჩა“ თეატრის დიდ მიღწევად იქცა.

პირადულია და საზოგადოებრივის, სამშობლოს წინაშე მოვალეობისა და ინტიმური განცდების შეპირისპირებაში გამოჩნდა თეატრის მხატვრული პოხიაცია. მაყურებელი მიღვარებოთ უყურებდა დრამატურული კონფლიქტის ტრაგიკულ განვითარებას. მისთვის ყველაზე წმინდა და ძლიერი გრძობა სამშობლოს საყვარელი იყო და ამტომ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სვეისბერის მოქმედებას. მართალია, ეს იყო მძაფრი ტრაგედია შემადარსებული ფინალით, მაგრამ თავისი არსით გულწრფელად ემსახურებოდა იმ იდეალს, რომელსაც სამშობლოსათვის თავდადება ჰქვია.

ქართულ თეატრში მრავალჯერ დადგმულა დ. ერისთავის „სამშობლო“. მან მთელი ეპოქა შექმნა ჩვენი თეატრის ისტორიაში. ამ პატრიოტული პიესის წარმატების შესახებ პირდაპირ ლეგენდები დადიოდა. ყოველი თამა მასში თავის საპიქლის პოულბოდა. რუსთაველის თეატრმა იგრძნო პიესის დადგმის საჭიროება და აი, 1942 წლის მიწურულს, მაყურებელმა ნახა იგი. სპექტაკლი დადგა აკაკი ვასაძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა სოლიკო ვირსალაძეს, მუსიკა — იონა ტყეპას. წარმატება მართლაც დიდი იყო. სპექტაკლს ყოველთვის ჰყავდა მაყურებელი. ამავე სეზონში დაიდგა ილია სულვისის „გენერალი ბრუსილოვი“, ხოლო მომდევნო პრემიერა იყო სანდრო შანშიაშვილის „კრწანისი

გმირები“ (დ. ალექსიძის დადგმით). კრიტიკოს ბ. აბაშიანი წერდა: „სპექტაკლის შესახებ „კომუნისტის“ ფურცლებზე“


„გერმანული ფაშისტური ბარბაროსების წინააღმდეგ ძველმოხილი ბრძოლისა და მგზნებარე ღლებში ჩვენი ხალხი მღღვარე სიყვარულით იკონებს და დღებში უკვერის შარავანდედობისას თავის გმირ წინაარბებს, ჩვენი საზოგადოება ტრადიციების შემქმნელებს, ჩვენი სამშობლოს დიდებისა და უაღვრების, მისი ღირსებებისა და თავისუფლების განმამტკიცებელი“.

მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“. ეს იყო 1942 წელი — საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე წელი. სპექტაკლი ვახტანგ ტბალიაშვილმა დადგა და მკაფიოდ გამოკვეთა ჩვენი ხალხის მებრძოლი სული, მისი გმირული შემართება და ზნეობრივი იდეალები. წარმოდგენა სასებით თანადრთული იყო. სპექტაკლს ფართოდ გამოხმება პრესა. „ლიტერატურულმა საქართველომ“ თითქმის მთელი გვერდი უძებნა წარმოდგენას. გაზეთი წერდა, რომ „ხალხის გრძობასა და განწყობილებას ესმარება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მეფე ერეკლე“, რომელიც უკვე გადაიქცა მაყურებელთა ფართო ფენების საყვარელ სპექტაკლად და რომელმაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია“. იმდენად დიდი იყო წარმატება, რომ გაზეთის აზრით, „ქართულ საბჭოთა თეატრს და დრამატურგის ბევრი არ შეუქმნია ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ამგვარი ძალით მიეზიოდს მაყურებელი“.

ისტორიულ თემაზე დაწერილი პიესების შირის გამოირჩეოდა მიხეილ ჯაფარიძის „ქამთაბერის ასული“, რომელიც შალვა დამანიშვიმ დადგა 1944-45 წლების სეზონში. პიესა რეალისტურადაა დაწერილი. მასში არის ფსიქოლოგიურად მართალი სახეები, კონკრეტული ისტორიული გმირები. „ქამთაბერის ასულს“ მოჰყვა ა. სამსონიას „მაგარტინი“ (ვ. ყუშიტაშვილის დადგმით), რომელშიც მოაგარროლს სერგო ზაქარიაძე ასრულებდა. ამ სეზონის ბოლო პრემიერა იყო გიორგი შატერაშვილის „ფიქრის გორა“.

გ. შატერაშვილის პიესაში უკვე გამოჩნდა ომგადახსენილი ჯარისკაცი, მისი ღრმად დრამატული სახე. მწერალი იოლი გზით როდი წავიდა ომგადახსენილი მებრძოლის ჩვენებისას. მან სიმართლით დაგვანახა გმირის სულიერი ცხოვრება, გვიჩვენა მისი დამანიშვილი ტკივილიცა და ამ ტკივილისაგან განმუხტვის გზებიც.

ქართული თეატრის რეპერტუარი დიდ სამამულო ომში კლასიკურ პიესებსაც მოიცავდა. მას არ უღალატენია თავისი დიდი ტრადიციისათვის და სცენაზე გარკვეული აღიერი დათმო კლასიკოსს. მარჯანიშვილის თეატრმა დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ა. ცაგარის „ხანუმა“, მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“, შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ა. ოსტროვისკის „უშოთიკო“. თეატრმა თავის რეპერტუარში აღადგინა „ურთულ აკოსტა“, „მარგარიტა გოტიკი“, „სოლომონ ისაკიან მეგაღანაშვილი“ და სხვა. ამრიგად, რეპერტუარს შეებატა თეატრის ძველი საუკეთესო დადგმებიც.



„ირმის ხევი“. დოლგათ — მ. ნისლაძე.



„ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. ოთარი — ვ. დოლიძე.



„ირმის ხევი“. ამირანი — ა. კუპრაშვილი.

რუსთაველის თეატრში დაიდგა გოლდონის „საპატარძლო აფიშით“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება“, კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედია“ და სხვ. თეატრის რეპერტუარში იყო აგრეთვე „ოტელო“. იდგებოდა სხვა საპექტაკლებიც. მთელი ეს საპექტაკლები პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მაინც მტერზე გამარჯვების ილქას ემსახურებოდა. დაძაბული მღელვარე ცხოვრების რიტმში ბუნებრივად იჭრებოდა საღიოსიანი კომედიები და ჯანსაღ განწყობას უქმნიდა მაყურებელს.

მრავალმხრივი, დაძაბული მუშაობა მარტო თბილისის თეატრებში როდი წარმოებდა. მღელვარე შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდნენ სხვა თეატრებიც. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა რეპერტუარში უშთაერესი ადგილი პატრიოტულ თემას დაუთმო. აქ დიდოფ ანთაძის რეჟისორობით დაიდგა ვ. დარასელი „იკივიძე“, გ. მიდინეის „პარტიზანები“ და „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. პარალელურად გაჩაღდა დიდი საშეუო მუშაობა. მსახიობები მიდიოდნენ ჯარის ნაწილებში, ჰოსპიტლებში და კონცერტებს მართავდნენ. ქუთაისის თეატრიდან ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა მრავალი ახალგაზრდა მსახიობი. დიდოფ ანთაძე იფონებ:

„მე არასოდეს არ დამვიწყებდა ნიჭიერი, ახლანი, ლამაზი ახალგაზრდები: შვარდნაძე, კახაბაძე და მამრიკაშვილი. ისინი ვაკაკურად დაეცნენ ბრძოლის ველზე. არ შეურცხვენიათ ქართველი მსახიობის სახელი“.

მიმე, მაგრამ ვაკაკურ შემოქმედებით ცხოვრებას ვწეოდ და ყველა დიდი და პატარა თეატრი. სამამულო ომის ამსახველი პიესები იდგებოდა ბათუმის, სოხუმის, გორის, ჭიათურის, მახარაძის, ზუგდიდისა და სხვა თეატრების სცენებზე. რეპერტუარში იყო „ირმის ხევი“, „პარტიზანები“, „მოსკოვის ბჭესთან“, „ხევისბერი გორა“, „ფიქ-

რის გორა“, „დღეა და შვილი“, „სამშობლო“ და მრავალი სხვა.

დიდი გამოცდა იყო ომი. მან გვიჩვენა საბჭოთა ხალხის უდიდესი გმირობა, სულელი სიმსწვევე და ვაკაკობა, რომელსაც ჩვენი ხალხი ავლენდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვინ მოთვლის, რამდენი ამაღლევებული სანახაობის მოწყენი გახდნენ საბჭოთა მეომრები ბრძოლის ველზე, რამდენი მებრძოლი სიმღერა, ლექსი ითქვა სანგრებში, ქვეყნებისა და ჰარბაზების ქუჩებში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა:

... 1941 წელს ოდესის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მიმე დღეები იყო. ერთ დღეს უცებ სანგარში გაისმა ნაცნობი მელოდია. სიტყვები ახალი იყო, იგი შეეკმნა არტისტული ბრიგადის ხელმძღვანელს. უფროს პოლიტელს ირაკლი ხატელიშვილს. ისინი გამოდიოდნენ გემებზე, სანგრებში, ჰოსპიტლებში. აღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს. ახალისებდნენ მებრძოლებს. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა ირაკლი ხატელიშვილი. ჯარისკაცთა ნაწილებში სზირად იმართებოდა არა მარტო კონცერტები, არამედ წარმოდგენებიც წითელარმიელთა ძალებით. ასე მაგალითად: 1942 წლის 6 და 7 ნოემბერს სტალინგრადის სახმრეთით, ყალმუხეთის ველებზე, დერბანდ ხუღუკანში, ერთ-ერთ პოლკში ჯარისკაცებმა წარმოადგინეს აკაი გეწაძის პიესა „გერმანელი ჯარისკაცის ბედი“. პიესაში მონაწილეობდნენ ქართველი ჯარისკაცები ა. გეწაძე, კობახიძე, გოგიბერიშვილი და სხვები.

ისტორიამ სხვა მრავალი ფაქტიც შემოგვინახა იმაზე, თუ რა დიდ როლს ასრულებდა თეატრი ომის წლებში.

ქართული თეატრი ჯარისკაცებით იბრძოდა სამამულო ომის წლებში, მან ჯარისკაცებით პატიოსნად მოიხდა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

მხატვრები — მებრძოლებს

თამარ თავაძე

საბჭოთა ხალხისა და შეიარაღებული ძალების, ფაშისტურ გერმანიასზე გამარჯვების ოცდახუთ წელთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ საქართველოს მხატვრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იცავდნენ.

საქართველოს მხატვართა კავშირში გაერთიანებულია დიდი სამამულო ომის მონაწილე 75 მხატვარი. მათ შორის სამი ქალია.

პარტიის მოწოდებით დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მრავალმა მხატვარმა გადაიკვა ჯარისკაცის ფარაჯა და იარაღით ხელში წიწი ადუღდა მტერს. ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ბევრმა სამშობლოს თავისუფლებას შესწირა თავი, ესენია: კ. თენიშვილი, ვ. ხოფერია, რ. თავაძე, კ. ბერეჟიანი, ა. კუკულაძე, ვ. ჯაფარიძე და მრავალი სხვა. ხოლო ვინც დაბრუნდა, განსაზღვრული ენერჯით შეუდგა შემოქმედებით მოღვაწეობას და მხატვართა კავშირის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობს.

დიდი სამამულო ომის მონაწილენი, პოლოცნიკი ფ. სერგიენკო და თადარიგის კაპიტანი მ. მახლიაშვილი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრები არიან.

საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნოს 1958 წლის დადგენილებით ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის მხატვართა კავშირების გამგეობებთან შექმნილია სამხედრო კომისიები.

საქართველოს მხატვართა კავშირის სამხედრო კომისია საბჭოთა კავშირის სამხატვრო კავშირის გამგეობის სამდივნომ საუკეთესო მუშაობისათვის ვიმპლით დააჯილდოვა.

საქართველოს სამხატვრო კავშირის ხელმძღვანელობა, სამხედრო კომისია და მრავალი მხატვარი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე კულტურული შეფთობისათვის დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და სასაზღვრო ჯარების პოლიტსამმართველობის საპატიო სიგელებითა და ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით.

შემდგომ წლებში სამხედრო კომისიამ კიდევ უფრო გააფართოვა კულტურულ-სამეფო მოღვაწეობა. დაამყარა საქმიანი, შემოქმედებითი კონტაქტი ჩვენი ქვეყნის დამცველებთან, მოაწყო გამოფენები, ლექცია-მონსტრაციები, შეხვედრები, ექსკურსიები, მომავალ გამოფენებისათვის მასალების შესაკრებად მხატვრები მია-

საქართველოს მხატვართა კავშირის მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი აქვს თბილისის ოფიცერთა სახლთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების სამმართველოსთან.

საქართველოს სამხატვრო კავშირი ყოველ წელს „გამარჯვების დღისთვის“ აწყოებს სამამულო ომის მონაწილე მხატვართა ნამუშევრების გამოფენას საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში, საბჭოთა არმიის თბილისის ოფიცერთა სახლსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების კლუბში. მაგალითად, 1965 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში მოეწყო დიდი საიუბილეო გამოფენა საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების მიერ ფაშისტური გერმანიის განადგურების 20 წლისთავთან დაკავშირებით. ხოლო 1966 წელს თბილისის ოფიცერთა სახლში გაიხსნა სამამულო ომში მონაწილე მხატვართა გამოფენა. 1967 წელს მოეწოდა რესპუბლიკური გამოფენა „მშვიდობის სადარაჯოზე“ მხატვართა დიდი საჩუქარი იყო საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის.

1968 წელს თბილისის ოფიცერთა სახლის საგამოფენო დარბაზში ექსპონირებული იყო მოსკოვის საკავშირო გამოფენიდან გამოზღვანილი ექსპონატები სახელწოდებით „მშვიდობის სადარაჯოზე“, ხოლო იმავე წლის 28 მაისს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო ჯარების 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ოფიცერთა სახლში გაიხსნა სამამულო ომში მონაწილე ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა.

თბილისის ოფიცერთა სახლში 1969 წელსაც მოეწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ექსპონატები საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეის ფონდიდან.

დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვრებმა: ა. თავაძემ, ვ. კობრიკაძემ, ფ. სერგიენკომ, მ. მახლიაშვილმა, მხატვარმა ქალბებმა რ. ბოჭორი-



შვილმა, ე. თულაშვილმა, ნ. ჩარნეცკაიამ გამოფინეს თავიანთი ნამუშევრები ოფიცერთა სახლში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების პოლიტსამმართველოსა და მხატვართა კავშირის კლუბებში, სე-ვასტაპოლში, ახალციხეში, ბაქოში...

უკანასაშენო ხანს მხატვრები ახალ სამხედრო-პატროტულ თემებზე მუშაობენ. მათ შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობები ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, მხატვრები: ფ. სერგიენკო, გ. კოტრიკაძე, ნ. კანდელაკი, გ. კეშელავა, ლ. შაბარშინა, რ. ბოჭორიშვილი, ნ. ჩარნეცკაია და მრავალი სხვა მიაღწიეს სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში, ჩვენი ქვეყნის სასაზღვრო ჯარებსა და ფლოტში.

საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის სამხედრო კომისიის მიერ სამი ქართველი მხატვარი ნ. კანდელაკი, გ. კეშელავა და გ. კოტრიკაძე შემოქმედებითი მივიღინებით გაიგზავნენ თავიანთი უფლებების კუნძულ კუბაზე.

მხატვრებმა მრავალი ნაწარმოები მიუძღვნეს სამხედრო ნაწილებს. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ერთ-ერთ ქალაქს გაუგზავნა მოქანდაკე გრაფაშვილის მიერ მარ-მარიოში შესრულებული 3. ი. ლუნიჩის ორმეტრიანი ქანდაკება. მხატვრებს ვ. ადვამეძე, მარგარიტა და შოთა მეტრეველებმა, გ. კოტრიკაძემ და ნ. ჩარნეცკაიამ თავიანთი ნაწარმოებები უძღვნეს მოგაგვირე სოციალისტური რესპუბლიკების, აგრეთვე უნგრეთისა და რუმინეთის შეიარაღებულ ძალებს.

მოქანდაკე რ. ამირთვი საქართველოში მოძრავ გამოფინასთან ერთად მოგზაურობის დროს აცნობდა ჯარისკაცებს რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მიღწევებს.

მხატვარმა ფ. სერგიენკომ თბილისში სამხედრო მისამასხურებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის შექმნა სახვითი ხელოვნების სტუდია. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმს დიდი დახმარებას უწევინ მხატვრები ფ. სერგიენკო, ა. ვეფხვაძე, გ. იუსტინცკაია.

„მხატვრის კვირეულის“ დღეებში

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო მხატვრები ნ. კანდელაკი, კ. სანაძე და სხვები თავიანთი სახელოსნოებში იწვევენ ჯარისკაცებს.

რესპუბლიკის დამასხურებულმა მხატვრებმა მარგარიტა და შოთა მეტრეველებმა, ვ. ადვამეძე, მხატვართა შ. შ. მამისაშვილმა ჯარისკაცებისათვის მოაწვეეს თავიანთი პერსონალური გამოფენები.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვე-ვის შემდეგ განვილი 25 წელი სამამულო ომში მონაწილე მხატვრებსაივის მეტად ნაყოფიერი ამოცანა, რასაც ამტკიცებს ყველა გამოფენა, რომელიც მიუძღვნა „გამარჯვების დღეს“, პარტიის X XIII ყრილობას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, აგრეთვე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების გამოფენები და სხვ.

1969 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა არმიის თბილისის ოფიცერთა სახლში კვლავ გაიხსნა დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვართა გამოფენა, რომელთა შორის აღსანიშნავია სამამულო ომის მონაწილე მხატვართა ნამუშევრები: გ. ურუმულაშვილის „ი. ი. ლუნიჩის პორტრეტი“, ტ. ბარდაძის — „ლუნიჩი და კიკვიძე“, ს. კირაკოშოვის — „აგრორას“ ზალაპი“, „დაბრუნება“. ფერწერის მაღალი კულტურით, ლაკონურობითა და გამომსახველობითი ხერხებით გა-მორჩევა ა. ქუდენტის „ი. ი. ლუნიჩის პორტრეტი“, „ფასანაური“, „მცხეთა“, „ყაზბეგი“, „სოფელი სიონი“ და სხვ.

ყურადღება მიიქცის აგრეთვე მხატვარ რ. დავლიანიძის ფრონტულ-ეტიკანაბატებმა. საინტერესო იყო კ. კოტრიკაძის „სევასტოპოლური ანანახტები“, „მორიგე ხომალდზე“, „მეხატე“, „განგაში“ და სხვ.

როგორც ყოველთვის, მ. გვაჯასა ნაწარმოებები „ჩვენი ქვეყნის დამცველები“ და სხვები გაბოჩინდნენ საინტერესო ფერწერული გადაწყვეტი-თი.

შეუძლებელია არ მოვიფიქროთ რეს-

პუბლიკის სახალხო მხატვრის მხატვრული მემკვიდრეობის ბერტ სტურუს მიერ მაღალი პროფესიული კულტურით, მსუბუქ ფერებში დაწერილი ნაწარმოებები: „გამარჯვების დღესასწაული“, „საპირველმასის დღესასწაულის შემდეგ“.

საბჭოთა არმიის მებრძოლთა მიერ განვილი მძიმე დღეებზე მოვითხრობენ რესპუბლიკის დამასხურებულ მხატვრების ვ. ზარბიძის „შავი ლევისპირელები“, ვ. ადვამეძის „პარტიზანებთან“, „დილა საზღვარზე“. საინტერესოა პ. ბლიოტიჩის „გ. ი. ლუნიჩის პორტრეტი“, „გმირებთან შეხვედრა“, ჩ. კუკულაძის „შობილიურ მხარესთან“, ა. მკურნალის „ბოროდინის ველი“.

ძირითადად კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვრების ნამუშევრები, მათგანია, პ. ბიშინსკის „ამხანაგი მარალინიკი პირდაპირ ხაზთან“, ა. კობალიანის „ი. ი. ლუნიჩის პორტრეტი“, „ფერმა“, ნ. მიანსაროვის „მარშზე“, ს. ნიაურის „საქართველს პიუზაზე“, ნ. მეტინიძის „დაბრუნება“, პ. მანავაძის „პარტიზანი ქალი“, ფ. სერგიენკის „დაბრუნება“, ნ. ჩარნეცკაიას „მესაზღვრეთა პორტრეტები“, „საზღვარზე“ და სხვ.

ომის თემას მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები უფროსი და საშუალო თაობის მხატვრებმაც. ესენია რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ი. ვეფხვაძის „მესაზღვრეები“, „ფაშის-ნი“, რესპუბლიკის დამასხურებულ მხატვრის ა. გოგოლაშვილის „სამ-შობლოს დამცველთა საფლავებთან“, ქ. მემძირაშვილის „აგრორას“ მოწოდება“, მ. ხვიციას „მესაზღვრეები შეცდომებზე“, ახობაძის „ომის ტრაგედია“ და სხვ.

სკულპტურული ნამუშევრებიდან წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის დამასხურებულ მხატვრის რ. შერო-ნიას „საბჭოთა კავშირის გმირის მ. ქანთარიას პორტრეტი“, კ. ბაკუ-რის „ქართელი მფრინავი ქალის რ. ჟორდანიას პორტრეტი“, დ. აბე-საძის „აკაკისის დაცვა“ და სხვ.

საქართველოს, სომხეთისა და აზერ-

რბიჯანის რესპუბლიკათაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შ. ზატუაშვილის „მარუხის უღელტეხილის გმირი ვ. რუხაძე“, „მარუხის უღელტეხილისათვის ბრძოლის მონაწილის კაპიტან ვართიანიანის პორტრეტი“, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრების მ. ყიფიანიანის „გოგონას პორტრეტი“, ბ. კორჩახიას „ვ. მიაკოფევის პორტრეტი“, მ. თალკვაძის „გორის პორტრეტი“ და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეის ფონდებში ინახება საქართველოს სახალხო მხატვრის ვ. თოფურიძის ნაწარმოები „რაიხსტაგის აღება“, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ვ. ონიანის „მშვიდობა“, „კავკასიის დაცვა“, აქვია მოქანდაკე ს. სიხარულიძის მიერ შექმნილი „გენერალ ი. ბებიაშვილის პორტრეტი“ და სხვ.

დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვარმა რ. ბოჭორიშვილმა თავისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით არა ერთხელ მიიღო მონაწილეობა ოფიცერთა სახლში, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების პოლიტსამმართველოსა და ბაქოს 26 კომისიის სახელობის თბილისის უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში გამართულ პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებში. გან-

საკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ლინოგრაფიურების ციკლი თემაზე: „ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობაში“, „პირველი დაბატონება ძმის სიკვდილის შემდეგ“, „დავა მემამულეებთან“ და სხვ.

რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ა. კანდლაკი გამოფენებზე წარმოდგენილი იყო პოლიტიკური სატირის სერიით „ბლოკი მოქმედებაში“, „ორი გზა განიარაღებისაკენ“ და სხვ., რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

დიდი სამამულო ომის მონაწილე ვ. თულაშვილი ყველა თავის ნამუშევარს უძღვნის ომის მონაწილეებს. მისი ნაწარმოებები შესრულებულია სხვადასხვა მასალით. ძლიერ შთაბეჭდილებას ატანს მაღალი პროფესიული ოსტატობით შესრულებული მისი ავტოლითოგრაფიები „ფიცია“, „მეწეხიტიე ქალი“, „მეგობრები“ და სხვ.

მხატვარმა მ. ვარდიავილმა ოსტატურად შესრულებული მონოტიპია და ლინოგრაფიურა „საბჭოთა მეტროლის ხსოვნის აღსანიშნავად“ და „ჯარისკაცის დაბრუნება“ ომის მონაწილეებს მიუძღვნა.

აღსანიშნავია დ. მაღრაძის ნამუშევრები „გერმანიაზე გამარჯვება“ და „მშვიდობა“.

ძალზე ლირიკულად და ბუნების

დიდი სიყვარულით არის დაწერილი მხატვარ ს. ნიაურის პეიზაჟები „კურორტი ცემი“, „თღვავის კუთხე“ და სხვ.

საინტერესოა მხატვარ ა. წიტიშვილის ავტოლითოგრაფია „ვ. ი. ლენინისა“ და „პოლოვნი გ. წიტიშვილის“ პორტრეტები.

ამჟამად მხატვართა კავშირის მრავალი წევრი ემზადება საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საიუბილეო გამოფენაზე თავიანთ ნამუშევრებს წარმოადგენენ არა მარტო დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვრები, არამედ უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა და მისი სამხედრო კომისია კიდევ უფრო ფართოდ მოიხსიან ჩვენი საშრობოს დამცველთა შორის კულტურულ-სამეფო მუშაობას, ესმარებიან მათ შემოქმედებით ურდამი. სულ უფრო მეტი რაოდენობით აწყობენ გამოფენებს, ლექციებს, მოხსენებებს, შეხვედრებს.

სელოვნების მუშაკთა და ჩვენი დიდი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის შემოქმედებითი თანამეგობრობა სულ უფრო მტკიცდება.

გ. კოტიკაძე.

რეილის წინ.



ვლადიმერ
ილიას ძე
ლენინის
დაბადების
100 წლისთავისადმი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საიუბილეო
გამოფენიდან



ნ. იანჭოშვილი.

სიმღერა ლენინზე.



დ. ბახუტაშვილი.
ძეფის ძალაუფლება.



ლ. გოცირიძე.
ძალაუფლება საბჭოებს.



თ. გიგაური.
კოლმეტიზაცია.



კულტურული

ფრონტის

მებრძოლები

პაეუ ხლებინი

დიდი მებრძობა აკავშირებს ხელოვნების მუშაკებს ჩვენს სამშობლოს დამცველებთან, საბჭოთა არმიის მებრძოლებთან. მათ მეგობრობას საფუძველი ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩაეყარა, გარკვეული დროის მანძილზე სერიოზული გამოცდა გაიარა და დიდი სამამულო ომის მიმდევარაში გამოიწივით.

ჩვენს სამშობლოზე ფაშისტური გერმანიის ხევაგული თავდასხმის პირველივე დღიდან მწერლები, ხელოვნების ოსტატები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები მთელ თავიანთ ენერჯიას, ცოდნას არ ზოგავდნენ, რათა დახმარებოდნენ საბჭოთა მებრძოლებს, სულიერი, მორალური დონის ამაღლებაში.

პირადი შემადგენლობების წინაშე მეცნიერების, მწერლებისა და ნახაზების გამოსვლა საბჭოთა მებრძოლებს სტიმულს აძლევდა, სულიერად ამაღლებდა, ოპტიმიზმს მატებდა და განაწყობდა მათ ფაშისტურ დამპყრობლების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის.

1942-1943 წლებში ფრონტის ნაწილებსა და მოქმედ არმიას აქტიური საშფოო მუშაობა იყო გაშლილი. კვალი-ფიციური ლექტორები, მეცნიერების ცნობილი მოღვაწეები, მწერლები თავიანთ გამოსვლებში განუმარტავდნენ მებრძოლებს ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას, ფრონტისა და ზურგის ერთიან ბრძოლას ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, გამოდიოდნენ ლექციებით. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა საბჭოთა პატრიოტიზმს, ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკასა და მის პრინციპებს, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას, ამ საკითხებზე ლექციებით

გამოდიოდნენ აკადემიკოსები — ბ. გრეკოვი, ა. ჯანაშია; პროფესორები — კ. დონდუა, ა. რობაქიძე, დოცენტები — ა. კიკვიძე, კ. გრიგოლაი; მწერლები, კრიტიკოსები — ბ. ჟღენტი, რ. ქორქია, შ. დადიანი და სხვ. ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის შესახებ ლექციებსა და მოხსენებებს ერთვოდა ეროვნული მხატვრული კოლექტივების გამოვლენები და კინოფილმები. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებებითა და ლექციებით გამოდიოდნენ საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორები — კ. სულეიშვილი, ზ. ზაფრევი, ნ. ფრიშენბერგი.

მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საღამო-შესხვედრებისა და მიტინგების მოწყობაში. 1943 წელს, წითელი არმიის 25 წლის თავთან დაკავშირებით, თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, მოეწყო მიტინგი. რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, თბილისის ქარხნების სტახანოველები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა კავშირის გმირი მ. გახოკიძე. მიტინგი გადაიქცა გერმანული დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართული ხალხისა და არმიის ერთიან ძლიერ დემონსტრაციად.

1943 წლის 13 აპრილს წითელი არმიის სახლში მოეწყო თბილისის გარნიზონის ოფიცერთა შემადგენლობისა და ინტელიგენციის საერთო მიტინგი. მისი თემა იყო სახელმწიფო კომიტეტის სავანებო ცნობა გერმანულ ფაშისტურ დამპყრობთა მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებში მტრის ავსაკური მოქმედება. მიტინგზე გამოვიდნენ: სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, კინორეჟისორი მ. ჭიაურელი და მწერალი შ. დადიანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. ხორავა, პოდპოლკოვნიკი ნ. ვოლკოვი და მათორა ა. იონესკო.

სამამულო ომის უშუალო მონაწილეების — ვოლკოვისა და იონესკოს ნაამბობმა განსაკუთრებით ააღლვა დამსწრეები. მიტინგის მსვლელობის დროს უჩვენეს კინოფილმის „შური იძიე“ ცალკეული დოკუმენტური კადრები.

სახელმწიფო პრემიების მინიჭებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ შესხვედრაზე, რომელიც მოაწყო წითელი არმიის სახლში, სიტყვით გამოვიდნენ ლაურეატი აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კ. ანჯაფარიძე, მოქანდაკე კ. მერაბიშვილი და ინჟინერ-ნოვატორი რ. ავლაძე, რომლებმაც ილაპარაკეს იმ დახმარებაზე, რაც მათ თავიანთი საქმიანობით გაუწიეს წითელ არმიას ომის დღეებში.

„უხვლება მაქვს ვილაპარაკო სახელმწიფო პრემიების ლაურეატების, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ყველა მეცნიერ მუშაკის სახელით, — თქვა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, — გარწმუნებთ, რომ ჩვენ შემდგომ ყოველ დონეს ვიხმართ, რათა დავეხმაროთ სახელოვან წითელ არმიას მტრზე საბოლოო გამარჯვების მიღწევაში“.

სალამო-შეხვედრებისა და მიტინგების გამართვას მნიშვნელოვანდ უწყობდა ხელს სპეციალურად მომზადებული ფოტო და ლიტერატურული მასალების გამოყენებით, საგანგებოდ შერჩეული საბრძოლო ლოზუნგებით, თემატური კონცერტებისა და კინოფილმების ჩვენება.

1943 წელს მარტო წითელი არმიის ამიერკავკასიის ფრონტის სახლმა მოაწყო და ჩაატარა 2.375-ზე მეტი მოხსენება, ლექცია და სალამო-შეხვედრები, მათ შორის 965 — ფრონტის ნაწილებში.

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტების, შავი ზღვის ფლოტისა და ირანში მყოფი საბჭოთა ჯარების კულტურული მომსახურებისათვის 1943 წელს შეიქმნა 30-ზე მეტი საკონცერტო ბრიგადა. გარდა ამისა, ფრონტზე გაიკვირნა ისეთი მხატვრული კოლექტივები, როგორცაა უკრაინის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სომხეთის სახელმწიფო ჯაზი, კასპიის ფლოტილის ჯაზი და სხვ.

საკონცერტო ბრიგადებისა და მხატვრული კოლექტივების მსახიობთა ხელოვნება აღაფრთოვანებდა მებრძოლებს. უღვიძებდა მათ ჰუმანურ გრძობებს, რაზმავდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად, აუწყებდა გამარჯვებას. უსმენდნენ და უყურებდნენ მებრძოლებს მათ და მივლი უღლითა და გულით გრძობდნენ მშობლიური ხალხის უდიდეს მხარდაჭერასა და სიყვარულს. ეს გრძობა აერთიანებდა და ძალას მატებდა მათ ბრძოლებში ქერჩის ნახევარკუნძულზე, მოზდოკთან თუ კავკასიის მთავარი ქედის მისადგომებთან.

ამიერკავკასიის საბრძოლო ნაწილების კულტურული მომსახურებისათვის პირველი საკონცერტო ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: მ. ყვარლაშვილი, ე. გოსტინია, მსახიობები: გ. სალარაძე, ჯ. ჯაფარიძე, ე. ფეოდორიანი, ვ. გორდისი, ტ. პაპიტაშვილი, ვ. მაუერი, ა. მაუერი, ე. ოჯარენკო, თბილისიდან 1941 წლის 9 ივლისს გაემგზავრა.

ყოველი კონცერტის წინ პროფესორი ათაბეგოვი, რომელიც ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა, კითხულობდა ლექციას. იგი მოუთხრობდა მებრძოლებს საერთაშორისო მომგარაგრობის შესახებ და მიმოიხილავდა სამამულო ომის ფრონტებზე შექმნილ ვითარებას.

მიუხედავად რთული საველე პირობებისა, ბრიგადამ ორი თვის მანძილზე მოახერხა თითქმის ყველა მთავარი გარნიზონის წინაშე გამოსვლა და ღირსეულად შესარულა მის წინაშე მდგარი მოცანები. თბილისში იგი 1941 წლის 28 აგვისტოს დაბრუნდა.

რესპუბლიკის გაზეთების ფურცლებზე ხშირად მხვდებოდა მოკლე, ლაკონურ სათაურს „მსახიობები ფრონტზე“. ერთ ასეთი განცხადება იყო 1942 წლის თებერვალში: „თბილისში დაბრუნდა მსახიობთა ბრიგადა, რომელიც იმყოფებოდა ფრონტზე. ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები. შელგინა, მსახიობები ე. ლომიძე, ნ. გოლივიჩი, ნ. პეტროვი, ტ. ბახტაძე, მ. ვოლოვიჩი, ვ. ლაშჩენკო, ა. მაუერი, ვ. მაუერი, ლ. ლავროვა, ი. ტიხონოვა, მ. მიქელაძე.

შ. ჩირაძე, ბ. მანდრუსი, ტ. ბახი, ე. ასიელი, ნ. ლაშჩენკო, ლ. სტილიანოვა, გ. გაბაშვილი, გ. მარგევი, ნ. რუტტი. ორი თებერვლიდან 14 მარტამდე მსახიობებმა 57 კონცერტი ჩაატარეს. მათ შორის — 23 მოწინავე ხაზზე ქერჩიში მოეწყო ორი კონცერტი: ერთი — სამშობლოს დაცვის ფონდისთვის და მეორე — ქერჩის პარტიზანებისთვის მთავრობის ჯილდოების გადაცემისადაში მიძღვნილ საზეიმო საღამოზე.

სპეციალური კონცერტი გამართეს მსახიობებმა მეზღვაურთათვის, რომლებმაც ქერჩის განთავისუფლებაში მიიღეს მონაწილეობა.

ყირიის ფრონტის პოლიტსამმართველმ ყველა მსახიობს ფრონტის ნაწილებში სამაკალითო მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა.

უახლოეს დღეებში თბილისიდან მოქმედ არმიამ გაემგზავრება მსახიობთა ახალი ჯგუფი“.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ საქართველოს სახელმწიფო ფელაშონის მსახიობმა ტ. ბახტაძემ, რომელიც მაშინ ქერჩიში გამართულ კონცერტებზე მონაწილეობდა, მიაშრო: „ქერჩის დამცველთათვის ყოველთვის სასურველი სტუმრები ვიყავით. მებრძოლები ცდილობდნენ ჩვენთვის ყველგან საუკეთესო პირობები შეეყმნათ და ჩვენც ძალღონას არ ვზოგავდით, რათა კონცერტები კარგად ჩაგვეტარებინა.

მოწინავე ხაზზე, მძიმე პირობებში, ხშირად შეუძლებელი იყო საკონცერტო კოსტიუმებში გამოსვლა. მასოსეს შემთხვევა, როცა მებრძოლებმა გვთხოვეს ჩაგვეცვა საკონცერტო კაბები და ისე გამოგუსულიყავით. ვგრძნობდა, რომ ეს მათ ახსენებდათ თავიანთ ოჯახებს — დედას, ცოლს, დას, საცოლეს, რომლებიც ზურგში დატოვეს. ჩვენ განვიფიქრებდით მათი თხოვნა და შემდეგ ყოველთვის თავი აგვეკრინა კოსტიუმები, სადაც კი საშუალება მოგვეცემოდა, ცდილობდით ნამდვილი საკონცერტო ატმოსფერო შეგვექმნა.

ხშირად მოდიოდა შეკვეთები სამხედრო ნაწილებიდან, შავი ზღვის ფლოტის ხომალდებიდან. ისინი გვთხოვდნენ კონცერტების გამართვას, ან ამა თუ იმ რადიოგადაცემის გახეობებას.

ზოგიერთი წვერილში გვეყრდა: „ფრონტზე სიმღერის გარეშე შეუძლებელია, ახლა ჩვენ არ გვაქვს საშუალება მოვისმინოთ რადიოგადაცემები და ამისათვის გთხოვთ გამოგვიგზავნოთ რამდენიმე სიმღერის ტექსტი. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენს მიერ გამოგზავნილი სიმღერები ჩაგვიგზავნავს ახალ გრძობებს და ენთუზიაზმს, რათა საბოლოოდ გაგანადგუროთ ვერაგი მტერი“.

კულტურული ფრონტის მუშაკები პასუხობდნენ მებრძოლთა მოთხოვნებს. მათ პროგრამებში დიდი ადგილი ეკავა სატირას, პაროდისა და ზუმრობას.

ფრონტის ნაწილებს კულტურულ-მხატვრულ მომსახურებას უწყვედნი წითელი არმიის ამიერკავკასიის ფრონტის მხატვრული კოლექტივები: წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სიმღერისა და ცეკვის ქალთა თვითმოქმედი ანსამბლი, სიმფონიური ორკესტრი, მუსიკალური კომედიის თეატრი. გარდა ამისა, განაღებული იყო დი-

დი კულტურულ-საშეფო მუშაობა. მარტო 1943 წელს თბილისის გარნიზონის ნაწილებში ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით ჩატარდა 996 კონცერტი და სპექტაკლი. წითელი არმიის ამირკავკასიის ფრონტის გარნიზონებში — 944, მოქმედ არმიასი კი — 812 კონცერტი.

კულტურულ-საშეფო ღონისძიების გატარებაში განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიებისა და თბილისის სახელმწიფო ცირკის კოლექტივებმა.

1941-1942 წლებში მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნემიროვიჩი-დანიენკო, თბილისში იმყოფებოდა. თეატრის წამყვანი მსახიობები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: ვ. კაჩალოვი, თ. კნიპერ-ჩეხოვა, მ. თარხანოვი, ფ. შეჟენკო და სხვები ხშირად მონაწილეობდნენ საშეფო კონცერტებზე თბილისის გარნიზონის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ყვარელაშვილი იგონებს: კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, ჩატარდა სამხედრო ჰოსპიტლის ერთ-ერთ პალატაში.

დაჭრილ მებრძოლთა თხოვნით ერთი და იგივე ნაწარმოებს რამდენჯერმე ვიმეორებდით, ვუმატებდით პროგრამით გაუთვალისწინებელ ახალ ნომრებს. ჩვენს კონცერტს თითქოს არ ჰქონდა დასასრული. აღფრთოვანებას არ ჰქონდა საზღვარი, მებრძოლები არ გვიშვებდნენ სახელდასებულად გამართული იმპროვიზირებული სცენიდან. ისმობდა შეძახილები: „მადლობელი ვართ თქვენი დიდი ხელოვნების“.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ექიმი და გვითხრა, ერთ-ერთ პალატაში წვეს მიიმედ დაჭრილი რუსი მებრძოლი, რომელიც ვერ დაეცრო თქვენს კონცერტს. იგი გთხოვთ, ინახულოთ და, თუ ძნელი არ იქნება, წაიკით-

ხოთ ან შეასრულოთ რაიმე სიმღერა. „ვიცე არ უხდებოდა თანახმა ვართ“ — უპასუხა კაჩალოვმა. შემდეგ მომართა:

- შესძლებთ ინსტრუმენტის გარეშე სიმღერას?
- რა თქმა უნდა, — უპასუხე.
- მაშ, წაიკით!

— ყველანი წამოვალთ—წამოიხაზა მ. თარხანოვმა. შევედით პალატაში, სადაც ორი საწოლი იდგა. ერთი თავისუფალი იყო, მეორეზე იწვა ჯარისკაცი (სამწუხაროდ, თვარი არ მასხოსვ), რომელსაც ორივე ფეხი, მარჯვენა ხელი მთლიანად და მარცხენა იდაყვამდე მოკვეთილი ჰქონდა. ჩვენი შესვლისას ჯარისკაცმა ოდნავ წამოსწია თავი და დაჭრილი ხელით დაიფარა თვალები.

კაჩალოვი ჩამოვდა 23-24 წლის ცისფერთვალემა ჯარისკაცის საწოლზე და ცდილობდა მობილური სითბოთი დალაპარაკებოდა. დაჭრილი დუმდა.

— აი, ჩვენ მოვედით, რა გსურთ მოისმინოთ... დამშვიდდით, გთხოვთ, თქვენს გვერდით არის მიხილლ მიხილის ძე თარხანოვი, ოლგა ლეონარდეს ასული კნიპერ-ჩეხოვა, მე — ვასილ ივანეს ძე კაჩალოვი და ეს (კაჩალოვმა ჩემზე მოუთითა) — თბილისის ოპერის არტისტი მიხილლ ყვარ, ყვარ...

— ყვარელაშვილი, — მე თვით დავამთავრე საკუთარი გვარი.

— დაიხ, ყვარელაშვილი, — განაგრძო კაჩალოვმა და აქვე დაუმატა, — მე თქვენ წავიკითხავთ მაქსიმ გორკის „სიმღერას ქარიშხალაზე“, თანახმა ხართ?—მან ჩამოუშვა ხელი და გამყოფილების გამოხატველი ღიმილით შეხედა ჯარისკაცს. — მაშ, წაიკითხოთ გორკი? — კვლავ შევეითხა კაჩალოვი.

პასუხის ნაცვლად მებრძოლის თვალები აკაფდნენ, მან გაიღიმა. ვ. კაჩალოვი ადგა, უკან დაიხია რამდენიმე ნაბიჯით და დაიწყო.

ჩვენ ვაკვირდებოდით, როგორი ყურადღებით უსმენდა მიიმედ დაჭრილი ჯარისკაცი დიდი ოსტატის ხავერდოვან



ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი. 1942 წელი. საქართველოს ხელოვნების ოსტატთა ბრავდა პ. ამირანაშვილის, დ. ნველიძის, თ. დოლიძის, პ. კობახიძის და სხვათა შემადგენლობით.

საქართველოს ხელოვანთა საიანცერტო
ბრიგადა ჯარის ნაწილებთან 1942 წელს.



ხმას, ვაკვირდებოდით მისი სახის გამომეტყველებას. იმ წუთში იგი არ იყო უბრალო მსმენელი. მისი გონება ბურუსით მოცულ შორეთში იკარგებოდა და კვლავ ბრუნდებოდა. მისი სახე ხან იბადრებოდა, ხან კი იჭმუხნებოდა.

როდესაც კაჩალოვმა კითხვა დაამთავრა, მოხიბლული ჯარისკაცი კარგა ხანს უხმოდ იწვა, მერე წამოსწია თავი ბალიშიდან და წამოიძახა: გმადლობთ, გულითადად გმადლობთ, სამწუსაროდ, არ შემიძლია ჩემი აღტაცება ტაშით გამოვხატო.

ო. კნიაზ-ჩხეივამ შემიშრალა ცრემლები და მ. თარხანოვთან ერთად მიუახლოვდა ჯარისკაცს. მიხეილ მიხეილის ძემ ალერსიანად გადაუსვა შუბლზე ხელი და უთხრა: გულს ნუ გაიტეხ, მეგობარო, შენ გმირულად იცავდი სამშობლოს. შემდეგ ფელეტონი წაუკითხა. ჯარისკაცს გაუღი-

მა და კვლავ გულითადი მადლობა გადაუხადა სცენის ოსტატებს.

ჩემი ჯერიც დადგა. მე ვიმედურე მალხაზის არია, უკრაინული, რუსული და ქართული სიმღერები. პალატას ფეხზე მოსიარულე დაჭრილი ჯარისკაცები შემოხვეოდნენ, ყველანი ერთად ემღეროდით. ქერათმიან ჭაბუკს დაეიწყებოდა ტკივილები და ღიმორეული სხევებთან ერთად გაიძახოდა: გმადლობთ...

სამუდამოდ აღიბეჭდა მესხიერებაში ჯარისკაცის ცრემლები, შემდეგ ღიმილი, სიცილი, ცხოვრების სიყვარული.

მებრძოლთა დიდ ინტერესს იწვევდა თემატური საღამო-კონცერტები, მხატვრული კითხვის, ქორეოგრაფიული ხელოვნების, კამერული მუსიკისა და შემოქმედებითი ანგარიშსწორების საღამოები.



ყირიმის ფრონტი. 1942 წლის თებერვალი. საქართველოს მსახიობთა ბრიგადა ტ. ბახტაძის, ნ. შელგოვას, შ. ჩირაძის, ს. ნონიაშვილის, გ. გავაშელის, ე. ლომიძისა და ავალიანის შემადგენლობით.



ამ საღამოებზე გამოდიოდნენ უკრაინის სსრ სახალხო არტისტი კობარენკო-დამანსკი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. გვარამაძე, რესპუბლიკის დამახაურებელი არტისტები ვ. დაიდიოვა და ლტიკინენკო.

წითელი არმიის სახლის სიმფონიური და ამიერკავკასიის შტაბის სასულიერო ორკესტრების კონცერტებში მონაწილეობას ლეულობდნენ ზ. ფაღალავილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ვ. სხაძე, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, რესპუბლიკის დამახაურებელი არტისტები: დ. მჭედლიძე, ნ. ბელაქნელი, მ. ყვარინაშვილი, ზ. შარატა-დოლიძე, ბ. კრავიცივილი, ა. ჩაკალიძე და სხ.

საინტერესო კონცერტები იმართებოდა ესტრადის ოქტატების: კლავდია შულცენკოს, იზაბელა იურევას, ლისიციანის, გაბრიელიანისა და ლენინგრადის საესტრადო თეატრის მსახიობების, კერძოდ, არკადი რაიკინის მონაწილეობით.

კულტურულ-სამეფო საქმიანობაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, ასევე დრამატულ თეატრებსაც: როგორცაა შავი ზღვის რეგიონის არმაზის, ხარკოვის, უკრაინის, თბილისის რუსთაველისა და გრიბოედოვის, მოზარდ მაყურებელთა და სხვა თეატრების.

„1944 წლის 26 ნოემბერს მოვისმინეთ რუსული ხალხური სიმღერების კონცერტი თქვენი მონაწილეობით. ჩვენ, საბჭოთა ბალტიისპირეთის განმათავისუფლებელი მებრძოლები მადლობას გითვლით სიმღერების ასეთი დიდებული შესრულებისათვის, ყველას სურს კვლავ მოისმინოს თქვენი სიმღერები. ფრონტელთა დაგაფებით — ვასილი პლატოვი, საველ ფოსტა 06427“. — აი, ერთი იმ მრავალ წერილთაგანი, რომელთაც დღესაც იღებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. დაიდიოვა.

საბჭოთა არმიის მოსამსახურეები მადლიერების ვრცნობით აღნიშნავდნენ დრამატული თეატრების საუკეთესო სამეფო ნამუშევრებს. აღსანიშნავია, რომ სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოდან წარგზავნილი იყო დრამის მსახიობთა 102 ზოგადა.

საბჭოთა არმიის კულტურული მომსახურების საქმეში შესამჩნევი წვლილი შეიტანეს კინოსა და რადიოს მუშაკებმა, მხატვრებმა.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებში დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს კინოსტუდია, რომელმაც ათობით შეხვედრა მოაწყო სამხედრო ნაწილებისა და სასაზღვრო საგუშაგოების მებრძოლებთან. ამ მუშაობას სათავეში ედგა კინოსტუდიის მანინდელი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, კინორეჟისორი დავით რონდელი. საბჭოთა არმიის სახლებსა და ცალკეულ ნაწილთა კლუბებში გამართულ შემოქმედებით შეხვედრებში, კინოფესტივალებში, თემატურ საღამოებში მონაწილეობდნენ ჩვენია სახელოვანი კინორეჟისორები: მ. ჭიაურელი, ს. დოლიძე, დ. რონდელი, კინოდრამატურგი და კინორეჟისორი კარლო გოგოძე. ერთ-ერთ დელეგაციას, რომელმაც საბჭოთა მესაზღვ-

რებს გადასცა ქართველი ხალხის საჩუქრები, ზეგომსტანელობდა კინორეჟისორი მ. ჭიაურელი.

ქართველ ხელოვანთა გვერდით ამ დიდ მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანა ტექნიკურმა პერსონალმაც. მაგალითად, ხმის ოპერატორი მ. ათანდულოვი თავის კომპეტეტან ერთად სამხედრო ნაწილების ხშირი სტუმარი იყო, ესაბუროდა არმიულ კინომეჟინოსებს, უტარებდა კონსულტაციებს. შეუძლებელია არ მივიგონოთ კინოსტუდიის ფოტორეჟისორ ს. სულავას კეთილშობილური საქმიანობა. იგი ჰოსპიტლებში სურათებს უღებდა მებრძოლებსა და მეთაურებს, რომელმაც თავი ისახელეს ბრძოლებში. შემდეგ იგი ამ ფოტოსურათებს ფრონტელთა ახლობლებს უგზავნიდა.

ნაყოფიერ და საინტერესო მოღვაწეობას ეწეოდნენ დოკუმენტური კინოს ოსტატები, კინორეჟისორები: ვ. ვალი-შვილი, ი. კანდელი, მ. ჩაგუნავა, შ. ხომერიკი, კ. გრძემლიშვილი, გ. ასათიანი.

სამხედრო-სამეფო მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე კინოსტუდიასთან არსებული კინოსამსახიობო სასწავლებელი, რომელსაც სათავეში ედგა ი. ჩინაკაძე. აღსაზრდელები ჰოსპიტლებში აწყობდნენ სამეფო კონცერტებს, უვლიდნენ დაჭრილებს. ამ უაღრესად კეთილშობილურ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ტ. დათუაშვილმა და ნ. კობრიაძემ.

ბევრი ქართველი მხატვარი გაიწვიეს მოქმედ არმიას. ისინი თავის საქმიანობას არც ფრონტზე იყიწყებდნენ და თემატურ გამოფენებში ლეულობდნენ მონაწილეობას, ავეთებდნენ ფოტოსტანდებს, უშვებდნენ სამხედრო-პოლიტიკური პლაკატების სერიას „სატყირის ფანჯარა“.

1942-43 წლებში ჩვენმა მხატვრებმა გააფორმეს 24 ტიფი თემატური გამოფენა და მრავალი სასწავლო პლაკატი. გამოფენებიდან აღსანიშნავია „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“, „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა“, „საბჭოთა არმია — საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის არმია“, „გავსიტური ჯარების განადგურება მოსკოვთან“, „საბჭოთა არმიის მებრძოლთა ვაჟკაცობა, თავგანწირვა და გამირობა“, „წითელი არმია სამშობლოსათვის ბრძოლაში“. ფოტოგამოფენა „ბრძოლა კავკასიისათვის“ და სხვ. სიტყმატურად გამოდგა სასწავლო პლაკატის სერია „ისწავლო მტრის ტანკების განადგურება“. გარნიზონის პირად შემადგენლობასა და თბილისის შრომელთა შორის, ომის წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა არმიის სახლის მიერ გამოშვებული პლაკატების სერია „პოლიტიკური სატყირის სატყემელი“.

შემოქმედებითი ინტელიგენციის ომისდროინდელი პატრიოტული მოღვაწეობა ამიერკავკასიის სარდლობის არაერთ ბრძანებაში იყო აღნიშნული. სამხედრო-სამეფო მუშაობის ბევრი აქტივისტი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.


რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის ეს პატრიოტული შრომა მოითხოვს მეტ ყურადღებასა და ღრმა შესწავლას.

აკოლონ

ქუთათელაძე

დაბადების 70 წლისთავის ბავშვ

მამია დულუჩავა



თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, პროფესორი აპოლონ ქუთათელაძე როგორც შემოქმედი ქართული საბჭოთა ხელოვნების, უფრო ზუსტად, ქართული ეროვნული მხატვრული კულტურის იმ დიდმნიშვნელოვანი ბურჯის — თბილისის სამხატვრო აკადემიის ასაკისა, რომლის კედლებშიც აღიზარდა და რომელსაც ამჟამად თვით ხელმძღვანელობს. იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველ სტუდენტთა პლეადას კუკუნის, ხოლო შემოქმედების ასპარეზზე, არსებითად, სტუდენტობის პირველსავე წელს გამოდის. მისი უაღრესად მრავალფეროვანი შემოქმედება და მოღვაწეობა ორგანულად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელ ისტორიასთან.

აპოლონ ქუთათელაძე ბავშვობიდანვე იყო გატაცებული მხატვრობით. მშობლიური კუთხის — ხონის პეიზაჟის სილამაზე მისი შთაგონების წყაროდ იქცა. 1914 წელს, როდესაც ქუთათელაძის ოჯახი თბილისში გადმოსახლდა,

აპოლონმა „კავკასიის მხატვართა წამახალისებელი საზოგადოების“ სასწავლებელში დაიწყო მეცადინეობა. აქედან ფერწერისა და ხატვის კერძო სკოლაში გადადის, სადაც ძირითადად მხატვარ-პედაგოგის ბ. ფოგელის ხელმძღვანელობით ეუფლება მხატვრობის საიდუმლოებებს. ამავე დროს სწავლობს ხელოვნების ისტორიას, განსაკუთრებით იმდროინდელ ქართულ და რუსულ რეალისტურ მხატვრობას, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას. მაგრამ მაშინდელმა ვითარებამ დროებით შეწყვიტა ეს დაძაბული შრომა: ხელოვნებაზე შეყვარებულმა ქაბუკმა ჯარისკაცის მახარა ჩაიცვა.

1922 წელს წითელი არმიიდან იგი ახლად დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოაგლინეს, სადაც ძირითადად პროფესორების — დიდი ქართველი მხატვრის გიორგი გაბაშვილისა და გამოჩენილი მონუმენტალისტ-ფერმწერის, გრაფიკოსის ე. ლანსერეს ხელმძღვანელობით ეუფლება რეალისტურ ოსტატობას.

ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, დამოუკიდებელ შემოქმედების მოღვაწეობასაც იწყებს: აქტიურად მონაწილეობს სახვით ხელოვნებაში რევოლუციური იდეების და-



ომი ჩრდილოეთ ოსეთში.

ლერმონტოვი საქართველოში.



მკვიდრებისათვის და ანტირეალისტური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქმნის საავტორო პლაკატებს ისეთ თემებზე, როგორც არის „საბჭოთა ხელისუფლებისათვის“ (1922 წ.) და სხვა; რევოლუციური დღესასწაულებისათვის აფორმებს ქუჩებსა და მოედნებს, წერს თემატიკურ კომპოზიციებს — „1905 წელი საქართველოში“ (1923 წ.), „წითელი დროშა“ (1924 წ.), „დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში“ (1925 წ.), „ნასაკირალის ბრძოლა“ (1925 წ.); ისტორიულ-პატრიოტულ ტილოებს — „სააკაძე მარაბდის ომში“ (1923 წ.), „ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან“ (1923 წ.), აგრეთვე ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ა. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის პორტრეტებს. მრავალმხრივ მნიშვნელოვანია მისი ამავე პერიოდის გრაფიკული ნამუშევრებიც: „ექსპლოატატორები“ (1923 წ.), „პარტიის მოწოდებით“ (ავგურელი, 1924 წ.), „სიმინდის რჩევა“ (1925 წ.), სახელმძღვანელოებისა და ქართულ მწერალთა ცალკეული ნაწარმოების გაფორმება და დასურათება, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. მიწისვილის საბავშვო მოთხრობა „სკოლისა“ და ხალხური „არსენას ლექსის“ ილუსტრაციები. ამავე დროს, იგი სისტემატურად თანამშრომლობდა მაშინდელ სატირულ-უმორისტულ ჟურნალში „ტარტაროზი“ და იყო ამავე ჟურნალის ერთ-ერთი მსატყარი-რედაქტორი.

აღნიშნულ ნაწარმოებთა უმრავლესობაში მკვეთრად გლინდება აპოლონ ქუთათელაძის ნათელი ნიჭი, ნახატის,



თამარ მეფის ლაშქრობა.



ყურანის კრეფა



კომპოზიციისა და კოლორიტის გარკვეული, რეალისტური დახელოვნება. სხვათა შორის, მის წარჩინებას ისიც ადასტურებს, რომ პროფ. ლანსერემ 1924 წელს მეთრე კურსის სტუდენტ არ. ქუთათელაძის თანაგებობებით შექმნილი პლაკატი-პანო (ცხადია, თანაგებორის ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ შეიძლება ყოფილიყო). აღნიშნულ ნაწარმოებებშივე მოცემულია ყველა ის ჟანრი (პეიზაჟის გარდა) და თემატიკური მოტივი, რომელიც მხატვრის შემოქმედების მოღვაწეობას განაპირობებენ დღემდე. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აპოლონი ქუთათელაძე გვევლინება რევოლუციურ-თემატიკური კომპოზიციების ფუძემდებლად ქართულ სამკუთხა ხელოვნებაში.

მომდევნო წლებში აპოლონი ქუთათელაძე უფრო ღრმად ეუფლება მხატვრობის რეალისტურ პრინციპებს და ხევეთავის ოსტატობას, სისტემატურად მისწავლიდა ქართული მხატვრობის გამოყენებში, არის „ქართულ რევოლუციონერ მხატვართა ასოციაციის“ დაარსებისა და საქმიანობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. ასალგაზრდა მხატვრის მიერ ამ დროს შექმნილი ნაწარმოებებიდან მხატვრული ძიებებით ყველაზე მნიშვნელოვანია ავტოპორტრეტი, ნინო მესხის პორტრეტი და არა ერთი სხვა ჟანრი — როგორც ფერწერითი, ისე გრაფიკული ქმნილება.

1928 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, აპოლონი ქუთათელაძე მიაკვლინეს ლენინგრადში, ხოლო 1929 წელს მიიწვიეს მოსკოვში სხვადასხვა შეგვევით სამუშაოდ. ამ ქალაქებში მხატვარი საფუძვლიანად ეცნობა კლასიკური რეალისტური ხელოვნების ტრადიციებს, რითაც თვალსაჩინოდ იმადლებს პროფესიულ კულტურას.

1932 წელს იგი კვლავ ქართულელში ბრუნდება და ქმნის სურათებს: „უტუტე მიკაძე ესაუბრება თანასოფელელებს“, „არსენა ოძელაშვილი“, აგრეთვე მშობლიური კუხის ამსახველ პეიზაჟებს („სონია“, „მათხოჯი“) და სხვ.

ძირითადად ამ ნაწარმოებებით დამთავრდა მხატვრის შემოქმედებითი ძიებისა და ფორმირების პერიოდი. როგორც ცნობილია, ეს ხანა (1922-1932 წლები) ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში მკვეთრი წინააღმდეგობებით, ურთიერთისაგან არსებითად განსხვავებული ტენდენციების ბრძოლით ხასიათდება. კერძოდ, ერთი მხრივ, რეალისტური ხელოვნების პრინციპებს იცავენ და იმავე სულისკვეთებით ზრდიან ასალგაზრდა ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატები გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე და ძველი თაობის სხვა მხატვრები, რომელთაგან ახალი ცხოვრების სულისკვეთება განსაკუთრებული სიცხადით ი. ნიკოლაძე და მ. თოიძე განასხივანეს. მეორე მხრივ, მკვეთრად ვლინდებოდა არა მარტო „პროლეტკულტელა“ მემარცხენე-რევოლუციური ფრასულოლოგიის შენიღბული ნიჰილიზმი, ყველა ტრადიციის უარყოფა, მთელი კლასიკური მემკვიდრეობის არარაობად გამოცხადება და ახალი ხელოვნების ამოცანების უკიდურესად გამართვიებული გაგება, არამედ სხვადასხვა დეკადენტური მიმ-

დინარეობისადმი მონური მიბაძვაც, აგრეთვე თეიმურაზური ფერწერითობა, სტილიზაცია და პირობითობა, იმდროინდელი აქტუალური თემატიკისაგან (ქართული ხალხის ახალი ცხოვრებისაგან) სრული განრიდება.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მაშინ, ძირითადად, სწორედ ეს მეთრე მხარე შეადგენდა მოდური გატაცების საფას. მაგრამ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა უმრავლესობა არ გაყოფილა ამ ცდუნებას: მათ რეალიზმისა და გამარჯვებული რევოლუციის გზა აირჩიეს, რამაც დიდნიშნელოვანი როლი შეასრულა ქართული სამკუთხა ხელოვნების ფორმირებაში. აპოლონი ქუთათელაძე ამ ასალგაზრდობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო. რა თქმა უნდა, ამ ასალგაზრდობის შემოქმედება, საერთოდ, ამ პერიოდის მთელი ქართული პროგრესული ხელოვნება ჯერ კიდევ არ იდგა სასებით სწორ და ნათლად ჩამოყალიბებული შემოქმედებითი თვალსაზრისის (მხატვრული მეთოდის) საფუძველზე, რის გამო მას ერთგვარი ცალმხრივობა ახასიათებდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ცნობილმა დადგენილებამ, მის შესაბამისად ერთიანი შემოქმედებითი კავშირების შექმნამ და სამკუთხა ხელოვნების მხატვრული მეთოდის განსაზღვრამ საბოლოოდ გადაუღობა გზა, როგორც ამ ცალმხრივობას, ისე „პროლეტკულტელა“ ვულგარობას, ანტირეალისტური იზმებით გატაცებას და სრულიად ახალი, ჭეშმარიტად დიდი პერსპექტივების მომცველი შემოქმედებითი ატმოსფერო დაამკვიდრა. თავისთავად ცხადია, აპოლონი ქუთათელაძის შემოქმედებით უკიდურესად კეთილმოქმედი შევავლება იქონია პარტიის ამ დიდნიშნელოვანმა დინსიბიებებმა.

პირველი მრავალფეროვანი თემატიკის ამსახველი ნაწარმოებების უმრავლესობა, რომლებიც ასალ ვითარებაში შექმნა მხატვარმა, იმ დროის ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ქმნილებებს განეკუთვნებოდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითმის ისეთ ტილოებზე, როგორც არის „რადიო სვანეთში“ (1934 წ.), ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო ომის ამსახველი ტილოები: „ს. ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში“ (1934 წ.), „ს. ორჯონიკიძე გეროზის მისადგომებთან“ (1937 წ.) და თემატიკური კომპოზიციები, რომელთა მწვერვალია „მათუბის მუშების პოლიტიკური დემონსტრაცია 1902 წელს“, აგრეთვე პორტრეტები, პეიზაჟების მთელი სერია და სხვა ჟანრის არაერთი ნაწარმოები. ისინი ღრმა იდეურობით, მათელი შთაბეჭდილი წარმოსახვით, რომანტიკული ელფერით, კომპოზიციისა და კოლორიტის ჭეშმარიტი ოსტატობით ხასიათდებიან.

დიდი სამამულო ომის პერიოდში აპოლონი ქუთათელაძე გვევლინება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის აქტიურად მებრძოლ ხელოვანად. ამას ცხადყოფს მისი სურათები: „ფრანსისტების მხეცობა“, „გმირი დამცველები“, „კავკასიის დაცვა“, „გუნერელი ლესელიძე კავკასიის მთებში“, აგრეთვე ისტორიულ-პარტიოტული და თემატიკური კომპოზიციები, ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტები, მ. ზდანევიჩის პორტრეტი და სხვა. ყურად-

ღებას იქცევს ცნობილი მოქანდაკისა და გრაფიკოსის თამარ აბაკელიას პორტრეტი (1924 წ.), რომელიც მხატვრის ერთ-ერთ უძლიერეს ფერწერით ქმნილებას წარმოადგენს.

ომისშემდგომ პერიოდში მხატვარი გამარჯვებული ხალხის ცხოვრებასა და შრომას უძღვრის, მრავალ პეიზაჟს, პორტრეტს, ისტორიულ და თემატიკურ კომპოზიციას წერს. ეს ქმნილებები, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევიან მართალი წარმოსახვითა და ინდივიდუალური ხელწერის სიმკვეთრით, ბრწყინვალე კომპოზიციური გააზრებით, ნათელი პლასტიკური გამომსახველობითა და ამადლებული მემოციური ფერწერითობით. ამ ნაწარმოებებს მათი სიმრავლის გამო აქ არ დავასახელებთ. შემოვიფარგლებით მხოლოდ უკანასკნელ დროს, კერძოდ, სამოციან წლებში შექმნილი რამდენიმე ტილოს აღნიშვნით. ესენია: „უპაი მოსავალი“, „ს. ორჯანიკიძეს პარტიზანთა რაზმი მყვას იერიშზე 1918 წელს“, „დაბრუნება კოლმეურნეობაში“, „პირველი შეხვედრა“, „მესაზღვრე სტუმრად გურულ მეჩაიე ქალიშვილებთან“, „თლილი შავ ზღვაზე“, „ლერმონტოვი საქართველოში“, „ნადირობა“ (ფრესკის ესკიზი), „ადეისის კრეფა“ და მრავალრიცხოვანი შესანიშნავი ეტიუდი (უპირატესად პეიზაჟური), რომლებიც მდიდარი ტონალობით, განსაკუთრებული ფერწერითი და პლასტიკური ღირსებით ხასიათდებიან.

ამაგამდ აპოლონ ქუთათელაძე წერს დიდ სურათს: „თა-

მარ მეფის ლაშქრობა“, რომელსაც მალე დაამთავრებენ მაგრამ ამ სახითაც იგი სრულ საფუძველს იძლევა მაღალი შეფასებისათვის. შესანიშნავია ამ მრავალფეროვანი ტილოსათვის შექმნილი ესკიზებიც, განსაკუთრებით უკანასკნელი ვარიანტი, როგორც თემის გახსნის, ისე კომპოზიციისა და კოლორიტის მხრივ.

აპოლონ ქუთათელაძე ეროვნული მხატვრული კულტურის თავდადებული მოამბეა. იგი თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა და ამჟამადც მონაწილეობს მხატვართა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში, 1943 წლიდან იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ერთ-ერთი სახელისნოს ხელმძღვანელია. ამ სახელისნოში არაერთი ცნობილი ქართველი ფერწერია აღიზარდა. აღანიშნავია აპოლონ ქუთათელაძის, როგორც სამხატვრო აკადემიის რექტორის დამსახურება. ის მეთერთმეტე წევრად იყო სათავეში უღვას ჩვენს პლასტიკური ხელოვნების ამ დიდმნიშვნელოვან კერას.

ყოველთვის ახლის ძიებით გატაცებული დეაწმომოსილი იუბილარი მთელი თავისი არსებითა და სიყვარულით ემსახურება და ემსახურება მშობლიური ხალხის კულტურას. იგი ჭეშმარიტად გულმართალი და ფართო მასშტაბის შემოქმედია, რომელმაც არა ერთი უაღრესად მახვილი, თავისებური ხედვით აღბეჭდილი და მაღალი რეალისტური ოსტატობით ამტკიცებელი ქმნილებით გაამდიდრა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი აპოლონ ქუთათელაძე თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გამოჩენილი მხატვარი შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ქართული რეალისტური ხელოვნების წმიდათა-წმიდა ტაძარს — სამხატვრო აკადემიას. იგი თვით იყო მისი პირველი სტუდენტი, დღეს კი ღირსეულად წარმართავს აკადემიაში მომავალ ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებას.

აპოლონ ქუთათელაძემ თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

აპოლონ ქუთათელაძე იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე, ამ თემაზე მას მრავალი შესანიშნავი ნამუშევარი აქვს შექმნილი. შემდგომ პერიოდში კი გამოჩენილი მხატვარი საქართველოს მშვიდობიან ცხოვრებას ასახავს, ქმნის საინტერესო კომპოზიციებს.

იგი არის მრავალმხრივი, უშრეტო ფანტაზიის მქონე ხელოვანი, ამჟვე დროს გამოცდილი პედაგოგი, რომელმაც აღზარდა მრავალი ნიჭიერი ფერმწერი და გრაფიკოსი.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგია, რედაქციის მუშაკები სულითა და გულით ულოცავენ ქართული სახვითი ხელოვნების დიდ მოამბეს, სახელოვან მხატვარს აპოლონ ქუთათელაძეს დაბადების 70 წლისთავს.



ი. სიხარულიძე.

1905 წელი.



ო. ჯიშკარიანი.
სერიიდან „საქართველოში“.

ვლადიმერ
ილიას ძე
ლენინის
დაბადების
100 წლისთავისადმი
მიძღვნილი
საქართველოს
მხატვართა
საიუბილეო
გამოფენიდან



ა. მჭედლიშვილი.
კონსმონავტი. მთვარეზე დაშვება.



ბ. შველაძე.
გურია.



საიუბილეო საღამოს სსსრ საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, რეჟისორი რევაზ ჩხეიძე.

ქართული საგჭოთა კინემატოგრაფიის სამსახური

(პარლო გოგოძის დაბადების 60 წლისა და უმომავლადი მოღვაწეობის 40 წლისთავი)

თენგიზ ბილიხოძე

აბას წინათ საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის კინოკომისიისა და თბილისის კინოსახლის თაოსნობით გაიმართა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კინოდრამატურგისა და კინოოპერატორის კარლო გოგოძის დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

თბილისის კინოსახლის ახალ კომფორტაბელურ დარბაზში, რომელიც ახლახან გაიხსნა რუსთაველის პროსპექტის № 52-ში („მეშახტეთა სახლის“ დამატებით კორპუსში), შეიკრიბნენ ჩვენი დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რათა თავიანთი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატათ იმ ადამიანის მიმართ, ვისი სახელიც განუყრელად არის დაკავშირებული ქართული კინოხელოვნების განვითარებასთან, ვინც ორმოცი წლის განმავლობაში დაუღალავად ეწეოდა კინოხელოვნების პროპაგანდას და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ხუთასზე მეტი ნარკვევით, რეცენზიით, წერილითა თუ ისტორიული ხასიათის გამოკვლევით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის საგანძურში.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მსახიობმა, რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მსახიობმა, რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ.

რგი მიესალმა იუბილარს და დამსწრეთ გააცნო „მაგდანას ლურჯას“ ეკრანიზების შემოქმედებითი ეპიზოდები. რ. ჩხეიძისა და თ. აბულაძის პირველ მხატვრულ სურათს ხომ კარლო გოგომის მაღალმხატვრული ღირებულების სცენარი დაედო საფუძვლად. ამ ბენდიერმა დებიუტმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა და 1956 წელს კანისა და ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალების პირველი პრემიები დაიმსახურა. „მაგდანას ლურჯა“ შეტანილია საბჭოთა კინოფილმების ოქროს ფონდში.

კარლო გოგომის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ტელევიზიის კინოვადამცემთა რედაქციის მთავარი რედაქტორი ოთარ სეფიაშვილი. „კარლო იოსების ძე გოგომე ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მოღვაწეთა უფროსი თაობის წარმომადგენელია. 1930 წელს დაამთავრა „სახკინმრწველის“ კინომსახიობთა სკოლა, ხოლო 1936 წელს კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის კინოდრამატურგიის ფაკულტეტი. 1938 წელს პურნალ „ისკუსტეო კინოში“, — ამბობს მომხსენებელი, — გამოქვეყნდა მისი კინოსცენარი „დაგვიანებული სასიძო“, რომელიც დრამატურგ ვლადიმერ კარსანიძესთან ერთად შექმნა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო რუსეთში გამოქვეყნებული პირველი სცენარი საქართველოს ცხოვრებაზე და იქაური პრესაც დადებითად გამოემხმურა მას... დიდი სამამულო ომის კვირაძალზე — 1941 წელს ჩვენს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ქაჯანა“, რომლის სცენარის ავტორები იყვნენ კარლო გოგომე და რეჟისორი კ. ჰაპინაშვილი. ქართული კინოს ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა გაუძღო დროის გამოცდას. უკვე სამი ათეული წელიწადია

ნაწარმოები ეკრანზეა და მის მიმართ ინტერესი მაინც არ შენეებულა“.

კარლო გოგომის ლიტერატურული სცენარებით დადგმული მხატვრული ფილმები: „დაგვიანებული სასიძო“ (თანაავტორი ვ. კარსანიძე), „ქაჯანა“, „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“ (თანაავტორი კ. ჰაპინაშვილი), „მაგდანას ლურჯა“, აგრეთვე კინონარკვევები: „გენერალი ლესელიძე“, „ბაკურინის თოვლიან ფერდობებზე“, „ერთი სოფლის სპორტსმენები“, „მეგობართა შეხვედრა“, „ვირი და ვეფხვი“ (ნახატო ფილმი) და სხვა ქართული კინემატოგრაფიის თვალსაჩინო ნაწარმოებებია.

კარლო გოგომე ქართული კინოს ღრმა და შინაარსიანი მცვლევარია. მან იტვირთა კინოკრიტიკოსის მოვალეობაც... მისი მონოგრაფიები: „ნატო ვანნაძე“, „პირველი ქართველი კინოოპერატორი ვასილ მამუკელი“, „ივანე პერესტიანი“, „კოტე მარჯანიშვილი და კინო“, „ქართული კინოს საერთაშორისო წარმატებები“ და სხვ. მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომებია.

ქართული კინოს შესახებ იშვიათად თუ გამოცემულა რაიმე მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შრომა, რომელიც ისტორიული მასალების თანმიმდევრული ანალიზით ზოგად წარმოდგენას გვაძლევდეს ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ძირითად ეტაპებზე. ამ ხარვეზს ავსებს კარლო გოგომის წიგნი „ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან“, რომელიც ორი ათეული წლის წინ გამოიცა და დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა; მასში „თავმოყრილია და თავისებურად სისტემატიზებულია ჩვენი ეროვნული კინოს ისტორიის მასალები“.

იუბილარს უსალმებთან კინოსტუდია „ქართული ფაღმოს“ წარმომადგენლები.





მომხსენებელი შეეხო კარლო გოგობის მრავალმხრივი თავისებურებების ერთ-ერთ ძვირფას შტრიხს: „როდესაც იწერებოდა მონოგრაფია ვასილ ამაშუკელზე, მის მიერ 1912 წელს შექმნილი მთლიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ დაკარგულად ითვლებოდა. კარლო გოგოძე ამ ფილმს ეძებდა როგორც ნამდვილი ჭირისუფალი, როგორც დაკარგული განძის მემკვიდრე. დაუცხრომლობამ და მკვლევარის ალღომ კი თავისი გაიტანა. ჩვენც და შემდგომ თაობებსაც საამაყოდ დარჩებათ ეს უნიკალური კინოდოკუმენტები“.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სახელით იუბილარს მიესალმა მწერალი-დრამატურგი მარიაკა ბარათაშვილი. „კარლო გოგოძე საქართველოს მწერალთა კავშირის აქტიური წევრი და კინოკომისიის თავმჯდომარის მოადგილეა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე, — აღნიშნავს მარიაკა ბარათაშვილი, — ქართველი მწერლების მიერ საბავშვო თემაზე შექმნილი წიგნების საერთაშორისო არენაზე გატანაში დიდი როლი ითამაშა მის მიერ კინემატოგრაფიულად დამუშავებული ლიტერატურული სცენარების „ქაჯანასა“ და „მაგდანას ლურჯას“ მიხედვით გადაღებულმა ფილმებმა. მან ახლახან დაამთავრა კინოსცენარი იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნას“ მიხედვით, რომელიც გადაეცა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭოს. ეჭვი არ არის, რომ ეს ფილმიც ისეთვე რეზონანსის იკნება, როგორც მისი წინამორბედი.

ისე როგორც კინოსცენარები, მისი დრამატული ნაშრომებიც, — განაგრძობს მარიაკა ბარათაშვილი, — ქვემარტივ მხატვრული ღირსებების გარდა ჰუმანურობისა და პოეტურობის მაღალი შემოქმედებითი პრინციპებით გამოირჩევიან. „მთის ბიჭები“, „ქაჯანა“, „ნანული“, „ლომგულეები“, „ერთხელ დამით“ და სხვა პიესები, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენებზე, სხვა თავისებურებებთან ერთად ოსტატურად მომარჯვებული სატოვანი ენით ვგზნებლავენ“.

კარლო გოგოძე დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ. 26 წელია იგი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხედრო-საშეფო კომისიის თავმჯდომარეა. სანიმუშო სამხედრო-საშეფო მუშაობისათვის მიღებული აქვს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ორი მაძლობა. ამიტომ ანეგულთბილად მიესალმნენ მას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მესაზღვრეთა და თბილისის ოფიცერთა სახლის წარმომადგენლები.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად კარლო გოგოძე თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი არის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების კინოსექციის სწავლული მდივანი. საქართველოს სსრ მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნის“ ლიტერატურისა და ხელოვნების მეთოდური საბჭოს წევრი; და ამ საზოგადოებების წარმომადგენლებმაც თა-

კარლო გოგობის საიუბილეო საღამოზე.



იუბილარი კარლო გოგოძე.



ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის კოლექტივის სახელით იუბილარს ესალმება თეატრმცოდნე გივი ბარამიძე.

ვიანთ მისალმებებში ხაზი გაუსვეს იუბილარის დაუცხრომელ ენერჯიასა და ჩაუმჭრალ ენთუზიაზმს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი დავით ჩხეიძე, ხოლო ხელოვნების მუშაკთა სახელით — საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი თამარ ბაქრაძე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრს მიესალმა ამავე კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სიკო დოლიძე; კინემატოგრაფისტთა სახელმწიფო კომიტეტისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელით — აკაკი ძიძიგური, პაატა კობახიძე და გიორგი თოლორდავა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საბჭოთა კინოს ვეტერანი, ჩვენი იუბილარის მასწავლებელი მიხეილ ჭიაურელი, ცნობილი კინომსახიობი დედუხანა წეროძე, იუბილარის მშობლიური კუთხის სამტრედიის მშრომელთა დელეგაცია გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორის ვაჟა ნიკოლეიშვილის მეთაურობით და მრავალი სხვა.

როგორც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სარედაქციო კოლექტივის წევრს, რედაქციის კოლექტივის სახელით იუბი-



ლარს მიესალმა თეატრმცოდნე გივი ბარამიძე და გადასცა სამახსოვრო საჩუქარი და ადრესი:

ძვირფასო იუბილარო!

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა თქვენი ღვაწლი და ამაგი დამწერლობის, ქართული კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და, საერთოდ, მშობლიური კულტურის წინაშე.

საზოგადოებრიობა დიდი სითბოთი და სიყვარულით აღნიშნავს თქვენი სპეტიკური ცხოვრებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობის ესოდენ ღირსეულად განვლილ გზას.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის კოლექტივიც სამართლიანად ამაყოფს თქვენი თანამშრომლობით, რომელსაც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით ეწევით ჟურნალის განახლების პირველი დღიდანვე (1953 წელი).

ჩვენ მუდამ გვცხობლავდა თქვენი მაღალკვალიფიციური პროფესიონალიზმი, მრავალმხრივი ნიჭი და უშრეტე შემოქმედებითი ენერჯია, რომლის წყალობით თქვენი სახელი სამარადისოდ დაუკავშირდა ქართული თეატრალური და კინემატოგრაფიული ხელოვნების განვითარებას.

ჩვენ მუდამ გვატყვევებდა თქვენი პირადი ცხოვრებისა და შრომის სამაგალითო კეთილსინდისიერება: თქვენი სიწრფელე, მიმნდობლობა, მომისიონელობა და სულიერი სიწმინდე.

ჩვენ გვახარებს, რომ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობთ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის დასტურად ისიც საკმარისია, რომ თქვენ არჩეული ხართ დალესტის ქალაქების გუნების, დერბენტისა და ბუენაოსის საპატიო მოქალაქედ ჩვენო საყვარელო და პატივცემული მეგობარო კარლო! მოგილოცათ დაბადების სამოცი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოც წლისთავს.

კვლავ ახალგაზრდული შემართებით გველოთ თანამედროვეობის მხარდამხარ ქართული კულტურის სადიდებლად ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია.

დასასრულ, მოკრძალებული სიტყვით გამოვიდა კარლო იოსების ძე გოგოძე. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებსა და ამ შეხვედრის ორგანიზატორებს მისი შრომისა და ამბავის მაღალი შეფასებისათვის.



სამტრედიის მშრომელთა დელეგაციის სახელით იუბილარს ესალმება გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი ვევა ნიკოლეიშვილი.

სცენა სპექტაკლიდან „საგანგებო ელჩი“.



«საგანგებო ელჩი» გრიგოელაშვილის თეატრში

სვეტლანა კესერი

გრიგოელაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრმა შექმნა ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების მთელი ციკლი. მან წარმატებით განახორციელა გ. მდიენის „შენი ბიძია მიშა“, ვ. ენუვის „ბულბულების ღამეს“, ს. ალიოშინის „სხვა ქალი“.

ამჟამად დასადგმელად მზადდება ვ. მაიაკოვსკის „ბად-ლინჯო“, ნ. პოგოდინის „არისტოკრატები“, მ. ლერმონტოვის „მასკარადი“.

რეჟისურა და სამოქალაქო თემაზე განხორციელებული სპექტაკლებიდან მეტად მნიშვნელოვანია ა. და ნ.

ტურების „საგანგებო ელჩი“. იგი ასახავს რევოლუციის ატმოსფეროს, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას, მშვიდობისათვის ბრძოლას მთელს მსოფლიოში; გვიხატავს ისტორიულ პიროვნებას, სახელმწიფო მოღვაწეს, მსოფლიოში პირველ დიპლომატ ქალს — ალექსანდრა კოლონტაის, რომლის სახეს ნათელ სსოვნად შემოინახავს ისტორია.

არისტოკრატი ქალი — კოლონტაი გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში ყოველგვარ კავშირს წყვეტს თავის კლასთან და აგიტატორობას იწყებს მუშებთან, ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან.

მებრძოლი პატრიოტი, მჭევრმეტყველი ორატორი, ნა-



ალექსანდრა კოლონტაი — ნ. ბერმისტროვა.



ალექსანდრა კოლონტაი — ნ. ბერმისტროვა.



სცენები სპექტაკლიდან „საგანგებო ელჩი“.





თელი მორალური თვისებების მქონე — ასეთი წარსლად ჩვენს წინაშე კოლონტაი-კოლცოვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. ბურმისტროვას შესრულებით.

დამდგემლმა-რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნ. ჭელიძემ ორიგინალურად ჩაიფიქრა სპექტაკლი. პირველ სცენებში მოქმედება იმდენად რევოლუციური მოძრაობის მხადების ფონზე, შემდეგ კი იგი სკანდნავიანი გადადის.

სპექტაკლი ვერ ვხედავთ რევოლუციის ბელადს, ვ. ი. ლენინს, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას უღვას სათავეში, მაგრამ გვესმის მისი ხმა, იგი თბილ, საამო განწყობილებას იწვევს მაყურებლებში. რეჟისორი ოსტატურად ქმნის მშვენიერ და ამადლეკვებულ სურათს ილინის მოსაგონებლად.

საბჭოთა ელჩის, დიპლომატი ქალის დაუვიწყარი იერსახის შექმნა არც თუ იოლია გამოდილი მსახიობისთვისაც, მაგრამ ნ. ბურმისტროვამ შესანიშნავად დაძლია იგი. მისი გმირი ყველა სიტუაციაში საბჭოთა სახელმწიფოს ღირსული წარმომადგენელი და ლენინური პარტიის ერთგული დამცველია.

ბურმისტროვა-კოლცოვას, როგორც პარტიული მუშაკის, პირველი ნაბიჯები რევოლუციური საქმიანობაში ჯერ კიდევ გაუხედავია, ნათლად ჩანს მისი შორიდება ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან; ის ქალური მომბიზვულობით ექცევა მათ; კოლცოვა ბრძანებას გასცემს დაჭრილი ჯარისკაცებისათვის დიაკავონ აღექმანდრე ნეველის ტაძრის ღურა. მეზღვაურები იერშით იღებენ მისანტერს, რისთვისაც კოლცოვა „საკელსიო ანათემას“ გადასცეს.

ვლადიმერ ილიას ძე აღმფთვებულა ამ „თვითნებობისა და ანარქიის“ კონფლიქტი, მაგრამ კოლცოვა მინც წაახალია. მოფული პროლეტარიატის ბელადი მშვიდობიანობისკენ მოუწოდებს. მშვიდობა — ის შეავარია კა-კობრობის ცხოვრებაში და კოლცოვა ლენინის ანდრესს მიელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ანხოროცილებს.

ბურმისტროვა-კოლცოვას შინაგანი სამყარო ნათლად, ამადლეკვლად, დამაჯერებლად არის გაშუქებული. ამ სცენაში მსახიობი, თუქა ზურგშექცევით დგას მაყურებელთან, მაგრამ გმირის მდგომარეობის თოელ სიმბოლად გამოვცემს სრულყოფილად, ფსიქოლოგიურად, სიჩუმი პაუზებით. დიდი სარკლის ფონზე მისი ფიგურა მეკვთრად მოჩანს. თავის სულიერ მდგომარეობას იგი გადმოვცემს აგრეთვე შოპენის 24-ე ეტიუდის შესრულებით, რომელსაც შეყვარებულისთვის უკრავს. იგრძნობა, როგორ უცივდება ხელები, არა სიცვიდან, არამედ ძლიერი და საშინელი სულიერი მდგომარეობისაგან, რასაც მსახიობი ოსტატურად გვიხატავს.

მოქმედებას რევოლუციის ატმოსფეროდან 30-45-ანი წლების სკანდნავიის ქვეყნებში გადაყავარო, სადაც გადაიხლება „ცივი ომისა“ და საბჭოთა კავშირთან ვეროპის სახელმწიფოების მშვიდობიანი თანარსებობის სურათები.

ამ პოლიტიკური მოტივის ფონზე, კოლცოვა უკვე გვე-

ვლინება, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს სრულყოფილი მინი წარმომადგენელი, რომელიც დიპლომატიურ მუშაობას ეწევა ევროპის ქვეყნებში. აქ მისი პიროვნება ხდება უფრო განსვრავდებული, ნათლი, გამომსახველი და მრავალმხრივი. მსახიობი დიდი ღირსებით ხსნის თავისი გმირის იერსახეს, ავსებს მას ფაქიზი თვისებებით.

ბურმისტროვა-კოლცოვას იერ ელოება მთელი რიგი სიმღერები, რომლებსაც მოხერხებულად და გაბეულად გადალავებს. იგი იარაღად იყენებს არაჩვეულებრივ სტრატეგიულ ნიჭს, რომელსაც მეკვიდრებით დებულობს თავისი გენერალი იმისაგან. ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ კოლცოვას იერსახის ის სინაზე, ქალურობა და ახვეწილობა, რომელსაც მსახიობი გადმოვცემს. კოლცოვა სამუდამოდ უკავშირებს თავის ცხოვრებას პროლეტარიატის მალად იდეებს.

საბჭოთა ქვეყნის ევროპის ჩრდილოეთი ნაწილის ელჩი — კოლცოვა მოხერხებულად ატარებს თავის დიპლომატიურ საზს. მსახიობი უფრო ნათლად ახასიათებს მას, როგორც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენელს მეფესთან აუღენციაზე. მან უნდა გადასცეს რწმუნების სიგელი მის უდიდებულესობას (დ. სლავინი), მაგრამ სასახლეში გაიძვრა ბორჯი (მ. იოფე), საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ინტრიგის უწყობს იმ არგუმენტის წამოყენებით, რომ „ქალბატონი კოლცოვა სამუდამოდ გააძევა ქვეყნიდან თვითონ მეფემ“ ანტიმოლიტარისტული პროპაგანდისა და სახელმწიფოში რევოლუციის ორგანიზაციისათვის. და უეცრად თვით კოლცოვა ხელმწიფესთანაა! მეფე ადლებებულია, მაგრამ არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება.

კოლცოვა შდის სამეფო დარბაზში. ფსიქოლოგიურად და საზრიანად გადმოსცემს ბურმისტროვას ამ სცენას. ის ხან ქალურად მომხიბლულია, ხან ვაჟაკებულად ურყევი და გამბედავი. „დიპლომატობა კომპრომისის ხელოვნებაა“ — ეს იცის კოლცოვამ.

ზოგჯერ მეფეებიც კი იხიბლებიან ქალის სილამაზით, მაგრამ გონიერი ქალებით მეფეები ორმავედ მოხიბლული რჩებიან.

სლავინის მეფე თავშეკავებულია. მას უხდება თეთრი სამოსი ცისფერი მაფითი. ნერვიული სიარული სრულიადც ვერ ამცირებს მის დროსა და დიდებულებას. მშვენიერი ელჩის დანახვისას მასში ქრება სახელმწიფო მოღვაწე და იღიძებს ურბლად მამაკაცი. ის უშუალოა და სადა, გამოირჩევა დახვეწილი მანერებით, ახალგაზრდული სული; იგი საკმაოდ კორექტულია, ჭაბუკი სულით, მაგრამ თავს წამოვიდგენს ჭარბაგად. სლავინი მეფის იერსახეს ავსებს ჭუნაური სულისკვეთებით.

მსახიობი იოფე ნათლად ხსნის საგარეო საქმეთა მინისტრის ბუნებას. ქედმაღლური სიარულით, იგი საოცარი ზოხილია და ბოროტი გამომეტყველებით გადასცემს თავისი სახელმწიფოს ნიჭს.

გარეგნული სიმშვიდის მიღმა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებში იგრძნობა უკიდურესი დაძაბულობა. ბორჯი



ერაგულად ილიმება, მაგრამ მისი დამცინავი გამომეტყველება უცებ ქრება, როდესაც მოდის გერმანიის არმიის ბრძოლების მამხილებელი საბუთი „გერმანიაში დამზადებული“ ბოზის ნატეხის თანდართობი.

ბორგი-იოფე თავზარდაცემულია. იგი ნერვიულად ატრიალებს ხელში ბოზის ნატეხს, სახე გაქავევება, მაგრამ საბუთი უდაჯერა. მინისტრის გარეგნული სიმშვიდის ქვეშ იგრძნობა ზოხილი საბჭოთა წარმომადგენლის მიმართ.

საოცრად შეიცვალა ამ დროის განმავლობაში კოლცოვა-ბურმისტროვა, იგი თითქოს დაებრდა რამდენიმე დღეში. მუქი ლურჯი კოსტიუმი და პატარა შავი ქუდი, რომლის ქვეშოდან ჭილარა თმა მოჩანს, მისი ძალადაკარგული ხმა ხაზს უსვამს გმირის დიდ სულიერ გარდატეხას. კოლცოვა-ბურმისტროვა დახვეწილად დადმოსცემს თავისი სულიერი დრამის ნიუანსებს. სავარტემო ჩამჯდარი, იგი ღრმა ფიჭრებშია წასული, მაგრამ აი, მუსიკა აძღვრდა. ფლეიტების, საყვირების, დაფდაფების ხმა მას ძალას მატებს გადაწყვეტი ბრძოლისათვის.

ფაშისმთან ბრძოლაში ის მარტო როდია. პატიოსანი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახელით მასთან ერთად არის მთელი ქვეყანა.

გუნარის სახით (ლ. გავრილოვი) კოლცოვა დიდ მგობარს იძენს. გავრილოვი-გუნარი სკანდინავიის ქვეყნების ხალხთა კოლორიტული წარმომადგენელია. ის ნამდვილი ნორვეგიელი მეთევზეა: ნათელი, მრავალმხრივი, მიხვედრილი; გრძელი მწითური თმით, მოშველები წვერით, მაღალი ხმითა და მეხლეაურის ჩაცმულობით იგი სანდომიანი, გულმართალი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სხვანაირადაა გადაწყვეტილი გრაფინია რუნგეს (ე. როგაცკია) იერსახე. ის ორი პლანითაა წარმოდგენილი: მაღალი საზოგადოების ქალბატონი, რომელსაც პოლიტიკის არაფერი გაეგება და პატრიოტი, რომელიც ცდილობს რითიმე დაეხმაროს რუს ხალხს. მასში სულიერი გარდატეხა ხდება და აიკველივი ქარაფშუტიდან¹ საღად მოაზროვნე ადამიანად იქცევა.

მინისტრის იერსახე (მ. მინევი) ფსიქოლოგიურად ისხნება. ის ტიპური ფინელია, მეტისმეტად თავდაჭერილი და დაკვირვებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. რამდენადმე ზედაპირულია ჩუმაკოვის (ვ. ოლინი), სვენსონის (ნ. არტუნოვსკიაი), გონარენკოს (ა. დახენეკო) იერსახეები.

საქეტაკლში კოლცოვა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, მედლის ერთი მხარეა. ბურმისტროვა-კოლცოვა ლირიკულისა და ინტელექტუალურის სინთეზს წარმოადგენს. მსახიობი ახერხებს თავისი გმირი მთავარულე ქალაქც წარმოვედგინოს. მისი გრძნობა ძლიერია, შეყვარებულის — ანდრეის (ე. ბაიკოვსკი) სიკვდილის შემდეგაც.

ანდრეი-ბაიკოვსკი არის საბჭოთა ადამიანის გმირობი-

სა და მამაცობის განსახიერება. იგი მზად არის უცხოელად შესწიროს სიცოცხლე ლენინური პარტიის საქმეს. მსახიობი ქნის გმირ-პატიოების იერსახეს.

ამ პიესაში არ არის უაზროფიტი მოქმედი პირები, არის მხოლოდ სხვადასხვა რწმენის ორი ბანაკი.

სცენაში ბანკირ იულიუს ხელმეთთან (ა. შველიოვი) ბურმისტროვა-კოლცოვა ამხელს ამ საქმისნის სულმდამალობას.

ხელმერი — ეს უხეში და გამბედავი საქმისანი — „მეფის კაცია“. ამავე დროს იგი გრძობს თავისი კონცერნების სრულ დეგრადაციას ომის დამთავრების მოახლოებასთან ერთად და მზადაა ნებისმიერ კომპრომისზე წაყიდეს საბჭოთა საელჩოსთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შველიოვის მიერ შექმნილი იერსახე რამდენადმე მშრალა და ზოგჯერ ვერ სცილდება სქემატურობის ფარგლებს.

საქეტაკლში საინტერესოაა გადაწყვეტილი მასობრივი სცენები. პირველ სცენებს, სადაც მეხლეაურები, ჯარისკაცები და გლეხები იცავენ თავიანთ უფლებებს, გადავავართ რევოლუციურ ატმოსფეროში. მომდგენო სერთათებ: მკვლისი, რეპორტიორების ხმაურიანი ლაშქარი — ქარგად ახასიათებს საზღვარგარეთის სამყაროს, მის სულისკვეთებას.

საქეტაკლის ფინალი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სურათია.

შოსტაკოვიჩის მეშვიდე პათეტიკური სიმფონიის ფონზე, რომელიც სახეიმილ ჟღერს საკონცერტო დარბაზში, როგორც გმირული აპოთეოზი საბჭოთა კავშირის ფაშისმზე გამარჯვებისა, ღირსეული ნაბიჯით მიემართება რუსი ელჩი — უკვე თამაშგადარებული, ტანზემშობალტული მუქი იასამინისფერი გრძელი კაბით. მას მკერდს უშვერებს გამარჯვების ვარსკვლავი, ორდენები და მედლები. ის გამარჯვებული საბჭოთა სახელმწიფოს ღირსეული დიპლომატია. მის და საბჭოთა საელჩოს სხვა წარმომადგენლებს ხელმწიფე ესალმება.

განათების ეფექტების ორიგინალური მანერით, მაყურბელი გმირთა ინტიმურ განწყობილებაში შედის, ნახეარ-შუქის, ჩაბნელებული სცენის გამოყენებით, ან რომელიმე გმირის მკაფიო განათებით, თითქოს მთავარი გამოყოფა საერთოსაგან და წინა პლანზე წარმოისახება. საქეტაკლში აგრეთვე გამოყენებულია ფართოფორმატიანი კინოს ელემენტები.

მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ე. მჭავარიანს, რომელიც ორიგინალურად იყენებს ორი გენიალური კომპოზიტორის — შოპენისა და შოსტაკოვიჩის რომანტიკულ-რეალუტიკური ხასიათის ნაწარმოებებს.

საქეტაკლი ასახავს დიდ ეპოქას და თავისი თანამედროვე ჟღერით, მხატვრულ-იდუერი სიღრმითა და მონუმენტურობით გრძობიდეოვალაა წარმატებად უნდა ჩათვალოს.



სცენა სპექტაკლიდან „წმინდანები ჯოჯოხეთში“.



სპექტაკლები
სამამულო ომის
თემაზე

სცენა სპექტაკლიდან „მე ვეღაე შუეს“.

„ღღესასწაული საკრალაში“.
მედეა — ს. ყანჩელი.



სპექტაკლები
სამამულო ომის
თემაზე



სენა სპექტაკლიდან „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

საქსიპო
მეგობრობის
ტრიბუნა

ბერძენული ღლიური*

ოთარ ეგაძე

პრემიერის პრემიერა

შტატალურ ჩვევად დარჩა: წინა ღამის პრემიერის წარმატებას მეორე ღლის წარუმატებლობა მოსდევს. ასე უფრო იმათ ემართებათ, ვინც ერთსა და იმავეს ერთიმეორის მიყოლებით იმეორებს.

პრემიერაზე ყველა დღლავს, დაჭიმული მოქმედებს, ემოციების მაქსიმუმს ამოქნის, ნათქვამ-ნათამაშევით ექსტაზურ ატმოსფეროს ქმნის.

სხვა ფსიქო-ნერვული კომპლექსი იქმნება პრემიერის მომდევნო დღეს; პრემიერული ექსტაზის სინდიყი ვარდება, აქტიორული სხვადქცევის ტონუსი ეცემა, მდელგარებას მოთენთილობა ცვლის და შემოქმედი იმას ველარ ითვლის, რითაც წინა ღამით ტაშის ცისარტყელას იდგამდა.

ასეა თითქმის ყოველთვის, მაგრამ შემოქმედმა იცის, რომ მესამე საღამოს უკვე იმასაც დაიბრუნებს, რაც პირველ ღამეს მოიპოვა და ახალსაც დაიმატებს. მაშინ იტყვიან ხოლმე: „მსახიობები დამშვიდდნენ, სპექტაკლი ჩავდა“.

ამას ველოდით ბერლინშიც.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პრემიერას იმდენად დიდი მოწონება ხვდა, რომ მისი

გამეორება წარმოუდგენელი იყო. მაგრამ, საბედინეროდ, შიში მაშინვე გაქრა, როგორც კი ფარდა ასწიეს; სიმღერა ცეკვამ დაამშვენა და ცეკვის გვირგვინად სიმღერა იქცა. ნათელი გახდა, რომ პროფესიული ჩვევა რაღაც უხილავმა ძალამ შესცვალა. კონცერტის ყოველი მონაწილე გრძნობდა შემზღუდველ რეგლამენტს: ორ ღამეში უნდა ეჩვენებინათ მაქსიმუმი და მოთენთისათვის ლიმიტი აღარ რჩებოდათ. ტრადიციული ჩვევა, რომ პრემიერა ზეაწეულად, მეორე დღეს ქვედაწეულად, რათა მესამე საღამოს ისევ მღელვარედ წარმართულიყო, — ფორმულად აღარ გამოდგებოდა. ბერლინში წუხელ გამოვიდნენ და გაიმარჯვეს, ბერლინში დღესაც გამოიდა და, თუ ტრადიციულად მოითენთნენ, წუხანდელსაც დაკარგავენ და ხვალინდელსაც თვალთ ვეღარ იხილავენ. ამიტომ მეორე გამოსვლაც პრემიერად მიიჩნიეს და ისევე ეღლავდნენ, როგორც წინა ღამეს, მაგრამ კიდევ უფრო მგრძნობიარედაც: „ბერლინში უკანასკნელად გამოვდივართ და თავი რად დავიმდართოთ“. ანსამბლის მეგობრებიც თვალეგებარწყნებული შევეურებით და ვლოცავდით:

— თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ!

ბიჭებმა კი, გოგონებმაც, პრემიერაზე დანთებული ნაპერწკალი აღად აქციეს და ფოლკსბიუნეს სცენაზე გრაციისა და მელოდის, აზრისა და ტემპერამენტის, პეროფენებისა და მიწიერების, არქაიკისა და თანამედროვეობის

* იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 2, 1970.

მერყევა-მოფერების ღამაში და ძლიერი ფეიერვერი დაა-
ნთეს.

იქნებ ესეც იქცა იმის სასიამოვნო საბაბად, რომ გერმა-
ნიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს
დარბაზობა მოეფიჭო საქართველოს სიმღერისა და ცეკ-
ვის სახელმწიფო ანსამბლისათვის, ბერლინის სახელმწი-
ფო, სახელობით, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგა-
ნიზაციების სახელით პირისპირ მისაღმობოდნენ იმათ,
ვინც იმ ორსავე დღეს სასიამოვნო ემოციათა მაქსიმუმი
დაუსუვა გერმანულეს.

დარბაზობის ბერლინის თავკაცობა დაესწრო. რასაკვირ-
ველია, სამზობა საელროს წევრებიც, რომელთა სახეზე სი-
ხარულიც იყო ასახული და სასიამოვნო განცდიერებაც,
სიამავეც და შვებაც, რადგან ის, რაც ქართულმა ანსამბლმა
გააკეთა პირველ ორსავე დამეს, ცოტას არ უშეის ჩვენი
ქვეყნის საშინაო და საგარეო ავტორიტეტს, საბჭოთა ხალ-
ხის ჰუმანურობას და განა ეს ცოტაა იმ სახელობით ან-
სამბლისათვის, რომლის მოვალეობას სულაც არ წარმოად-
გებს დიპლომატიის დიალოგი ჩართვა. მაგრამ, რა დასა-
ვლის გაცემით. ბავშვი ბეჭდვასაც უეფლება და, თავის სა-
სიამოვნოდ, საჭირო სახასრას აკრავებს. ზოგი ამ თანას
წლის ბოლომდე „კულტურპალასში“ ტოვებს, რომ საზაფ-
ხულო არდადეგებზე სამოგზაუროდ გამოიყენოს. ზოგი კი,



უფრო სამერმისოდ მიზნავს, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას ახმარს.

ვერაფერს ვიტყვით, კარგი ჩვევაა.

აი, ამ სასწავლებლს, სადაც მრავალი ათეული დარბაზი და ოთახია, ერთი ვებერთელა ფოთი-პოლც არის, ორივე კუთხით რომ ქალბის ცენტრალურ პროსპექტზე გადის.

ფოთი-პოლც, შუშის კედლების ვასწვრივ, პატარა მაგიდები იდგა ოთხ-ოთხი პერსონისთვის, შუაში კი ერთი ვებერთელა ტაბლა-მაგიდა გაეშალათ, ზედ დაწყობილი კულინარული დელოათით. სივანი სანი და სივანი 15 მეტრის სუფრაზე ყველაფერი ეწყო, — კერძიც და სერვისიც, სამსელიც და შესაქმევეიც. ოფიცინებში უფრო მოსიძეო ფიგურებდა ჩანდენი, ვინემ მიმტან-მიმტანებდა. სტუმრები თვითონ ირჩევდნენ სასურველ მენიუს და, როგორც შევატყვებ, არც თუ უხალისოდ, სახეზე მაღის გამოჩენი გამომეტყველებითა და ტემპერამენტითაც.

თითოეული იქ ჯდებოდა, სადაც მოესურვებოდა და თუ თავისუფალი ადგილიც ჩანდა. მაგიდებს უკვე უსდნენ დრეჟდენის თავაკობა და ბერლინდინ ჩამოსული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი კლაუს გიზი, ორი მოადგილი. ყველაინ ცოლმითურთ იყვნენ. ქართველებიდან კი ოთარ თაქთაქიშვილი და ლადო გუდიაშვილი ოჯახობები, ვიქტორ ჭავჭავაძე, გივი მეულაძე, აკაკი დვალისვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ბერიძე, კოტე ჩაჩავა, სულხან ცინცაძე, ანტონ წულუკიძე, თეიმურაზ კანდელიძე, რობერტ ვახტანგოვი, ალექსანდრე ნიჭარაძე, მიხეილ ყიფიანი, კოტე ჭანჭავაძე, ფანი მემშარიაშვილი, ალექსანდრე შალუვაშვილი, კარლო სიფიაშვილი, გივი კვიციანი, „გორდოლა“ და ასამდე მასპინძელი.

მე და მებად-დეკორატორმა მიხეილ კახიძემ ორკესტრის გვერდით ორი თავისუფალი ადგილი მოვიფიქრეთ და დიდად მესიამოვნა, რომ ჩვენი კვარტეტი ასე გამოიყურებოდა:

დრეჟდენში დროებით აკრედიტებულ თბილისის რესტორან „დარილის“ შეფ-მზარეული გრიმა ვანინე, რაჭველი საბაზო სარდინი სირინოაძე, თბილისელი მებად-დეკორატორი მიხეილ კახიძე და მე!...

ყოველ შემთხვევაში მალე დავრწმუნდი, რომ ჩვენი სუფრა ლამის ყველაზე კოლორიტული იყო. პროფესორი ვიქტორ ჭავჭავაძე შუა წვეულებაში გვეწვია და საჯაროდ დაილოცა:

— არა მგონია, ამ საღამოს, საქართველოში და გერმანიაში მოიძებნებოდეს სხვა ისეთი მაგიდა, რომელსაც ოთხიდან ერთი მზარეული იყოს, მეორე ხაზავი, მესამე მებადე და მეოთხე ხელოვანი?! დაილოცეს ქართული ნატურორტი!...

— დაილოცოს! — ხმა აუწყეს სხვებმაც და გრძელფეხა ბაკლებს ხელი აუკრეს.

მანამდე კი სიტყვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა კლაუს გიზიმ აიღო:

— მოგესალამთო ყველას, ქართველ ხალხს, სამჭოთა წითელ არმიას, ჩვენს სტუმრებს, საქართველოს კულტურის მინისტრს ოთარ თაქთაქიშვილს, რომელმაც დღეს ასეთი მშვენიერი საავტორო საღამო კონცერტი გვაწესა. სამადლობელს ენა ვერ იტყოდა, ტაში ვარჩიეთ.

— მე გიხოვთ ასწოთ ჩემთან ერთად ბაკალი და შევსათ სამჭოთა კაემრისა და გერმანიის მტკიცე მეგობრობის სადღეგრძელო. მე გიხოვთ შევსათ საქართველოს დელეგაციის, სამჭოთა არმიის, ჩვენი ძმური მტკიცე მეგობრობის სადღეგრძელო. მე გიხოვთ ეს რამდენიმე საათი გაატაროთ ტკბილად და სასიამოვნო აპეტიტით.

ქართველმა მთარგმნელმა ნელი ამაშუკელმა ეს უხალისე კნელი სიტყვა ისეთი გადმოსახველით წარმისთქვა, რომ კლაუს გიზის დასდევრების დასაჩუქრი პერ-მარლის მიმტყვის დასაწყისად მივიჩნიეთ. მერე გიზიმ კარიულ მაგიდისნებს გადმოვახვედა და ხელის ერთი შემოვლებით შუა დარბაზში კანდომუკარებელი და სულს მაკიდებლად მოგვანახა.

— ბიჭ! —

ეს კი უკვე სიტყვადან საქმეზე გადასვლას ნიშნავდა. ღლი უზრავლესობა ერთდროულად და უყოყმანოდ წამოდგა და მთავარ სუფრას ალვა შემოარტყა. ფოტოგორეს-პინდინტა გივი კვიციანიმ ხელსაყრელი პოზიცია აირჩია, წინაწაწვდილი თევზებთან ხელბებს ჩაუსაფრდა და რამდენიმეჯერ ჩაუჩახუნა. მე, საწველ ფურივით გაეკურებულ მაგიდასთან თავდაპირილთა მხრებს ეკუყურებდი და თან ორკესტრის დანამდრე, „როდოსოკონიე ვენერას“ ვუსმენდი. იქ სალაბა-ბურტყობრივად ინაწვლიდნენ, აქ კი სოლოვიკონსედის მელოდისა სწვლავდნენ.

მერე, ყველა შუა-თავის ადგილს დაუბრუნდა და მაკიდებსა და მაგიდებს თუ სიფრფიანა კლუნერი-გოგონა გამოირჩა. ხელში ბულგარული ღვინის თავსურულა ბოთლი ეჭირა, თვალს შევავალე, ჩვენი სასისების დღე მოზომა და იმათ დაუსხა, ვისაც ფსკერამდე დაეყვანა. მიხეილ კახიძესა და სპირიდონ სირინოაძეს ადრე დაემორცხვათ, ჭკებიც სანახევრად მოესვათ და დაისახუნენ, — არ შეუვსო.

ამან ერთგვარად დაგვაფიქრა, მაგრამ სპირიდონმა დაგვიმოლა:

— გულს ნუ გაიტყბთ, თქვენი ჭირიმი! — თქვა და წამოდგა. მალე დაბრუნდა და მაგიდაზე ორი გადანახული „კარდანახი“ შემოღდა.

ასეთმა ვეფეტრმა რეისმა ახლომახლო უღვიწო მაგიდისნებს ცოცხელი ურადღება გამოიწვია.

— ჩვენს მარცხნივ გერმანელი მწერლები სხედან, მარჯვნივ — კი ქართველი მხატვრები!...

მიხეილ კახიძე მიმიხვდა: ერთი ბოთლი მასპინძლებს მიართვეს, მეორე — სტუმრებს, სასახლოდ ორივე მაკიდამ ყველამდე საცემ მადლობა გამოვცხანა.

დრო გადიოდა, გერმანელი თავაკებიც აზრთან და საქმიან სადღეგრძელებლს ვევაგავებოდნენ. მოსმენილს სოლიდარობა სჭირდებოდა და სპირიდონმა მეორე ორისც გააკეთა, ამჯერად ღამი „წინანდალი“ შემოგვიმტყა. თონი ისევ მეზობლებს ჩაგუს-დავუსხით, ერთი კი წინ დავიდგი.

მაგიდებს შუა ისევ სიფრფიანა კლუნერი-გოგონა გამოირჩა. ხელში ახლა რუმინული ღვინის მუცელგაბოროლი ბოთლი ეჭირა, თვალს შევავალე, ჩვენი სასისების დღე მოზომა და არავის არ დაუსხა: კმაყოფილი დარჩა, რომ ჭიქები დაუცლელი გვევდა.

— მე, თქვენი ჭირიმი, დრეჟდენში ყველა ოფიცინტი ცენტოს, ქართულ პურს ვუცხობ.

— შე კაი კაცო, ერთი ჩვენთვისაც მოგეტყანა!

— ჩვენივინ ვინ მოაკლეს, დრეჟდენში ნახევარი მილიონი ცხოვრობს. ახლა ბერლინი ივითხე, გერა, ზული, კარლ-მარტ-შტადტიც. ვინ იცის, ვაცივებასაც არ აცლიან, ასე არა?

— აჰა! არც იფიქრო! ძალად მაცივებინებენ. ცხელა პური კუჭს ანებნო. ორი ღღის შემდეგ გააქვთ. თონის პური კი მეორე დღეს სეც ხმება, რომ სულაც აღარ ჭამენ.

— საერთოდ, პურს ცოტას ჭამენ.

— სამაგიეროდ, კალიორული არ იკვლენ. თანაც დღე-ში თონსჭრ, ამსოლუტური სისუსტით, თითქმის ისეთივე პუნქტუალდობი, როგორც ჩვენი, — ნა ობედინი პერერივიკიუპე გასულა რომ წმინდა ვალია.

— დისციპლინა და რეჟიმი ჭამა-სამაშიც კარგია.

— ესეც ხელოვნება!...

ელენე დიგუროვა- ქიქოძის გამოფენაზე

თბილისის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა მხატვარ ელენე დიგუროვა-ქიქოძის პერსონალური გამოფენა. მისმა ნამუშევრებმა ხელოვნების მრავალი მოყვარული მიიზიდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ საინტერესო და მაღალი პროფესიული ოსტატობით შესრულებული პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები და თემატურა კომპოზიციები.



ელ. დიგუროვა-ქიქოძე.

მხატვარ ელ. დიგუროვა-ქიქოძის ნამუშევართა გამოფენის გახსნაზე.



მნახველის უურადლებას იპყრობს საინტერესო ნამუშევრები — „გრემი“, „ოშოგვის ციხე“, „ჯვარი“, „ვარძია“, „სვეტიცხოველი“, „უკუბეგის სამება“, დერების პარმონიული შეხამება, შესრულების დახვეწილი ტექნიკა იგაძნოა მის ნამუშევრებში — „ვარდები“, „იაპონური ფაიფური“, „უკრაინული კერაზია“, „შემოდგომის საჩუპარი“.

ელენე დიგუროვა-ქიქოძე რუსთავის მეთალურგიული ქარხნის ზური სტუმარია. ფოლადისა და თუჩის მღწობელთა ცხოვრებას სწავლობს და შემდეგ გადააქვს თავის ტილოებზე. ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფოლადის ჩამოსხმა“, „რუსთავი. მარტენის საამქრო“, „თუჩი მოლას“, „ინდუსტრიული პეიზაჟი“ და სხვ.

მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შვიდობის თემას. საინტერესოა მისი ნაწარმოებები: „1941 წელი“, „ჯარისკაცი“, „მეკავშირე ქალის პრიზოდოს პორტრეტი“, „საბჭოთა საზღვრების დამცველები“, „ვერ გავექცევინა“.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის ამსახველია ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები: „პორტონი“, „სიღნაღი“, „ბაზრობა ახმეტაში“, „კალოზა“, „ალანის ველი“, „რთელი“, „ხევსურული ჩანახატები“.

მხატვარმა დიდი სიყვარულით დახატა „დედის პორტრეტი“, ფერწერულად საინტერესოა „ქალიშვილი ესტრადაზე“, „მსოფელი ქალი ეთერ სოლომონია“ და „ლოცენტ გ. ქიქოძის პორტრეტი“.



გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.



ე. დიგუროვა-ქიქოძე, თადარიგის პოლკოვნიკი პ. ხლებინი, პოლკოვნიკი შ. ნიჭარაძე, მკვირი ს. ზავილისკი გამოფენაზე.

აფხაზურ სასიმღერო ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საგმირო თემას. მათი უმეტესობა მიძღვნილია სახალხო გმირებისადმი, რომლებიც თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს და ვაჟკაცურად იღუპებოდნენ უთანასწორო ბრძოლაში.

აფხაზური ხალხური სიმღერები კოლექტიურად სრულდება და საგუნდო მრავალხმიანობის თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ. ისინი აღმოცენდნენ კოლექტივი — გაერთიანებული შრომის, ან მკაცრი ომების პირობებში. აფხაზი ხალხის ისტორია აღსავსეა ტრაგიკული მომენტებით. ეს ქვეყანა მრავალჯერ დარბეულა არაბების, თურქების, ზიზანტიელების მიერ. ისინი მიიღებოდნენ „სულის ქვეყანას“ — აფსნში (ასე უწოდებდნენ აფხაზები თავის ქვეყანას), აფხაზთა მიწა უთელიათ მეფის ჯანდარმებსაც, რომელნიც მისი უდიდებულესობის მყუდროებას იცავდნენ.

1866 წელს ლიხნის აჯანყების შემდეგ (სადაც აჯანყებულებმა მოკლეს მეფური წესრიგის დამცველი კონიარი და მრავალი ჯანდარმი), მეფემ გადაწყვიტა ურჩი მთიელების გასახლება. აფხაზი ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რკინიგზის სალტეში მომწყვედელი ათასობით აფხაზი სამშობლოს ტოვებდა და თურქეთს აფარებდა თავს.

აფხაზი ხალხის ბედუკუდმართობა მრავალ სიმღერაში აირკვლა. დევნილები (ამჰაჯირები) სამშობლოს დატოვების ჯამს მწუხარებითა და სევდით სახე სიმღერას მღეროდნენ, რომლებსაც „ამჰაჯირების სიმღერებს“ უწოდებდნენ. ისინი განსხვავდებიან მელოდიური წყობით, მათ ერთი შინაარსი აქვთ, რომელშიც დევნილთა ჭკითინი ისმის. ამჰაჯირების თემასთან დაკავშირებულია პოპულარული სიმღერა „ძილისპირული შიმ-ნანი“, რომელიც შეიქმნა თურქულ გემზე „მამაშიდ“. იგი მუსიკალურად გადაამუშავა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ივანე ლაკრბამ, სიტყვები დაწერა აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბაგრატ შინკუბამ.

სიმღერის შინაარსი ასეთია: გემზე მშვიერ-მწყურვალ დევნილთა შორის იმყოფება ქალი, რომელსაც ჩვილი ბავშვი მოუკვდა. მეზღვართა წესის მიხედვით გემზე არ შეიძლება ცხედარი იმყოფებოდეს. დედა მალავს შვილის სიკვდილს გემბანზე დახვრტილად თურქი მეზღვართებისაგან და მღერის ძილისპირულს:

„ძიენ შვიდად, ჩემო ბიჭიო.
შენ შინ კი არა ხარ დედასთან და მამასთან
შავი ზღვის ტალღები მოქაჩნებენ საღდაც.
რაც უფრო უშორდებიო დევნილები სამშობლოს,
მით უფრო მალაშე ხდება ჩვენი ცრემლებიასგან
ზღვის წყალს...“

ამ ტრაგიკული მელოდიის თავისებური გაგრძელებაა „აგუაყრა აშვა“ (ტანჯვის სიმღერა). იგი გვიამბობს მწუხარე დასასრულზე, რომელიც თურქების მიერ მოტყუებულ ამჰაჯირებს ხვდათ წილად. თქმულების მიხედვით იგი შედგენიარად წარმოიშვა: დაპირებული „სამთხაზს“ ნაცვლად, დევნილები თურქეთის უწყლო, ხრიოკ მიწაზე

უძველესი აფსნის ხმობანი ისტორია

ალექსი არგუნი

სიმღერა აფხაზისათვის საუკეთესო მეგობარია და განუყურლად თან ახლავს. აფხაზი მღეროდა ომში და შრომის პროცესში, მისი აფხიარცის ხმა ქურდა საძივრებსა და მთებში, მღეროდა იგი სიხარულისა და უბედურების დღეებშიც.

აფხაზი ხალხის ისტორიასთან ერთად იცვლებოდა სიმღერების შინაარსი. მწუხარე მელოდიებს მკაცრი, ვაჟკაცური სიმღერები ცვლიდნენ. აფხაზთა ურჩობა, მათი ბრძოლა სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის — სიმღერებში ირეკლებოდა. მათში მხურვალედ და ვნებიანად ქვდნენ სიხარულისა და შრისხანების, სიყვარულისა და პატივისცემის სიტყვები, ისინი ხობტას ასხამენ გმირებს.

აფხაზი ხალხი სატირულ სიმღერებსაც ქმნიდა, ამხელდა სიმხდალს, დასცინოდა ტრაბახებსა და მოლაყებებს, ლთიებსა და მუქთახორებს. სატირის მახვილი განსაკუთრებით მიმართული იყო აფხაზი თავადებისა და ჯარისკაცების მიმართ.

სატირული სიმღერების ნიჭიერი შემსრულებელია აფხიარცულ ინსტრუმენტზე პრწყინვალე იმპროვიზატორი —

ღრუბლიანი ცის ქვეშ დაასახლეს. ადამიანები იხივებოდნენ, მათ შორის ჩანხატის ოჯახიც. მოკვდა ჩანხატი, დაილუპა მისი საგარეულო. დარჩა მხოლოდ უმცროსი ვაჟი ხაჯმათი, რომავედგი დედი. შიმშილისაგან დაუძლურებული ცხელი სიღისაგან აცრემლებულ თვალებს ისრესდა და წვრილი ხმით „ტანჯვის სიმღერას“ მოსთქვამდა, მომაკვდავი დიდა უკანასკნელ წუთამდე ეხმინებოდა შვილს. წამებულთა სიმღერა მთელ უღანანოში იმართა.

აფხაზური ანდაზა ამბობს: „კარგი სიმღერა ჭრილობას აშუშებს“. ცოტა როდია აფხაზური მელოდები, რომელთა საშუალებითაც ხალხი დაჭრილებს ჰკურნავდა. დღესაც პოპულარულია სიმღერა „ახურა ავჯა“ (დაჭრილის სიმღერა). ავადმყოფი ამ მშვენიერი მელოდის ტყვეობაში ტყვილს იფიწყებდა. აღსანიშნავია აგრეთვე უძველესი აფხაზური მელოდია „ატარანორა“ (სიმღერა „წმინდა გიგის“ ავადმყოფობაზე), „სიმღერა ჩუტყვილაზე“ და საკულტო სიმღერები: „ქარიშხლის სიმღერა“, „ვედრება წვიმისადმი“, „ფერიების სიმღერა“ (ძიუა).

ძველად აფხაზის ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა და ნადირობა იყო. მათ არც აქ აუღლია გვერდი სიმღერისათვის. არსებობს მრავალი საინტერესო მელოდია, რომელიც ხოტბას ასხამს ნადირობასა და მწყემსურ ცხოვრებას. ეს სიმღერები სრულდება ხალხური ინსტრუმენტების — აფხინციასა და აჩარპინის თანხლებით. მათ შორისაა „ხჩა იაშვა“ (მწყემსის სიმღერა), „აუასარკუა“ (სიმღერა ცხოვრებაზე), „იაირუმა“ (მონადირეების სიმღერა ცვეთი), „აჟეფიშუა რაშე“ და სხვ.

აფხაზეთში ცხენოსნობა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. აფხაზები ოდითგანვე ბრწყინვალე მხედრები არიან. ცხენოსანთა სიმღერა „აჩარ“, რომელიც საუკუნეების წიაღში აღმოცენდა, სპორტული შეჯიბრების ერთგვარი ჰიმნი გახდა და ახლაც სრულდება. იგი გამამხივებლად მოქმედებს სპორტსმენებზე.

საუესო სიმღერებიდან აღსანიშნავია საქორწილო სიმღერები. საქორწილო ღრეობაზე, რომელიც ორ-სამ დღეს გრძელდებოდა, ვილინდებოდა მონაწილეთა საშემსრულებლო ნიჭი. იმართებოდა შეჯიბრის სიმღერასა და ცეკვებში. სრულდებოდა ტრადიციული სიმღერები „პატარძლის მოყვანა“, „სუფრული“, „რაღიდა“ და ძალზე ტემპერამენტული საქორწილო ცეკვა.

აფხაზებს მრავალი სიმღერა აქვთ შრომის თემაზე შექმნილი. მათგან აღსანიშნავია „არაშვარა ავჯა“ (თონის სიმღერა) და „შვას ამარჯა“, რომელიც გლეხთა ურთიერთდახმარების წესწვეულებას ასახავს. მასში იმღერებ:

„ო რაიდა, შვას ამარჯა“
მეგობრულად მოკიდეთ ხელი მუშაობას!
ჩვენი შრომა — ეს ჩვენი ბედნიერებაა!
ჩვენს შრომას მოაქვს სიმღერა“ და ა. შ.

აფხაზეთის თითოეული თემი ქმნიდა დამოუკიდებელ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებშიც თავის მუშაობასა თუ სიხარულს აქსოვდა და იგი მკვეთრად განსხვავდებოდა მეზობელი თემის შემოქმედებისაგან. საშუაწაროდ,

ბევრი მათგანი დავიწყებას მიეცა. ჩვენთვის ცნობილია მღერები ჭლოუზე“, „ოთხარცების სიმღერა“, „ლუდური სიმღერა“. დღემდე უცვლელად შემორჩა მათი მუსიკალური საფუძველი, ტექსტუალური შინაარსი კი დროთა განმავლობაში შეიცვალა.

რეგულაციამდელი აფხაზურ-ხალხური სიმღერები თავისებურებასა და გმირობას უმღეროდნენ. ხოტბას ასხამდნენ კიახბა ხაჯართას, სოლუმანს, რომელმაც თავადი ჩანბა მოკლა და სხვ. შეიქმნა რეგულაციური რაზმის თავისებური ჰიმნი „კიარაზ“ და მგზნებარე ლენინელის, რევოლუციონერ ნესტორ ლაკობასადმი მიძღვნილი სიმღერა. ფართოდაა გავრცელებული „არ რაშვა“ (სამხედრო სიმღერა).

მხოლოდ სამჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა აფხაზ ხალხს შესაძლებლობა ფართოდ განვიითარებინა ეროვნული კულტურა. აღმავლობს გზას დაადგა ხალხური მუსიკალური შემოქმედებაც.

რეგულაციამდე ორამჩირესა და გუდაუთში სახელმწიფოლოდ შექმნილი საგუნდო კოლექტივები განვითარდნენ, გემლაგრდნენ. თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში დაარსდა ხალხური სიმღერებისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლები, შეიქმნა კოლმურენთა პირველი გუნდი; იგი პროპაგანდას უწყობდა ძველსა და ახალ სიმღერებს. ეროვნული კულტურის ამავდარი მოღვაწეების — კონრატე ძიძარასა და კონსტანტინე კოვარის ინიციატივით ჩაიწერა 1910-ზე მეტი ხალხური სიმღერა.

1930 წელს სოხუმი საუკეთესო რაიონულ საგუნდო კოლექტივთან ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული ანსამბლი. ხელმძღვანელად მოიწვიეს პოპულარული მომღერალი და ხალხური სასიმღერო ხელოვნების ჩინებული მოცდენი — პლატონ ფანცულაია. ამ თვალსაჩინო მუსიკოსის ხელმძღვანელობით აფხაზეთის ეთნოგრაფიულმა გუნდმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1934 წელს კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე მას პრემია მიენიჭა. პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა ანსამბლის მაღალ პროფესიულ დონეს და იწინებდა ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის მივიწყებული ნიმუშების აღდგენას. რეცენზენტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ აფხაზურ შრომით სიმღერებს — „შვას ამარჯა“ და მასობრივი ცეკვებს — „აფხაზურ ქორწილს“ და „შარათინს“. ამ ცეკვების დადგმა განახორციელა შესანიშნავმა ქორეოგრაფმა ვლადიმერ აჩაშ. მოისხენიეს გუნდის საუკეთესო მოცეკვავეები — რ. აგბა, კ. ლახბა, ს. კოვე, ს. ზარდანი და სხვ.

1935 წელს ცეცხლოვანი აფხაზური ცეკვების საუკეთესო შემსრულებლები — ვლადიმერ აჩა და მუტი კოვე ლონდონში მიიწვიეს მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების დავალიერებაში მონაწილეობის მისაღებად.

ეთნოგრაფიულ გუნდთან ერთად წარმატებით მოღვაწეობდა ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი — „აფხინარცები“. ეთნოგრაფიული გუნდის საფუძველზე აღმოცენდა დღეს უკვე მთელ კავშირში ცნობილი აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

იმის მისისხანე დღეებში ანსამბლის რეპერტუარი პატ-

რიოტული სიმღერებისაგან შედგებოდა. ანსამბლს ხელმძღვანელობდა კომპოზიტორი ივანე ლაკობა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აფხაზური სავეუნდო ხელოვნების განვითარების საქმეში. ფოლკლორული მასალის საფუძველზე მან შექმნა ნაწარმოებები, რომელთაც აფხაზეთის მუსიკალური ხელოვნების საგანძურშია შესული და დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მის სიმღერებს: „ანტიკა“, „შიშ-ნანი“, „შვიდობაზე“, „დიდი სამამულო ომის გვირაზე“, „ჯანაზაზე“, „დედის წერილი“ რესპუბლიკის ყველა კუთხეში მღერიან. წლების მანძილზე მასთან ერთად ჯორჯოვად მუშაობდა ამჟამად სახელგანთქმული მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რაზინიე აგრძე. ომის შემდეგ (1955 წლამდე) ანსამბლს ხელმძღვანელობდა კიწი გეგეჭკორი. ანსამბლის ბიოგრაფიაში ეს არის ძიებისა და შემოქმედებითი აღმავლობის წლები. პროგრამაში შეტანილი იყო მოძმე ხალხების სიმღერები. შემდეგ აქ კოლექტივს სათავეში ჩაუდგა პოპულარული კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რაჟდენ გეგმა. მან საფუძვლიანად შეისწავლა წინაპართა სასიმღერო მემკვიდრეობა. არტისტი მუსიკის ნადაგზე შექმნა ნაწარმოები, რომელთა შორის აღსანიშნავია ცნობილი სავეუნდო სიმღერები: „იაირუმა“, „აუარდინი“, „მგზავრული“, „ქუაჩალა“ და სხვ. მანვე შექმნა და ანსამბლის რეპერტუარში შეიტანა გმირული და შრომის საიდუმლო სიმღერები, რომელთა უმრავლესობა დაწერილია აფხაზეთის სახალხო პოეტების დიმიტრი გულიასა და ბავარატ შინკუბას სიტყვებზე. ამ სიმღერებს მიეღი აფხაზეთი მიერის.

ანსამბლი მართავდა კონცერტებს რესპუბლიკის ყველა კუთხეში, აცნობდა თავის ხელოვნებას რესპუბლიკის, მერჩიებს, მეთაბდაქოებს, თუ შერნელებს.

ნაყოფიერად მოღვაწეობდა ამ ანსამბლში ჟორჯოვადი სოსო ციმაკურიძე. მის მიერ დადგმული ცეკვები „კიარაზი“, „მხედრული“, „მონადირული“ და სხვები, ახლაც ამყენებენ კოლექტივის რეპერტუარს.

1957 წლის თბილისში აფხაზური ხელოვნებისა და ლიტერატურის დღეების დღეებში სახელმწიფო ანსამბლის კონცერტებს ესწრებოდნენ სტუმრები ინფოთიდან, ცეი-ლინიდან, მაროკოდან, სუდანიდან. აფხაზეთის ხელოვნებით აღტაცებულმა გენიუსს პროფკავშირების გენერალურმა მდივანმა კავა მამოდიმ თქვა: „აფხაზეთის ხელოვნებამ განზავიყვანა ჩემი სურვილია შევიძინო ანსამბლის ფოტოები, რათა მქონდეს შესაძლებლობა სწორად გავიხსენო ის მღვლეარე წუთები, რომელიც განვიცადე კონცერტის მსვლელობის დროს“.

დღევანდელ შემდეგ კოლექტივი საგაგტროლოდ გაემგზავრა რუსეთისა და შუა აზიის ქალაქებში. აფხაზეთის ხალხურ ხელოვნებას ინტერესით გაეცნენ სარატოვის, ვორკის, სვერდლოვსკის, ტულის, ვოლგოგრადის, როსტოვის, ბუხარის, სამარკანდის, აქტიუბის რეგიონის, ალმა-ატის, ტაშკენტის ქალაქების მცხოვრებლები.

1963 წლიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა ხაირტონ ახმა, ჟორჯოვადი გივი ჩახვა, ჟორჯო-მაისტერი ვასილი ცარგუძი. ახმას ინიციატივით, ეროვ-

ნული ხელოვნების პროპაგანდის მიზნით, კოლექტივი გაემგზავრა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. შემდეგ ანსამბლმა პირველად გამართა კონცერტები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.

კოლექტივი მჭიდროდ შემოქმედებით კავშირშია აფხაზეთის კომპოზიტორებთან. ბევრი მათგანი საკეცალურად ანსამბლისათვის ქმნის ნაწარმოებებს.

ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ან. ბალანჩიავის მოწავე, კომპოზიტორი ალექსი ჩიჩბა. მან ანსამბლისათვის მრავალი ნაწარმოები შექმნა. ჩიჩბას სიმღერები „პარტიაზე“, „აფხაზეთზე“ ამჟამებზე ანსამბლის რეპერტუარს.

ხალხური სიმღერების პოპულარიზაციაში დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ ივანე ქიტიას. მან ანსამბლისათვის დაამუშავა მრავალი სიმღერა.

ი. ქიტიუა მსოფლიოში ერთადერთი ან წ ლ ო ა ნ თ ა გ უ ნ დ ი ს ხელმძღვანელია. გუნდის პროგრამაში უძველესი ხალხური სიმღერები და ცეკვები. ნაყოფიერად მოღვაწეობს დირიჟორი და კომპოზიტორი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბავარატ ბალათელია (იგი წლების მანძილზე დირიჟორობდა ანსამბლს). ბ. ბალათელიამ მოსკოვის გენსინების სახელობის სახელმწიფო მუსიკალური პედაგოგიური ინსტიტუტის სავეუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის იუჯოვის ხელმძღვანელობით. ანსამბლისათვის სიმღერებს წერს ახალგაზრდა კომპოზიტორი ივანე აკრტავა.

ამ საინტერესო კოლექტივში აღიზარდნენ შესანიშნავი მომღერლები და მოცეკვავეები: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვენერა ჯაკობია და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ვერა არიშბა, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული არტისტები ჟუსანა ჯენია და ველვა ფირცხალავა, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ანატოლი ხაგმა, ფაზილბეი კრუა, კანდიდ ტრამა, აივანო ვაშაიძე და სხვ.

დღეს ეს კოლექტივი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია. ანსამბლში მოღვაწეობს ნიჭიერი ახალგაზრდობა. მათ შორისაა სოსუმის მუსიკალური სასწავლებლის აღზრდილი, სავეუნდო ხელოვნების მცოდნე, დირიჟორი ვასილ ჩარგუძი. მან ანსამბლისათვის გადაამუშავა ხალხური სიმღერები „გულისა“ და „მხედრული“. ჟორჯოვადი იუჯოვის ხელმძღვანელია მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილი ბალეტმეისტერი ელვარდ ბეია. იგი საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, ქრის სახალხო არტისტის ლავროვსკის მოწავეა. ანსამბლის დირექტორია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი მოღვაწე სამსონ კობახია.

ეს შემოქმედებითი კოლექტივი შეუწყნებლად იზრდება. იგი თავის თვითმყოფად ხელოვნებას უძღვის სამშობლოს, ხალხს, პარტიას, აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებაში.



წ. გოგოლაშვილი.

გამარჯვების ალაში რეისტრაცზე.

საქართველოს საღარაჯოში

ა. გორგაძე.

არმია.





ვის დაბურულ ხეივანებში სტრუქტურული დაქანცულები, წყაროსთან მიეცვიდით. თავშეყრილთა შორის გიორგი ლეონიძე შევიცანი და ცნობისმოყვარეობით გავიზინდე, იგი მეკვებ წყალთან მივიდა, ჭიქა აავსო, ზევით ასწია, ალმაცერად გაზედა და დინჯად შესვა. შემდეგ თანხლებით მიუბრუნდა და მისთვის ჩვეული იუმორით ხმამაღლა წარმოსთქვა — პატარძელის წყაროს წყალს მაინც ვერ სჯობიაო...

იმ დღის შემდეგ პოეტის სახე, პატარძელი და მისი წყაროს წყალი წარუშლელად ჩამრჩა მეხსიერებაში...

1927 წელს თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. ვსწავლობდი მე-14 შრომის სკოლაში. მოსწავლე-ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი გატაცებული ვიყავით პოეზიით და ვესტუმრებოდით ხოლმე მწერალთა სასახლეს, სადაც იმ ხანებში ხშირად იმართებოდა დისპუტები, მწერალთა და პოეტთა საჯარო გამოსვლები. განსაკუთრებით მიტაცებდა გ. ლეონიძის პოეზიის აზრის სიღრმე და სიუხვე, პოეტური სინატიფე, თავისი ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარული, დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერჯია. გზაში რომ შემხედებოდა, თეატრის საკიბრო-როტო საკითხებზე საუბარს ჩამომიგდებდა, უსათუოდ იკითხავდა: ახალი ქართული ოპერა თუ იწყებება? ვინ წერს? რაზედ მუშაობთ თეატრში? იგი საოპერო თეატრის იშვიათი სტუმარი იყო, მაგრამ უზომოდ უყვარდა სიმღერა და მომღერლები, უყვარდა მუსიკა და ფაქიზად განიცდიდა მას. კარგად ერკვეოდა მომღერლის ხმის ხარისხში და შემსრულებლობის თავისებურებებში. ერთხელ მითხრა — ბიჭო, ისე როგორც ვანო და ნიკო, დღემდე ქართული სიმღერის პოეზიას ვერავინ ვერ ჩასწვდაო.

— უნდა გახსოვდეთ — ქართველი მომღერლის შემოქმედება პოეზიის სიმაღლეზე მაშინ ავა,

ს ი ტ ყ ვ ა

გიორგი ლეონიძეზე

ბათუ კრავიშვილი

მიყვარდა შენი ისარივით
ნასროლი სიტყვა,
მასში ხვერდით ჩაქსოვილი
აღღრისი ძმორი,
ვაი, რომ სენმა უღმობულმა
ისე დაგსიტყვა,
რომ დაგინუნდა მგზნებარებით
აღსავეს გული!

თანამედროვე ქართული პოეზიის დიდოსტატს, ღრმა აზროვნებისა და ორიგინალური შემარ-

თების პოეტს, მარად დაუეციწყარ უფროს მეგობარს გიორგი ლეონიძეს 70 წელი შეუსტულდა.

გიორგი ლეონიძე პირველად კურორტ წაღვერში ვხახე. იგი საოცრად მოძრავი და მოუსვენარი მომეჩვენა. ლამაზი, მომლიძარი სახე, დაბინდული თვალები... ახოვანი, ბრგვე ვაჟკაცი, ელვის სისწრაფით მიმოჭროდა. ერთხელ, ბავშვებით მთის ფერდობზე, ნაძ-

როცა იგი ერის საიდუმლოებათა სიღრმეებს ჩასწვდება, ხოლო ერის მესაიდუმლო რომ ვახდებ, დიდ ნიჭთან ერთად დიდი შრომად და ბრძოლით უნდა გადაიტანო.

გ. ლეონიძე ქართველ მომღერლებს ხშირად გვისაყვედურებდა — იტალიური და საერთოდ, უცხოური მუსიკა ზედმეტად გიტაცებთო.

— თუ არა თქვენ, პოპულარულმა ქართველმა მომღერლებმა, მამ ვინ უნდა ვაიტანოს მსოფლიო სარბიელზე ქართული მუსიკის შესწინერება? თქვენ უნდა შექმნათ შვეიცარიების ეროვნული ტრადიციები, ვაიტანოთ ჩვენი სასიძღვრო მემკვიდრეობა ფართო ასპარეზზე და შემდეგ იგი თავისთავად მოიპოვებს საყოველთაო აღიარებას ისევე, როგორც ეს იტალიისა და სხვა ქვეყნების საოპერო თუ სარომანისო ხელოვნებას ხვდა წილად. ხელოვნებაში, ისევე როგორც პოეზიაში, იოლი გზა არ არსებობს. მერწმუნე, ჩემო ბაბუ, ფალიაშვილის ოპერებს, ქართულ რომანსებსა და სიმღერებს აზრი და გრძნობა არ აკლია. ტანში ერთნაირი მივლინა, მურმანის აბრის შესავალი რომ იწყება. ეს არია ვოკალური გამომსახველობით, სიღრმით ნებისმიერი უცხოელი კომპოზიტორის ქმნილებას დაეჯიბრება. ასევეა აბსტრაქციის, თეატრის და სხვათა პარტიკი.

იგი ყოველივე ამას დამაჯერებლად, თითქოს „ბრძანების“ კილოთი მეუბნებოდა, შეკამათების ნებას არ მძლევდა.

1944 წელს, მოსკოვში ლიტერატურისა და ხელოვნების განუყოფელი საღამო შედგა. კავშირების სახლის სექტეზიანი დარბაზი ხალხს ძლივს იტევდა. რუსი და ქართველი მწერლები, პოეტები, მომღერლები და მსახიობები ხალხთა მეგობრობის უკვდავებაზე, ადამიანთა ურთიერთგაგების მაღალ თემაზე მოუთხოვრებდნენ დამსწრეთ. სამამულო ომის მჭი-

ნვარ დღეებში ქართული და რუსული პოეზიის ძლიერმოხილვამ მილიონინამდებელ სულიერ სიმწიფეს გვრიდა, მომავლის იმედს უნერგავდა, ომისაგან მიყენებულ იარაგებს უშუშებდა. მახსოვს, როგორი შეუღლებელი ენერჯითი, მაღალი მოქალაქეობრივი პაიოზით იყო აღსავსე გ. ლეონიძის ყოველი სიტყვა, მისი ლექსები ჰუმანიზმის მაღალი იდეალებით იყო გამსჭვალული. იგი გატაცებით უმღეროდა სამშობლოს, სიციხეს, მაღალხეობრივ თვისებებს... გიორგი ლეონიძე ერის ცხოვრების ყველა კონქულში იყო ჩახედული. სად არ ქუხდა მისი ომბინანი ხმა, ვის არ სწვდებოდა მისი მრავალსახეანი შემოქმედების ეპიკალური სუნთქვა. იგი ჰუმარიტად სახალხო პოეტი იყო.

1947 წელს უკრაინა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავს ზეიმობდა. საქართველიდან წარგზავნილთა შორის ყოყაყით გიორგი ლეონიძე და მ. მატარებელი ვიმგზავრეთ, მუშუში აღმოვჩნდით — გიორგი ლეონიძე, მიხაკო ორაგველიძე, მკრტიხ ჩერქეზია და მე. არა თქმა უნდა, ჩვენი ყოველი საუბრის თამადა გიორგი იყო. ძირითადად პოეზიისა და ხელოვნების საკითხებზე ვმსჯელობდით. იგი პოეზიაში ხედავდა ერის სულიერი სამყაროს ყოვლისმძლე, მასულმდგმულეულ ძალას — ლექსი ხვეწს, ამდიდრებს და აფაქიზებს ადამიანის ტვინის უჯრედებსო.

— მუსიკა? — შევეკითხე მე.

— რა თქმა უნდა, მუსიკაც, მაგრამ იგი მაინც ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობისათვის არის განკუთვნილი და, ამდენად, მას უფრო შეზღუდულად მივიჩნევ. ერთი სიტყვით, პოეზიის თავადლებული რაინდი პოეზიის სწორუფორმობას არავის დაუთმობდა.

ბევრჯერ ვცადე შეკამათება, მაგრამ ამაოდ. მაგალითისათვის მომყავდა მრავალსაუკუ-

ნოვანი ქართული მუსიკალური ფოკლორი, რომელსაც თვითმყოფადობით განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა ჩვენიანიც და იგი უკმოვლიც, ვამბობდი, რომ ეს არ ჩამოუვარდება ქართული პოეზიის ტრადიციებს.

— მართალია, მაგრამ პოეზია მაინც უფრო ახლობელი და ორგანული ადამიანთა ყველა ფენისათვის, ვინმე მუსიკა.

შუალამე გადასული იყო, როცა გიორგის პატარძლული თვითი ლენო „სულს ლაფავდა“. მან ჰიქა შევსო და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სადღერგებლო წარმოთქვა. მის სიტყვებში კვლავ გაივლავ სახეებმა, რომელნიც დიდი განცდილია და სიყვარულით ყავს დახატული თავის უკვდავ პოემაში.

სადღერგებლო ყველამ შევესეთი. ჰიქა რომ დავცალე, მივმართე — ნეტავი ვამაგებინა, რა უფრო მშვენიერია, პატარძელის ღვინო თუ პატარძელის წყაროს ცივი წყალი?

— არტისტული შედარებააო, — ამდენავად მითხრა გიორგიმ და დასძინა: ბიჭო, ერთიც და მეორეც ქართული მიწის ძუძუს რძეაო.

უეცრად მიხაკო ორაგველიძეს თვალები უხილავი ნაბერწყლებით აენთო. ზეზე წამოიჭრა, კუხეს კარები გამოაღო და სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად თავი გარეთ გაჰყო.

— სად მიღიხარ, მიხა? — მიმართა გიორგიმ.

— არსად, შენი ჰიქიმე, ძალა მინდა მოვიერიბო, — თქვა ორაგველიძემ.

მართლაც, თითქოს სულ სხვა კაცი მოგვევლინა — გამართულმა, აწითლებულმა, საოცარი ვაჟკაციური შემართებით უეცრად წარმოთქვა:

„გახსოვს ის ქობი, ლიხეზე, ან დიდი ლიხის მინდვრები! ეს ლექსიც იქაურია იქიდან დაეწინდები“.

გაოცებული გიორგი ზეზე წა-
მოიჭრა, სმენდ იქცა, თითქოს
ყურებს არ უჭერებს... მიხა კი
მონდომებით, მომხიბლავი უშუა-
ლობით განაგრძობდა დეკლამა-
ციას, ჩანდა, რომ იგი მშობლიუ-
რი პოეზიის მორთფივალე იყო.

გიორგი გადაეხვია მიხას და
ძმურად გადაკიცა, შენ გენაცვა-
ლე ჩემო მიხო — შევძახე მეც.

ჩემი გაჩუქებაც აღარ შეიძლე-
ბოდა. მომავონდა გიორგის შესა-
ნისნავი ლექსი:

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამბურღანისა
სიყვარული ისე დამჯახებია,
მე მივტარი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის კალმას,
ქუჩუები ოქროს კალმახება,
წაწამებდი აქვს თავთუხის ყანისა“.

გიორგის სიამოვნების ღიმილი
სახეს უნათებდა. უხაროდა, რომ
ჩისი პოეტური სტროფები ყველა
ქართულმა იცის, გლეხმაც და
მომღერალმაც. ეს იყო ნამდვილი
პოეზიის ინტიმური საღამო —
იგონებდა გიორგი შემდგომ.

1956 წლის თებერვალში, მოს-
კოვის საკონცერტო დარბაზში
სოლო კონცერტი უნდა გამემარ-
თა, სუსხიანი ზამთარი მძვინვა-
რებდა. სასტუმრო „მოსკოვიდან“

თითქმის არ გამოვსულვარ. კონ-
ცერტის დღეს ტელეფონის წყრი-
ალი გაისმა, ყურმილი ავიღე და
სიხარულმა შემიპყრო — გიორგი
ლეონიძის ხმა შემომესმა. მიცა-
ნი? — შემიკითხა იგი.

— ვანა თქვენი ხმის არ ცნობა
მეპატიება? — მივუხე მე.

— ბათუ, ძლიერ გამიხარდა
აფოშუმე შენი გვარის წაითხვა.

— თუ კონცერტზე მობრძან-
დებით, მაღლობელი ვიქნები —
ეთხოვე მე.

— აუცილებლად მოვალ,
ოღონდ, ხომ იცი ჩემი სუსტი
მხარე — მეტი ქართული სიტყვა
და მელოდია მომასმენინე. მართ-
ლაც, ყოველთვის დაბეჭითებით
მარწმუნებდა — ხელოვანმა თა-
ვისი ნიჭი მშობლიურ ნაწარმოე-
ბებში უნდა გამოავლინოს, შეუ-
ძლებელია ქართველმა შემოქმედ-
მა უფრო სრულყოფილად აღი-
ქვას და გადასცეს მსმენელს უც-
ხოური ქმნილებანი, ვიდრე თავი-
სი მშობლიური. ყოფილა შემთხ-
ვევა, როცა ქართველი კაცის ნი-
ჭი სხვა ქვეყანაში დაკარგულა...
ამიტომ მოუფრთხილდი თქვენს
ნიჭს, შემოქმედებით ძალას. ყო-
ველივე მშობლიურ კულტურას
მოახმარეთ, საშობლო უანგაროდ

და ღირსეულად დაფასებს მათთვის
ვინც მამულის კეთილდღეობაზე
ზრუნავს.

კონცერტს ვამთავრებდი, როცა
დარბაზში გიორგი ლეონიძის ახო-
ვანი ფიგურა გამოჩნდა. გავი-
ფრთქე — დაგვიანებთ, მაგრამ
სიტყვა მაინც შეასრულა. „მის-
ზე“ მხოლოდ ქართული ნაწარ-
მოებები შეეასრულე. კონცერ-
ტის დამთავრების დიდმა პოეტ-
მა წარმატება მომილოცა და მა-
ჩუქა მოსკოვში ახლად გამოსული
ვიქტორ გოლცევის მონოგრაფია:
„Георгий Леонидзе“ წარწერით:
საქართველოს იაღონს ბათუ კრა-
ვეიშვილს, ჩემს ძველ მეგობარს
სიყვარულით გ. ლეონიძე.

მოსკოვი, 3/II-56 წწ.

სასობითა და სიყვარულით
ვინახავ გ. ლეონიძის ხელით წარ-
წერილ წიგნს, იგი ჩემთვის დიდი
პოეტის უკვდავების თავისებური
სიმბოლოა...

შენი დიდების გზა და კვალი
არ წაიშლება,
ის ხალხის გულში საშულამოდ
მონახავს მინას,
პოეზიაში მწვერვალები მუდამ
დარჩება
და ამ მწვერვალთა შორის
შენი სახელიც ბრწყინავს!

ა. ხანი.

ჩვენი ქალაქის პეიზაჟი.





ლ. რ. როინშვილი.
ქორვატა.



მ. შ. შუქრიევი.
არაქსი.

რობერტ ბრიჯისი

* * *

... ეთხოვიან გაზაფხულს რწევით
ბაღები, თეთრად დაბურულები...
ცაზე ზუკუკა სხივების ფრქვევით
დაუიაღებენ თეთრი ღრუბლები.

თეთრი პეპლებით სახეა სივრცე,
მინდორს კათქათა ზიზილა ხატავს...
მაისის ნიავს ატანენ კვირტებს
აღუბალი და ტადარა პანტა.

ინგლისურიდან თარგმნა
რამაზ ბარკალაიამ.

ნ. იენატოვი.

დილის საარი.



იოსებ ბრიგაჟვილის წერილები ღაბით მესხისადმი

ზაურ კალაძე

XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში გარკვეული ადგილი უკავია მესხების სახელოვან ოჯახს.¹ სერგეი, კოტე, ეფემია, დავით მესხები უანგარო მოღვაწენი იყვნენ, რომლებმაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში.

„საზოგადო დირსშესანიშნავია მესხების სახლობა, — წერს იაკობ მანსფელტაშვილი, — რამდენი შესამჩნევი მოღვაწე მისცა ქართველებს ამ ერთმა ოჯახმა. კოტე ხომ ვიცით, ახლა აიღეთ მისი უფროსი ძმა სერგეი. ეს იყო დამარსებელი და პირველი რედაქტორი ქართულ გაზეთ „დროებისა“;² მეორე ძმა დათიკო, იმის ფელეტონებს დიდის სიამოვნებით ვკითხულობდით, მავილი კალმის პატრონი იყო, მესამე ძმა ივანე, საზღვარგარეთ სწავლა მიღებული, ერთგული საზოგადო მოღვაწე იყო და ბათუმის თეთრიმარცვლობის წინაშე დიდი დავაწლი მიუძღვის. ამათ და ეფემია, გენაერის მეუღლე, ხომ ერთი საუკეთესო დრამატული არტისტი კალი იყო, ქართული სცენის დამამშვენებელი“.³ გარკვეული წვლილი მიუძღვით გიორგის, ანას, ნინოს და ნესტორს. მართალი უთქვამს ნ. ლორთქიფანიძეს: მესხების ოჯახი ქართული კულტურის მთელი სიღრმეა, რომლის ყოველი სასიუხური შეტ-ნაკლები სიმღიერით, მაგრამ ერთგვარი ურყეობით იწვოდა მრავალი წელით.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ სერგეი, კოტე და ეფემია მესხების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი მასალები, მაგრამ დავითსა და ივანეზე ძალიან ცოტა რამ არის თქმული. ცნობები მხოლოდ არქივებში ინახება. მართალია, დავით მესხმა დაგვიტოვა მრავალმხრივ საყურადღებო მოგონებები, მაგრამ აქ უმთავრესად ლაპარაკია ცალკეულ მოვლენებსა და სხვა პიროვნებებზე; თავისთავს კი ავტორი ტუნწად გვაცნობს.

ისტორიული საბუთები მოწობს, რომ მესხების გვარი შორეულ წარსულს ეკუთვნის. მიუვსინიშნო თვით დავით მესხს: „მესხების გენიოლოგია ძველის-ძველია, ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. შორეულ წინაპრებად იტყობდნენ მოსოხებს, მოსაგეტებს. მესხი გვარად მერე გადაიქცა, ადრე მესხი თემური წოდება იყო. ისე, როგორც ლეჩხუმი — ლეჩხუმელი, რაჭა — რაჭველი და სხვ.“⁴

ცნობები მწერლის დავით სიმონის ძე მესხის (1860-1943 წ. წ.) შემოქმედება, მისი თეატრალური და პუბლიცისტური მოღვაწეობა გასული საუკუნის 80-90-ანი წლებია და დღევანდელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის

ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. დავით მესხი ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირდა ქართველ მოწინავე ინტელიგენციას. მწერალი თვითონვე აღნიშნავს: „როცა ქუთაისიდან თბილისში მოვხვდი, რედაქციაში მქონდა ბინა და მუდამ მწერალთა წრეში ვიყავი. გულისყური მივაპყარი „დროების“ თანამშრომლების საქმიანობას. იმ თავითვე მომიხილა ასეთმა მუშაობამ. დავიწყე ოცნება მეც ჩაგმულიყავ ამ წრეში, გავმხდარიყავი მწერალი კაცი... დავიწყე მუშაობა. უფრო მეხერხებოდა ჰუმორი, სატირა, ვაჟ-ხოზბი და სახუმარო, სალაღობო ლექსებს დღიურ ჭირ-ვარამზე. ჩემი „იმერლის წერილები“ ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენდა. და თუ მწერალი არ გახვდი, მათ მარაქაში მაინც გავერიე. ერთ დროს სცენაზეც ავიჩინდი. უფრო მეხერხებოდა იმერული როლები ასრულება. მაგრამ კოტე რომ როლს მოგახვედდა თავზე, უარის თქმისა რა მოგახსენოთ, არს გასჭირდა“.⁵

დავით მესხის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისი ეკუთვნის XIX ს. 80-ან წლებს, როდესაც იგი „დროების“ რედაქციაში მიიწვიეს სამუშაოდ, სადაც დაიწყო ფელეტონების წერა „ცივი ამბებისა“ და „ნადლეულ-ნარვების“ სახელწოდებით. „მე მაშინ ცოტად თავს ვითომ მოლონიერებულად ვგრძნობდი და ფელეტონიც დავწერე „ცივი ამბები“ ინგლისელი სიფიტის გავლენით, — იგონებს დავითი. — ეს ჩემი პირველი ნაშრომი სერგეის დავახვედრე, გადაიკითხა, სახეზე სიამოვნება შევატყე, დაიბეჭდოს, გამახარა“.⁶

„ქართული პუბლიცისტის რაინდმა“, ნ. ლორთქიფანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, სერგეი მესხმა თავის ძმას დავითს ჩაუნერგა სიყვარული ქართული ჟურნალისტიკისადმი, ხოლო კოტე და ეფემია მესხებმა — თეატრისადმი. დ. მესხი თეატრში იყო დეკორატორი, მუსკავორი, ბოლოს საკმაოდ ცნობილი პიესების ავტორი. მის კალამს ეკუთვნის პიესების — „მედეა“ (ავტორები სუფორინი და ვ. ბურნინი, დაიდგა 1895 წ.), „ადრინენა ლეკუკერი“ (თხზულება. სკრიბისა და ლევეფესი, დადგმა განზორცემლად 1899 წ.) და სხვათა თარგმანები. 1895 წლის 26 მარტს მასურებელმა ნახა აგრეთვე დ. მესხის მიერ გადმოკეთებული სამომქმედებანი პიესა „სურამის ციხე“. ასევე წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრში დ. მესხის მიერ გადმოქართულებული ხუმრობა-ავადგვილი „სუსტი მხარე“ (1880 წ. 7 დეკემბერი) და მისი კომედია „გენრიელი ლუმა“ (1898 წ.).

დავით მესხი თეატრს კოტე მესხის მემკვიდრეობით დაუკავშირდა. ეს მოხდა 1879 წელს, როცა კ. მესხმა ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორის მალაფევის ნებასით თავის ბერძენი კაცელოლოგიაში მოაწყო სცენა ქართული წარმოდგენებისათვის. „ქართული თეატრის გემო, სიყვარული და პატივისცემა კოტეს კალიის ქვეშ გამუზარდა. მისი გავლენით, წაქეზებით გამოვედი სცენაზე და მისივე რჩებით ვერძობდი ამ საქმისათვის“⁷ — წერდა დავითი.

განსაკუთრებულ სიმპათიას იმსახურებს დ. მესხის დამოკიდებულება გამოჩენილ ქართველ მწერლებთან. ამავე დროს, იგი გულისხმობდა და მზრუნველობით ეკიდებოდა ასალგაზრდა შემოქმედების ძალებს. ასალგაზრდებიც მოწიწებითა და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ ამ დაუღალავ მოღვაწეს.

ამ მხრივ მტად ნიშანდობლივია დ. მესხისა და ი. გრიშაშვილის ახლო ურთიერთობა. დავითი ხშირად მონაწილეობდა იმ ლიტერატურულ საღამოებში, რომლებშიც ჩვენი ერის ხელს სასიქადულო ადამიანებთან ერთად გარკვეულ ხარკს იხდებდა ი. გრიშაშვილი. იგიზრდა რა ქართული თეატრის ღირსეულ ტრადიციებზე აღზრდილ ხელოვნების ამაგდარ მოღვაწეთ, წიგნში „რაც გამახსენდა“⁸ დადაინწერდა: „დაიიყო მესხი, — უფრო იმერული როლების შემსრულებელი, და, საერთოდ, დიდად ნიჭიერი კაცო თეატრში. დეკორატორი, ბუტაფორი, მთარგმნელი, ავტორი პიესების, ლექსების და სხვადასხვა სასტრადო ნომრებისა, ამავე დროს მშვენიერი ჟურნალისტი“⁹.

როგორც ცნობილია, ქართული კულტურის მესვეურებს დიდი ბროლია დასჭირდათ, რათა ქართული თეატრი არ დაეთმოთ უმნიშაროს, გასართობი ვოდველოებისათვის, რომ თეატრში ნაჩვენები ყოფილიყო ღრამები და კომედიები ხალხის ცხოვრებიდან, რომ თეატრი ამ გაცაცქეულიყო ფუქსავატ, უმნიშვნელო დაწესებულებად. ქართული თეატრის უპირველეს მოწოდებას წარმოადგენდა აზრბანი, აღმზრდელობითი მნიშვნელობის პიესების დადგმა. აკი დავით მესხიც სამართლიანად მიუთითებდა თავის „მოგონებებში“:

„ქართული თეატრი! დიდი სკოლა ქართველებისათვის. ჩვენს ყოფაში უაღრესი მნიშვნელობისა გახდა იგი. როცა მევის რუსეთის პოლიტიკა მწვავედ მოეჭრა სკოლამ, და ქართულ ენას განუც კერა დაუწყეს, აბუზად აიგდეს, სასწავლებლიდან თითქმის განდევნეს იგი, ამ ენის საღაროდ, ასპარეზად და საუნჯედ ქართული თეატრი შეიქნა. დეე, ნუ იყოს სასცენოდ აგებული, იმის მოთხოვნილებისათვის გამოსაღვეი და ზედ გამოჭრილი აკაკის, ილიას, რაფიელის პიესები, თუნდა ბევრი სხვისაც... მაგრამ იქ ქართული ენის მარგალიტები იყო და ეს სცენიდან ვგვხმობდა“¹⁰.

თავის მოგონებაში ვერიოკ ანჯაფარიძის შესახებ ი. გრიშაშვილი ამბობს: „საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქუთაისის რადაც იმპროვიდელი ძალა ასასიათებს. ჩვენი ძველი აქტიორები იქი, იმ თეატრალურ ბუდეში უფრო კარგად მუშაობდნენ. „ურიელ აკოსტა“ გაეხსენებ: განა ლადო მესხიშვილმა პირველად ქუთაისში არ განასახიერა? განა კოტე მარჯანიშვილმა იგივე „ურიელ აკოსტა“ ქუთაისში

არ შექმნა და იქიდან არ ჩამოიტანა თბილისში, რომელიც ტრადული მაცურებლები გაეციქვინა? სწორედ ეს მიმზიდველი ძალა იყო, ქუთაისში თავს რომ უყრდა არა მარტო გამოჩენილ მასხიბებს, ახალმდ რომლებს, მწერლებსა და ქართული კულტურის სხვა დარგის სასცელოვან მუშაკებსაც. მრავალი პოეტისა და მწერლის შემოქმედებით აკვანი დაირწა აქ, ქუთაისში. ხოლო შემდეგ დავაეკციებულებს და დიდებით მისილებს შესახებელობა მშობლიური ქალაქი. ქუთაისის მკითხველისა და მაცურებლის აზრს გადამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა ბევრი ასალგაზრდა შემოქმედის შემდგომი წინსვლისათვის. ამიტომ იყო, რომ დამწვევტი პოეტთა თუ ხელოვანთა უმრავლესობა ქუთაისში ცდიდა თავის პოეტურ ნიჭსა და შემოქმედებით ძალას.

ქუთაისელი მკითხველები თავიდანვე გულთბილად შეხვდნენ პოეტ იოსებ გრიშაშვილის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე. ასალგაზრდა პოეტსა და ქუთაისელ საზოგადო მოღვაწეებს შორის მალე შეიძინო, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ი. გრიშაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, აქვეყნებდა თავის ლექსებსა და ფელეტონებს ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში.

ი. გრიშაშვილის მიერ ქუთაისში ჩატარებული ლიტერატურული საღამოების, შემოქმედებითი მუშაობისა და გეგმების შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის პოეტის წერილები დავით მესხისადმი. ეს მიმოწერა სწარმოებდა თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში. ქუთაისის ისტორიულ-ენოლოგოფოლო მუზეუმი დაკვლია ი. გრიშაშვილის ორმოცდაათამდე წერილი, რომლებშიც კარგად სჩანს პოეტის ღრმა პატივისცემა დავით მესხისადმი და ამ უკანასკნელის მამობრივი მზრუნველობა ი. გრიშაშვილისადმი. გვიან, დავით მესხის გარდაცვლეობამდე ერთი წლით ადრე, 1942 წლის 29 აპრილს გრიშაშვილი წერდა თავის მზრუნველს: „ძმოდ დავით! სადა ხარ როგორ ცხოვრობ? დამივიწყე ხომ?... მე მაინც მასხიბუნად და მიყვარხარ, როგორც ჩემი პირველი ნაბიჯების მოწმე ქუთაისის სცენაზე. პირველი ადამიანი, რომელიც დამამასხიორდა ქუთაისში, ეს შენ იყავი! შენი მზრუნველი ხელი და დიმილი ეხლავე მასხიბუნა“.

მართლაც, დავით მესხი, რომელიც ათიან წლებში გაზეთების „კოლხილისა“ და „იმერეთის“ აქტიური თანამშრომელი იყო, უდიდესი გულისხმობრებით ეპყრობოდა ასალგაზრდა მგოსანს ი. გრიშაშვილი თავის ლექსებს და „პატარა ფელეტონებს“ ყოველთვის დავით მესხს უგაზინდა შემდეგი თხოვნით: ჟერ თვითონ მას კარგად შემეწმეშენინა და თუ გამოაღვეობოდა, შემდეგ გადაეცა დასაბეჭდად. „ამას წინად ლექსი გამოგზავნე, რომელსაც ასეთი სათაური აქვს „ბრბოე, უგუნურო!“ — წერს გრიშაშვილი 1911 წლის 16 ივლისს, — თუ გსურს, სათაური ასე შესცვალო, „მგოსანის აღსარება“. საზოგადოთ თუ შენ მოვეწონება, დაბეჭდე და თუ არა და არც საჭიროა სუსტი ლექსის დაბეჭდა“. 23 ივლისს გამოგზავნილ წერილში ი. გრიშაშვილი კვლავ თხოვს დ. მესხს ლექსის სათაური გადასწოროს და ერთი სიტყვაც შეეცვლოს: „ლექსში სწე-



რია „ჩემს უკვდავ ლექსებს“, დააწერე, „ჩემს მიმქრალ ლექსებს“. მე სულ სხვა აზრით მაქვს ნახსარი და შეიძლება სხვანაირად გაიგონო. ამავე წერილიდან ჩანს, რომ დავით მესხის ცდილობდა უფრო აქტიურად ჩაება გრიშაშვილი გახეთ „კოლხიდის“ ლიტერატურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. „ეგ ლექსი „ოლოლი“ გახაზ დაწვეწერე, — წერს გრიშაშვილი და რომ ჩამოვედი, მითხვრება ამა მოიტვა ახალი რამე გექმნება, მე უთხარი ერთი ლექსი მაქვს, მაგრამ ვინახავ, ჯერ არ მინდა მისი დაბეჭდვამეტი, მინდოდა შენს გახეთში დაბეჭდილიყო... მაგრამ დაბეჭტულს ლექსი და... ჩემს ნებადაურთველად დაბეჭდა კიდეც“.

დავით მესხს დიდი ღვაწლი მიუძღვის ი. გრიშაშვილის მიერ ქუთაისში გამართული სალიტერატურო საღამოების ორგანიზაციის საქმეში. 1911 წლის 20 ივლისს ი. გრიშაშვილი დ. მესხს აცნობებდა: „...მინდა — მანდ ქუთაისში დავეგვა სალიტერატურო-სამუსიკო-ვოკალური საღამო... მაგრამ არ ვიცი როგორ მოვახერხო, მე გგონი შემოსავალი იქნება, რადგან მონაწილეობას მიიღებენ სულ ქუთათური ახალგაზრდა მგოსნები და ძველებიც: სილოვანი, შენ, თომაშვილი, ტაბიძე, უხანაძე, ჯორჯიკია და სხვები, შეიძლება ცოცხალი გაუხეთც დავეგვა, ანდა ერთი შენი დავიდეილი (პირველი განყოფილებისათვის). 11 — კინტორ ტანისაშოსში, იმერულ ტანისაშოსში და სიმოხურ ტანისაშოსში სცენები. მესამე განყოფილება ახალგაზრდა პოეტები და სხვა რა ვიცი, შენე იფიქრე, როგორ აპრობას, თეატრი რა ღირს, როდის არის თავისუფალი, შემოსავალი იქნება თუ დევიციტა?... თბილისიდან ჩემს გარდა კიდე ვინ ამოვიყვანო? და სხვ... შენი ჭირბიძე, მომწერე წერილი „სახალხო გახუთის“ რედაქციამ და შემატე მომწერე როგორ სჯობს... თუ არაფერი არ იქნება, ისიც შემატე ბიძე... ამ საღამოს შემოსავალით განზრახული იყო ი. გრიშაშვილის გაგზავნა რუსეთში სასწავლებლად. დ. მესხმა სათანადო ზომები მიიღო ი. გრიშაშვილის ლიტერატურული საღამოს ჩასატარებლად. 1911 წლის 28 ივლისს „კოლხიდა“ ახალ ამბად აცხადებდა, რომ „მგოსნის გრიშაშვილის მიერ განზრახული წარმოდგენის დღე პრეკერობით არ არის აღნიშნული. ახალგაზრდა მგოსანი სამუცადინით აპირებს გამგზავრებას რუსეთს და ეს განზრახული წარმოდგენა იმ მიზნით გაიმართება, რომ ხელვილო ნიჭიერ ახალგაზრდას სახსარი მიუჭრას“. მაგრამ სალიტერატურო საღამოს გამართვა 1912 წლის მარტამდე ვერ მოხერხდა, საღამო დაინშნა 1912 წლის 11 მარტს. დ. მესხის ინიციატივით გახუთდა „კოლხიდა“ ფართო რეკლამა გავრცედა გრიშაშვილის საღამოს. 7 მარტს გახუთში რუბრიკით „ახალი ამბავი“ ნათქვამი იყო: „ი. გრიშაშვილის საღამო-მეკლასი“ გაიმართება ქუთაისში კვირას, 11 მარტს.

პირველ განყოფილებაში კიტა აბაშიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე „ლ. ტოლსტოი და ილ. ჭავჭავაძე“ (პლატონ კარატაევი და თთარაანთ ქერივი).

მეორე განყოფილებაში წაიკითხავს თავის ნაწერებს მხეცოვანი მგოსანი აკაკი, დ. კლდიაშვილი, ა. ტუმბაძე,

გ. რუსაძე, ცახელი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. აბაშვილი, ბიძე, ტაყუ ჯორჯიკია, გუცა, დ. მესხი და ი. გრიშაშვილი, ქინე 8. ჩარქოვისა წაიკითხავს რუსულთა აკაკის ლექსს, „ემშავის შარსს“ წაიკითხავს ბ-ნი ბარნაველი. მსახობი ი. ზარდალიშვილი წაიკითხავს სილოვანის ლექსს.

მესამე განყოფილებაში ტანისაშოსსა და გრიშაშვილი წაიკითხავს სცენებს: 6. გოტირილი (სომხურს), ვას. ბალანჩივაძე (იმერულს), ვ. ნემო (ებრაულს), ვ. გურუშაძე (გურულს), ა. ყალბაგვიშვილი (გლხურს) და ი. გრიშაშვილი (კინტორს). დასასრულს იმღერებენ ვაი-ვუის ხმაზე ახალ სალიტერატო კუპლეტებს.¹⁰ „კოლხიდის“ კვირის ნომერმა პირველ გვერდზე მოათავსა გრიშაშვილის საღამოს აფორა დიდი ასოებით. როგორც ლიტერატურული საღამოს პროგრამიდან სჩანს, ი. გრიშაშვილსა და დ. მესხს მასში მონაწილეობის მისაღებად მოუწვევიათ თბილისისა და ქუთაისის საუკეთესო ძალები, რამაც განაპირობა საღამოს დიდი წარმატება.

1912 წლის 7 ივნისს ი. გრიშაშვილს აკაკისთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო მიხ. ჭორელის თაისნობით გამართულ წარმოდგენაში, ხოლო 8 ივნისს გ. ტაბიძის სალიტერატურო საღამო-ზემში. აკაკი და ი. გრიშაშვილი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ჩამოვიდნენ, რის შესახებც გახუთი „კოლხიდა“ გულდაწყვეტილი იუწყებოდა, რომ ჭორელის ინიციატივით მოწყობილი „ორიგინალური ლიტერატურული საღამო“, ქალაქის თეატრში საკმაოდ მერთალი გამოვიდა. ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ მსცავთა აკაკი და ახალგაზრდა გრიშაშვილი აკლდნენ.

როგორც ჩანს, დ. მესხსა საყვედური მისწერა ი. გრიშაშვილის საღამოზე ჩამოხვედრის გამო. საპასუხო წერილში ი. გრიშაშვილი თავს იმართებს და სწერს:

„— დათიკო! ღმერთმანი, ხატმანი, ჩემი ბრალი არ არის — გუნის ბრალია ყველაფერი! მითხრა „შუქულე-ბელისა შენი წასვლა, ხუთმაზათს გორში ვთამაშობო“ და ჩავედი თბილისში, იმ იმედით, რომ უნდა ამოვსულიყავით გორში. წარმოიდგინე აღარ შესდგა წარმოდგენა და მე კი ღმერთს ეგვიციტე გუის ფული არა მქონდა, თორემ ამოვიდოდი... უნდა შენი სახელით გამართე; „ასე, დ. მესხი გამართავს საღამოს“-თქო, მეტი ხალხიც იქნება, მეც ამოვალ და ამით ავინაზლარებ ჩემს შეცდომას.

შენი სოსო. 11 ივნისი 1912 წ.“

ამავე წლების სექტემბერში ი. გრიშაშვილმა დ. მესხი ფოთში მიიწვია ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

„დათიკოჯან — წერს ი. გრიშაშვილი. გაკოცე და გიწვევებ კენკნათა ისრებს, თუ დაგაკისრებს — ჩემს არ დავიწყებას!“

საქმე აი რამია: 22 სექტემბერს საღამო მაქვს ფოთში...¹¹

პო და შენ უტყველად უნდა იქნე!...

ხომ დამბრდი, არ გადასთქვა... თუშეცა გაჯავრებული ხარ ჩემზე, მაგრამ პირადათ, მე ვინახავ, მაშინ ვიპართლებ თავს!... შენ გუნაცავლე, ჯაჯუსაც უთხარი, ისიც დამპირდა მონაწილეობის მიღებას და ორთავემ ამ სასახესო ბართზე დამიწერეთ თანხმობა, რომ საშუადისს შეუდ-



გე“... დ. მესხს პასუხი დაუგვიანებია და ამიტომ 18 და 19 სექტემბერს ი. გრიშაშვილმა ახვევ საკითხზე კიდევ ორი წერილი გამოუგზავნა მას: „უხეველად გვლით შენ და ჯა-ჯუსუხა. რა არის ამ ერთ ხიხინას ვერ შემისრულებ შენს მოწაფეს?.. მერე კი ხომ იცი გადაგიხდი, წრეულ ხომ სულ ქუთაისში ვიქნები მგონი, თუ წამოიღებ თან იმ „მოახსრობა-გამოცანებს“ აი ქორელი რომ კითხულობდა და აქ შენ წაიკითხავ, ძალიან შთაბეჭდილებას მოახდენს. გე-მე, გელი შენი გრიშაშვილი.“

18 სექტემბერი, 1912 წ.“

